თბილისის სატრანსპორტო კომპანია ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

თბილისის სატრანსპორტო კომპანია ჯგუფი

სარჩევი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-5
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:	
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში	6
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში	7
კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიში	8
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10-39
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. უწყვეტი საწარმოს პრინციპი	11
3. შესაბამისობის ანგარიში	12
4. ახალი და რედაქტირებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება	12
5. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	13
6. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები	23
7. შემოსავალი	24
8. სხვა შემოსავალი	25
9. სხვა საოპერაციო ხარჯები	25
10. სხვა არა-საოპერაციო (ხარჯები)შემოსავალი, წმინდა	25
11. ძირითადი საშუალებები	27
12. ინვესტიციები ასოცირებულ საწარმოებში.	28
13. მარაგები	28
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	29
15. მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	30
16. გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები	30
17. მომწოდებელთათვის გადახდილი ავანსები	31
18. ფული და ფულის ექვივალენტები	31
19. გამოშვებული კაპიტალი	31
20. გადავადებული შემოსავალი	32
21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	33
22. ფინანსური ინსტრუმენტები	33
23. გარიგებები დაკავშირებულ პირებთან	36
24. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	36
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	38
26. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	39
მმართველობის ანგარიში	40

თბილისის სატრანსპორტო კომპანია ჯგუფი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის („ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ოპერაციების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და საწესდებო კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ შედეგებს ამ დროს დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (“ფასს”).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად არჩევასა და მის შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც სრულყოფილად წარმოადგენს და განმარტავს ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას და შესაბამისობას ფასს-თან;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი კონტროლის სისტემის დანერგვაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მოსაზრებით უზრუნველყოფს კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშის მომზადებას თაღლითობისა თუ შეცდომით გამოწვეული მატერიალური უზუსტობების გამორიცხვით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას; და
- მართველობის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია ყველა მატერიალურ ასპექტში შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 1 ნოემბერს:

ხელმძღვანელობის სახელით

გიორგი შარკოვი
გენერალური დირექტორი

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

მაია ხაჩირაშვილი
ფინანსური დირექტორი

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

თბილისის სატრანსპორტო კომპანია ჯგუფის („ჯგუფი“) მფლობელებსა და დირექტორებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ შევამოწმეთ შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის („კომპანია“) და მისი შვილობილის („ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, გარდა ქვემოაღნიშნულ „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების შესაძლო შედეგებისა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული ფინანსური საქმიანობისა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული მარეგულირებელი შეზღუდვების გამო, ჩვენ ვერ შევძელით, დავკვირვებოდით ფიზიკური მარაგების გადათვლას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ აგრეთვე ვერ შევძელით,ალტერნატიული საშუალებებით მიგვეღო დამაკმაყოფილებელი ინფორმაცია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობის შესახებ. ვინაიდან მარაგების საბოლოო ნაშთი კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების დადგენისას მხედველობაში მიიღება, ჩვენ ვერ შევძელით იმის განსაზღვრა, იყო თუ არა აუცილებელი მოგება-ზარალისა და სხვა სრული ზარალის, გაუნაწილებელი მოგებისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებში საანგარიშო წლის ზარალის კორექტირება.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიებში კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეადგენდა შეადგენდა 2,886 ათას ლარს. ჩვენ არ მოგვეწოდა ასოცირებულ კომპანიებთან დაკავშირებით შესაბამისი ფინანსური ინფორმაცია, რათა მათზე ჩაგვეტარებინა საჭირო პროცედურები შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების საბალანსო ღირებულების დასადგენად 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2020 და 2019 წლების ზარალის ასახული წლის ზარალისა და სხვა სრული ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების და გაუნაწილებელი მოგების კორექტირება, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებში.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მმართველობის ანგარიშს.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით მოიცავს აღნიშნული „სხვა ინფორმაციის“ გაცნობას და იმავდროულად იმის დადგენას, არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა „სხვა ინფორმაციასა“ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის იგი სხვა არსებითი შეცდომების შემცველი. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე აღმოჩნდა, რომ არსებობს ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა, ჩვენ ვალდებული ვართ ამ ფაქტის შესახებ მოგახსენოთ.

აღნიშნული პასუხისმგებლობის საფუძველზე, მოსახსენებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და იმ შიდა კონტროლის პროცედურებზე, რომლებიც მენეჯმენტის აზრით დაკავშირებულია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენასთან, რომელიც არ შეიცავს თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან უზედამხედველონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ ჩვენი აზრის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ერთად:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. რისკი იმისა, რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება განხორციელდეს საიდუმლო გარიგების,

გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას ჯგუფში არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის უზუსტობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნარი. თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების, მისი განმარტებების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად ტრანზაქციებსა და მოვლენებს.

ჩვენ, სხვა საკითხებთან ერთად, ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე, მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშში გათვალისწინებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია;

- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

სრბუი ჰაკობიანი
შპს დელოიტი და ტუშის სახელით

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	7, 23	72,222	139,441
შემოსავალი პარკირების მომსახურებიდან		5,621	5,650
სხვა შემოსავალი	8	8,049	7,783
საოპერაციო შემოსავალი		**85,892**	**152,874**
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(117,636)	(118,983)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	11	(26,432)	(33,963)
საწვავის ხარჯები		(18,990)	(24,013)
ცვეთა და ამორტიზაცია		(32,827)	(21,137)
ელექტროენერგიის ხარჯები		(11,010)	(13,462)
ნედლეული და სახარჯი მასალები		(7,474)	(9,933)
საგადასახადო და დაკავშირებული ხარჯები		(1,946)	(3,202)
დაზღვევის ხარჯები		(1,232)	(1,316)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(14,282)	(19,187)
საპროცენტო შემოსავალი		3,897	19,081
სხვა არა-საოპერაციო (ხარჯები)/შემოსავალი, წმინდა	10, 23	(7,754)	1,948
ზარალი მოგების გადასახადამდე		**(149,794)**	**(71,293)**
მოგების გადასახადი		-	-
წლიური ზარალი		**(149,794)**	**(71,293)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული ზარალი		**(149,794)**	**(71,293)**

მმართველი საბჭოს სახელით:

გიორგი შარკოვი
გენერალური დირექტორი

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

მაია ხაჩირაშვილი
ფინანსური დირექტორი

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

10-39 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

თბილისის სატრანსპორტო კომპანია ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	11	443,672	317,298
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	15	1,062	5,245
არამატერიალური აქტივები		26	78
ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში	12	2,886	2,886
სულ გრძელვადიანი აქტივები		**447,646**	**325,507**
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	13	12,134	11,237
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14, 23	505	744
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	15	13,705	-
გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები	16	24,174	-
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	17	-	81
ფული და ფულის ექვივალენტები	18	33,252	68,419
სულ მიმდინარე აქტივები		**83,770**	**80,481**
სულ აქტივები		**531,416**	**405,988**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
გამოშვებული კაპიტალი	19	850,603	554,210
დაგროვილი ზარალი		(359,587)	(209,793)
სულ კაპიტალი		**491,016**	**344,417**
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გადავადებული შემოსავალი	20	28,131	30,720
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**28,131**	**30,720**
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	7,666	19,526
გადავადებული შემოსავალი	20	3,940	4,450
მიღებული ავანსები		166	74
საგადასახადო ვალდებულებები		497	6,801
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**12,269**	**30,851**
სულ ვალდებულებები		**40,400**	**61,571**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**531,416**	**405,988**

მმართველი საბჭოს სახელით:

გიორგი შარკოვი
გენერალური დირექტორი

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

მაია ხაჩირაშვილი
ფინანსური დირექტორი

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

10-39 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	გამოშვებული კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2019	**521,126**	**(138,500)**	**382,626**
წლის სრული ზარალი	-	(71,293)	**(71,293)**
დამფუძნებლის დამატებითი შენატანი (შენიშვნა 19)	33,084	-	**33,084**
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	**554,210**	**(209,793)**	**344,417**
წლის სრული ზარალი	-	(149,794)	**(149,794)**
დამფუძნებლის დამატებითი შენატანი (შენიშვნა 19)	296,393	-	**296,393**
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	**850,603**	**(359,587)**	**491,016**

მმართველი საბჭოს სახელით:

გიორგი შარკოვი
გენერალური დირექტორი

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

მაია ხაჩირაშვილი
ფინანსური დირექტორი

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

10-39 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

თბილისის სატრანსპორტო კომპანია ჯგუფი

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიში
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან			
წლის ზარალი		(149,794)	(71,293)
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები	11	32,827	21,137
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	11	26,432	33,963
მარაგების გაუფასურება, წმინდა	13	1,880	686
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		326	144
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალი და გადახდილი ავანსები, წმინდა	14	58	8,665
გადავადებული შემოსავალი სამთავრობო გრანტიდან	10	(150)	(150)
გადავადებული შემოსავალი მომსახურების ხელშეკრულებიდან	10	(1,881)	(1,881)
გადავადებული შემოსავალი პარკინგიდან		(510)	-
გადავადებული შემოსავალი სარეკლამო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან	10	(557)	(511)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღდგენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	18	-	(91)
საგადასახადო ანარიცხის გაუქმება		(3,862)	-
საპროცენტო შემოსავალი		(3,897)	(19,081)
საოპერაციო საქმიანობაში ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		**(99,128)**	**(28,412)**
სავაჭრო და სხვა სახის მოთხოვნების კლება/(ზრდა)		181	(8,558)
მარაგების (ზრდა)/კლება		(2,777)	1,436
სავაჭრო და სხვა სახის ვალდებულებების (კლება)/ზრდა		(11,861)	1,694
საგადასახადო ვალდებულებების კლება		(2,439)	(1,162)
მომწოდებლებთან გადახდილი ავანსების კლება/(ზრდა)		244	(234)
მიღებული ავანსებისა და სხვა ვალდებულებების ზრდა		92	11,245
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		**(115,688)**	**(23,991)**
მიღებული პროცენტები		3,987	19,081
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**(111,701)**	**(4,910)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(212,835)	(135,671)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(73)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(212,835)**	**(135,744)**
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
დამფუძნებლის დამატებითი შენატანი	19	289,370	30,975
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**289,370**	**30,975**
ფულისა და ფულის ექვივალენტების კლება წმინდა		**(35,166)**	**(109,679)**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	18	**68,419**	**178,006**
საკურსო ცვლილებების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულად ნაშთებზე		(1)	92
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	18	**33,252**	**68,419**

გიორგი შარკოვი
გენერალური დირექტორი

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

მაია ხაჩირაშვილი
ფინანსური დირექტორი

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

10-39 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია („კომპანია“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა საქართველოში 1997 წლის 24 ივლისს შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაციის სახით.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ქალაქ თბილისში ავტობუსით, მეტრო და საბაგირო ტრანსპორტით მომსახურება, თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებში პარკირების ადგილების მოწყობა.

2012 წელში ჯგუფმა გააერთიანა თბილისის საბაგირო ინფრასტრუქტურა და ახალაშენებული რიყე-ნარიყალას საბაგირო გზა.

2018 წელს ქ. თბილისის მერიამ შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიას გადასცა პარკინგის მართვა, ორგანიზებულია დაახლოებით 30,000 პარკინგის ადგილი.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის სადამფუძნებლო წილის 100% ეკუთვნოდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და ჯგუფის საბოლოო მფლობელია საქართველოს მთავრობა.

ჯგუფის ძირითადი საოპერაციო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, საქართველო, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ვაგზლის მოედანი #2.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფში დასაქმებულთა რიცხვი იყო 6,412 და 6,284, შესაბამისად.

კომპანიის შვილობილების ჩამონათვალი:

დასახელება	რეგისტრაციის ქვეყანა	მფლობელობა 2020 წლის 31 დეკემბერს	მფლობელობა 2019 წლის 31 დეკემბერს	საქმიანობის ტიპი
თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საფეხბურთო კლუბი	საქართველო	100%	100%	უმოქმედო

კომპანიას გააჩნია ინვესტიციები შემდეგ ასოცირებულ კომპანიებში:

დასახელება	ოპერირების ქვეყანა	მფლობელობა 2020 წლის 31 დეკემბერს	მფლობელობა 2019 წლის 31 დეკემბერს	საქმიანობის ტიპი
შპს „მთაბი“	საქართველო	20.0%	20.0%	უმოქმედო
სს „ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალი“	საქართველო	50.0%	50.0%	სარემონტო სამუშაოები
სს „რემონტაჟსერვისი“	საქართველო	50.0%	50.0%	უმოქმედო

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემად მენეჯმენტის მიერ 2021 წლის 1 ნოემბერს.

2. უწყვეტი საწარმოს პრინციპი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას უწყვეტი საწარმოს პრინციპით, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფი ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებათა დაფარვას. წინამდებარე შეფასებისათვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის ზეგავლენა ჯგუფის საქმიანობაზე.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა განიცადა წმინდა ზარალი 149,794 ათასი და 71,293 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილი ზარალის ოდენობა შეადგენდა 359,587 ათას და 209,793 ათას ლარს, შესაბამისად. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს ჯგუფს ჰქონდა წმინდა ფულადი გადინება საოპერაციო საქმიანობიდან 111,701 ათასი და 4,910 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. ჩამოთვლილი გარემოებებისა და მოვლენების საფუძველზე შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საკითხი.

ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება უწყვეტი საწარმოს პრინციპს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიმდინარე აქტივებმა, 83,770 ათასი ლარის ოდენობით, 12,269 ათასი ლარის ოდენობის მიმდინარე ვალდებულებებს გადააჭარბა 71,501 ათასი ლარით. მიმდინარე აქტივებში ფული და ფულის ეკვივალენტები შეადგენს 33,252 ათას ლარს.

- ჯგუფმა მიიღო მხარდაჭერის წერილი მისი უშუალო დამფუძნებლის, თბილისის მერიის (მთავრობის) მხრიდან. წერილში მოცემულია დაპირება შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის სახელშეკრულებო ვალდებულებების დაფარვის შესახებ, თუ ამგვარი საჭიროება დადგება და მესამე პირებისგან მოზიდული სახსრები არ იქნება საკმარისი ჯგუფის საქმიანობებისა და ვალდებულებების დასაფარად. ამით ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ ჯგუფი შეინარჩუნებს უწყვეტი საწარმოს სტატუსს სულ მცირე 12 თვის განმავლობაში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღიდან, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

- ისტორიულად ჯგუფის საოპერაციო ზარალებს ანაზღაურებდა მთავრობა ფულადი და არაფულადი შენატანების სახით საოპერაციო საქმიანობის დაფინანსების მიზნით.

  2020 წლის განმავლობაში თბილისის მერიამ განახორციელა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საწესდებო კაპიტალში ფულადი და არაფულადი შენატანი ძირითადი საშუალებებისა სახით, ჯამური ღირებულებით 289,370 ათასი ლარი და 7,023 ათასი ლარი, შესაბამისად. შედეგად, კაპიტალი გაიზარდა და შეადგინა 491,016 ათასი ლარი.

  2019 წლის განმავლობაში თბილისის მერიამ განახორციელა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საწესდებო კაპიტალში ფულადი და არაფულადი შენატანი ძირითადი საშუალებებისა და მარაგების სახით, ჯამური ღირებულებით 30,975 ათასი ლარი და 2,109 ათასი ლარი, შესაბამისად. შედეგად, კაპიტალი გაიზარდა და შეადგინა 344,417 ათასი ლარი.

  თბილისის მერიის მიერ გამოჩენილი მხარდაჭერის და ქვეყნისათვის ჯგუფის საქმიანობის მნიშვნელობის გათვალისწინებით ხელმძვანელობა თვლის, რომ მთავრობა კვლავ გააგრძელებს ჯგუფის მხარდაჭერას.

- ჯგუფის დამფუძნებელია ქალაქ თბილისის მერია, ხოლო საბოლოო მესაკუთრეს საქართველოს მთავრობა წარმოადგენს. ჯგუფი თბილისისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების ერთადერთი მომწოდებელია. მისი ძირითადი საქმიანობაა ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო ტრანსპორტის ორგანიზება ავტობუსებით, მეტროსა და საბაგირო ტრანსპორტის საშუალებით, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკინგის ადგილების მოწყობა და კონტროლი. ჯგუფის ძირითადი მიზანია ქალაქ თბილისში ხანგრძლივი სატრანსპორტო მომსახურების მიწოდება და საზოგადების სხვადასხვა ფენისათვის ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, და არა მოგების

მაქსიმიზირება. განუსაზღვრელია რამდენად და როდის შეძლებს ჯგუფი მომგებიანობის დონემდე მიღწევასა და პოზიტიური ფულადი სახსრების ნაკადების მიღებას, ვინაიდან ეს დამოკიდებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების ფასების გაზრდის გადაწყვეტილებაზე, რაზედაც მთავრობამ უნდა გასცეს შესაბამისი მითითება. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ მთავრობა გააგრძელებს ჯგუფის მხარდაჭერას, რადგან მისი მომსახურება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქალაქ თბილისის მცხოვრებთათვის.

- საანგარიშო თარიღის შემდგომ ქალაქ თბილისის მერიამ ფულადი და არაფულადი შენატანის სახით შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეიტანა 93.6 მილიონი ლარი და ძირითადი საშუალებები ჯამური ღირებულებით 3.3 მილიონი ლარი, შესაბამისად.

3. შესაბამისობის ანგარიში

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

4. ახალი და რედაქტირებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

მიმდინარე წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- „ამოსავალი საპროცენტო განაკვეთების რეფორმის“ (შესწორებები სტანდარტებში ფასს 9 და ფასს 7) თავდაპირველი გამოყენების ეფექტი;
- „კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობების“ (შესწორებები სტანდარტში ფასს 16) თავდაპირველი გამოყენების ეფექტი;
- ქირის დათმობის გათვალისწინებით განხორციელებული საიჯარო გადახდების ცხვლილების აღრიცხვის ეფექტი;
- მიმდინარე წელს მოქმედი სხვა ახალი და შესწორებული ფასს სტანდარტების თავდაპირველი გამოყენების ეფექტი.

აღნიშნულ შესწორებებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი არ ჰქონია.

მიმდინარე წელს ჯგუფმა გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. მათ გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ თანხებზე.

- ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებათა შესწორებები;
- შესწორება სტანდარტში ფასს 3 - ბიზნესის განსაზღვრება;
- შესწორება სტანდარტებში ბასს 1 და ბასს 8 - არსებითობის განსაზღვრება;

ჯგუფი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები
- ფასს 10 და ბასს 28 (შესწორება) - აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის
- შესწორება სტანდარტში ბასს 1 - ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად
- შესწორება სტანდარტში ფასს 3 - მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე
- შესწორება სტანდარტში ბასს 16 - ძირითადი საშუალებები - დაგეგმილ გამოყენებამდე მიღებული შემოსავალი

- შესწორება სტანდარტში ბასს 37 – დამამძიმებელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯი
- წლიური შესწორებები - ფასს სტანდარტების 2018-2020 წლების ციკლი-შესწორებები სტანდარტში ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, ფასს 16 - იჯარა და ბასს 41 - სოფლის მეურნეობა

ჯგუფის მენეჯმენტი არ მოელის, რომ სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

5. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

მომზადების საფუძველი – წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ("ფასს"), მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, ხოლო განმარტებები შემუშავებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის მიერ ("IFRIC").

ქვემოთ წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი სახეობები. პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ ჯგუფი შეინარჩუნებს უწყვეტი საწარმოს პრინციპს და გააგრძელებს საქმიანობას პროგნოზირებად მომავალში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში მონაცემები წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში ("GEL"), თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აქტივების ისტორიული ღირებულებით. ჩვეულებრივ, ისტორიული ღირებულება ეფუძნება აქტივში გადახდილ სამართლიან ღირებულებას.

ფუნქციონალური ვალუტა. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტები აღრიცხულია ჯგუფის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს ძირითად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა"). ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი"). ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტაა ლარი. ყველა თანხა უახლოეს ათასობით ლარამდეა დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთ ჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები და შემოსავლები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ იქვითება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას არ ითვალისწინებს რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, რაც შესაბამისად უნდა იყოს განმარტებული ჯგუფის საღრიცხვო პოლიტიკებში.

ქვემოთ მოყვანილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები:

შემოსავალი. ჯგუფი ეწევა სატრანსპორტო მომსახურებას ავტობუსებით, მეტრო და საბაგირო ტრანსპორტით და ახორციელებს პარკინგის ადგილების ადმინისტრირებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

ყველა სახის მომსახურების ვალდებულების შესრულების აღიარება ჯგუფის მიერ ხდება დროის კონკრეტულ მონაკვეთში, გარდა პარკირების ადმინისტრირების მომსახურებისა, რომელსაც ჯგუფი აღიარებს მომხმარებლის მიერ წინასწარ გადახდილი პარკირების საფასურის პერიოდის შესაბამისად,

შემოსავალი აღიარებული წმინდა ოდენობით, დღგ-ს გამოკლებით. შემოსავალი აღირიცხება მიღებული/მისაღები ანაზღაურების საბაზრო ღირებულებით.

საიჯარო შემოსავალი
ქვემოთ აღწერილია ჯგუფის პოლიტიკა საოპერაციო იჯარებიდან მიღებული შემოსავლის აღიარების შესახებ.

დივიდენდი და საპროცენტო შემოსავალი
დივიდენდიდან შემოსავალი ინვესტიციებიდან აღიარდება მას შემდეგ, რაც დადგინდება მესაკუთრის მიერ თანხის მიღების უფლება (იმ შემთხვევაში, თუ შედეგად ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება თანხის ოდენობის სარწმუნოდ განსაზღვრა).

საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივიდან აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი და შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. საპროცენტო შემოსავალი ირიცხება დროით საფუძველზე, დარჩენილი ძირითადი თანხისა და გამოყენებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც არის ის განაკვეთი, რომლითაც ზუსტად ხდება საპროგნოზო მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირება ფინანსური აქტივის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში ამ აქტივის თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

იჯარა - იმას, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას, ჯგუფი ადგენს კონტრაქტის მოქმედების დაწყებისას. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება აღიარდება ყველა იმ საიჯარო გარიგებაში, რომელშიც ჯგუფი გამოდის როგორც მოიჯარე. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან იჯარებს (განიმარტება, როგორც 12 თვიანი ან უფრო მოკლე ვადის იჯარა) და დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებს (როგორებიცაა ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, მცირე საოფისე ავეჯი და ტელეფონები). ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საიჯარო გადასახადი აღირიცხება როგორც საოპერაციო ხარჯი წრფივად იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, თუ სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ არ ასახავს იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც იჯარის დაწყების დღეს არ გადაიხდება. მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, ჯგუფი იყენებს სესხის მზარდ განაკვეთს.

იჯარის ვალდებულება წარმოდგენილია, როგორც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების ცალკე მუხლი.

იჯარის ვალდებულება შემდგომ პერიოდებში აისახება საბალანსო ღირებულების გაზრდით, რაც მიზნად ისახავს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვას (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით), და უკვე გადახდილი საიჯარო გადასახადის ასახვის მიზნით საბალანსო ღირებულების შესაბამისი შემცირებით.

ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას ხელახლა აფასებს (და გამოყენების უფლების მატარებელ შესაბამის აქტივს აკორექტირებს), თუ:

- იჯარის ვადა შეიცვალა ან ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ხდომილებას ან გარემოებათა ისეთ ცვლილებას, რამაც გამოიწვია შესყიდვის ოფციონის რეალიზების შეფასების ცვლილება; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების დისკონტირებით (კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით).
- საიჯარო გადახდები შეიცვალა გარანტირებული ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე მოსალოდნელი გადახდის ცვლილების ან ინდექსისა თუ განაკვეთის ცვლილების გამო; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების ძველი განაკვეთით დისკონტირებით (თუ იჯარის გადასახადის ცვლილება გამოწვეული არაა მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით, რა დროსაც გამოიყენება კორექტირებული დისკონტირების განაკვეთი).

- მოხდა საიჯარო კონტრაქტის მოდიფიცირება და იჯარის მოდიფიკაცია არ აღრიცხულა როგორც დამოუკიდებელი იჯარა; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება მოდიფიცირებული იჯარის საიჯარო ვადაზე დაყრდნობით და კორექტირებული გადახდების ასევე კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით დისკონტირების გზით, მოდიფიკაციის ძალაში შესვლის დღეს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები მოიცავს შესაბამისი საიჯარო ვალდებულების საწყის აღიარებას, იჯარის დაწყების დღეს ან მანამდე გადახდილ საიჯარო გადახდებს, და აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები და საწყისი პირდაპირი ხარჯები. შემდგომში ასეთი აქტივები აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

როდესაც ჯგუფს ეკისრება ისეთი ხარჯების ვალდებულება, რაც დაკავშირებულია იჯარით აღებული აქტივის დემონტაჟთან და გატანასთან, მისი მდებარეობის ადგილის აღდგენასთან ან შესაბამისი აქტივის იჯარის პირობებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში მოყვანასთან, აღიარდება რეზერვი, რომელიც ფასდება ბასს 37-ის საფუძველზე. თუ ხარჯები გამოყენების უფლების მატარებელ აქტივთანაა დაკავშირებული, ისინი შედის შესაბამისი აქტივის ღირებულებაში, თუ ამ ხარჯების გაწევა მარაგების შექმნასთან არაა დაკავშირებული.

გამოყენების უფლების მატარებელ აქტივებს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და შესაბამისი აქტივის მოხმარების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში. თუ იჯარით ხდება შესაბამისი აქტივის საკუთრების უფლების გადაცემა ან გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის ღირებულებაში ასახლია, რომ ჯგუფი მოელის შესყიდვის ოფციონის რეალიზებას, შესაბამის გამოყენების უფლების მატარებელ აქტივს ცვეთა ერიცხება აქტივის მოხმარების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება იჯარის დაწყებისას.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია დამოუკიდებელ მუხლში.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის გაუფასურების დასადგენად გამოიყენება ბასს 36. გაუფასურების გამოვლენილი ზარალი აღირიცხება „ძირითადი საშუალებების“ პოლიტიკაში აღწერილი წესით.

პრაქტიკული შეღავათის სახით, ფასს 16 მოიჯარეს უფლებას აძლევს, არ დააცალკევოს არასაიჯარო კომპონენტები და საიჯარო და შესაბამისი არასაიჯარო კომპონენტები ერთი გარიგების ფარგლებში აღრიცხოს. ჯგუფს ეს პრაქტიკული შეღავათი არ გამოუყენებია.

მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან - როდესაც ჯგუფი არის მეიჯარე ისეთ იჯარაში, რომლითაც მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი მოიჯარეს გადაეცემა, იჯარით გაცემული ქონება აისახება როგორც მოთხოვნა ფინანსური იჯარიდან და აღირიცხება მომავალი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან თავდაპირველად აღიარდება იჯარის დაწყებისას (როდესაც იწყება იჯარის ვადა) იჯარის ძალაში შესვლისას (უადრესი საიჯარო ხელშეკრულების თარიღსა და იჯარის საკვანძო პირობებზე მხარეთა მიერ ვალდებულებებზე შეთანხმების თარიღს შორის) დადგენილი დისკონტირების განაკვეთით. აღნიშნული შემოსავლის აღიარება ხდება იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარიდან მიღებული ფინანსური შემოსავალი აღირიცხება წლის მოგება-ზარალში, ფინანსური შემოსავლის მუხლში.

უცხოური ვალუტა – ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. რეალური (სამართლიანი) ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვება.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ჯგუფმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
GEL/USD	3.2766	2.8677
GEL/EUR	4.0233	3.2095

სესხის აღების ხარჯები – იმ აქტივების შეძენასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებული ნასესხები სახსრების ხარჯები, რომელთა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ მომზადებას მნიშვნელოვანი დრო სჭირდება, აღირიცხება ამ აქტივების ხარჯების ნაწილის სახით მანამ, სანამ ეს აქტივები არ იქნება არსებითად მზად გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

ყველა სხვა სასესხო ხარჯი აღიარდება მათი გაწევის შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი – 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით, როდესაც მანამდე მოქმედი მოდელით დაბეგვრამდე მოგებას 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, მოგება კომპანიაში რჩებოდა თუ გაიცემოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ის ჯგუფზეც ვრცელდება. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

გარდა განაწილებული მოგების გადასახადისა, სხვა ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები“.
ახალი რეგულაციის შედეგად ჯგუფი აღარ არიცხავს გადასახადს მიღებულ მოგებას და მოგების გადასახადს მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში იხდის.

სამთავრობო გრანტი და გადავადებული შემოსავალი - აქტივებთან დაკავშირებული სამთავრობო გრანტები, მათ შორის, არაფულადი გრანტები საბაზრო ღირებულებით წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშის „ძირითადი საშუალებები და გადავადებული შემოსავალი“ ნაწილში. სამთავრობო გრანტი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში სისტემატიური სიხშირით იმავე პერიოდებში, რომელშიც აღირიცხება ამ გრანტით ასანაზღაურებელი ხარჯები.

ძირითადი საშუალებები – ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც გამოაკლდება აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ხარჯები, არსებობის შემთხვევაში.

ძირითად საშუალებების აქტივის თვითღირებულება დგინდება (ა) მისი შესასყიდი ღირებულებით, რომლშიც გათვალისწინებულია იმპორტირების ხარჯები და შესყიდვასთან დაკავშირებული არა-დაბრუნებად გადასახადები, გაქვითულია სავაჭრო ფასდაკლებები და შეღავათები; (ბ) ნებისმიერი ხარჯი, რაც გაიწევა აქტივის ისეთი ფუნქციონირებისათვის საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად, რაც ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ არის გამიზნული; (გ)იმ ხარჯების პირველადი შეფასება, რაც საჭირო იქნება საგნის დემონტაჟისა და გამოყოფისათვის და იმ ტერიტორიის აღსადგენად, სადაც ნივთია განთავსებული; (დ) ჯგუფის მიერ აღებული ვალდებულებები ნივთის შეძენასა და ისეთ გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც სრულდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში და არაა დაკავშირებული მარაგების წარმოებასთან; და (ე) განსაკუთრებული აქტივის შემთხვევაში, სასესხო ხარჯები, რომლებიც კაპიტალიზებულია ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკის შესაბამისად.
შედეგად კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაწეულ შეკეთებასა და ჩანაცვლებაზე მნიშვნელოვან დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებენ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას ან ზრდიან მის წარმადობას. ისეთი სარემონტო დანახარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კაპიტალიზაციის აღნიშნულ კრიტერიუმს, აღირიცხება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაწეული ხარჯების სახით.

ძირითადი საშულებების ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე. ძირითადი საშულებების სასარგებლო მომსახურების ვადა შემდეგია:

ძირითადი საშუალებების კატეგორიებია	წლები
შენობები	10-50
მანქანა-დანადგარები	5-30
სატრანსპორტო საშუალებები	5-30
საოფისე აღჭურვილობა	3-15
სხვა უძრავი აქტივები	5-15

მიწის ნაკვეთზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ცვეთადი ღირებულება წარმოადგენს ძირითადი საშუალების ერთეულის ღირებულებას გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება. ნარჩენი ღირებულება არის ის შეფასებული ღირებულება, რასაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალების ამ ერთეულის რეალიზაციით, რეალიზაციის შეფასებული ხარჯების გამოკლებით, ეს აქტივი რომ იყოს იმ ასაკისა და მდგომარეობის, რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მოხმარების ვადის ბოლოს.

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მოხმარების ვადები და ცვეთის დარიცხვის მეთოდი. წინა შეფასებებში განხორციელებული ცვლილებები აისახება შეფასების შესაბამის წესებში სამომავლო გამოყენებისათვის.

მოგება ან ზარალი მიღებული ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მიმდინარე მშენებლობა მოიცავს ძირითადი საშუალების მშენებლობასთან დაკავშირებულ პირდაპირ და ცვლად დანახარჯებს. მიმდინარე მშენებლობას ცვეთის ხარჯი არ ერიცხება. ისევე, როგორც ძირითადი საშუალებების სხვა ნივთების შემთხვევაში, მიმდინარე მშენებლობაზე ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც ნივთი გახდება გამოსაყენებლად ვარგისი, ანუ როდესაც ისინი მიაღწევენ ხელმძღვანელობის მიზნებისათვის ასამუშავებლად საჭირო მდებარეობასა და მდგომარეობას.

გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები - გრძელვადიანი აქტივები გასაყიდად განკუთვნილად კლასიფიცირდება, თუ მათი საბალანსო ღირებულების ამოღება არსებითად უნდა მოხდეს გაყიდვის ტრანზაქციით და არა მისი უწყვეტი გამოყენებით. ეს პირობა დაკმაყოფილებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივის გაყიდვა შესაძლებელია დაუყოვნებლივ, არსებულ მდგომარეობაში და მხოლოდ იმ პირობებით, რომლებიც ჩვეულებრივ ახასიათებს ამგვარი აქტივის გაყიდვას და თუ მისი გაყიდვა მაღალალბათურია. მენეჯმენტს მიზნად უნდა ჰქონდეს დასახული მისი გაყიდვა და მოსალოდნელი იუნდა

იყოს, რომ გაყიდვის გარიგება კლასიფიკაციის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში კვალიფიცირდება როგორც დასრულებული გაყიდვა.

გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები აღირიცხება მათი წინა საბალანსო ღირებულებასა და სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის უმცირესით.

აქტივების გაუფასურება – თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ამოწმებს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას გაუფასურების ნიშნების არსებობაზე. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება გაუფასურების ზარალის მასშტაბები (არსებობის შემთხვევაში). თუ ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების შეფასება შეუძლებელია, ჯგუფი აფასებს იმ შემოსავლის მომტანი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი განეკუთვნება. თუ ღირებულების განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, ჯგუფის აქტივები აგრეთვე ნაწილდება შემოსავლის მომტან ინდივიდუალურ ერთეულებზე. სხვა შემთხვევაში ხდება მათი მიკუთვნება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულის უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვისაც განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება არის სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას საპროგნოზო მომავალი ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირდება გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელშიც ასახულია ფულის დროში ღირებულების ბაზრისეული შეფასება და აქტივისთვის დამახასიათებელი ის რისკები, რომელთა მიხედვით მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზი არ კორექტირებულა.

თუ შეფასებით დადგინდა, რომ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება, მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მის აღდგენით ღირებულებამდე მცირდება. გაუფასურების დანაკარგი დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გაუფასურების დანაკარგის გაუქმების შემთხვევაში, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მის კორექტირებულ საპროგნოზო აღდგენით ღირებულებამდე იზრდება, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს ისეთ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა დადგენილი ამ აქტივისთვის წინა წლებში მასზე (ან შემოსავლის მომტან ერთეულზე) გაუფასურების დანაკარგის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

გაუფასურების დანაკარგის გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი ტერმინები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, ან თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებისას გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში ჯგუფი ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ლი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ სამართლიანი ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად სამართლიანი ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ლი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ლ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირდება, თუ კოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას ხდება მათი შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ჯგუფის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის პირველი გამოყენების დღის, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს სატრანსპორტო და სარეკლამო მომსახურების გაყიდვით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას. ეს ჯგუფის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად ჯგუფს კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდია. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება.

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (ი) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (იი) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არა-დაკავშირებულ მეამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებების შეფასების შემდეგი კატეგორიები არსებობს: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური წარმოებულები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ნებისმიერი ყიდვა და გაყიდვა ფინანსური აქტივებისა, რომელთა მოწოდებისთვის დადგენილია სარეგულაციო და საბაზრო ვადები („რეგულარული“ ყიდვა-გაყიდვა), აღირიცხება გარიგების თარიღის მიხედვით, რა დროსაც ჯგუფი იღებს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა სახის ნასყიდობა აღიარდება მას შემდეგ, რაც პირი ხდება მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებისა.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები. ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფული და ფულის ექვივალენტები – ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს წვრილ ფულს, საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულს, ფული გამოყენების შეზღუდვებით, ფული გზაში, დეპოზიტები, რომელთა დაუყოვნებლივი გამოთხოვა შესაძლებელია ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები – სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომლებზედაც არ ვრცელდება საპროცენტო განაკვეთი, აღირიცხება ნომინალური ოდენობით. მომავალში ამოღების გარეშე დარჩენილი თანხების შესაბამისი რეზერვი აისახება მოგება-ზარალში, თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივი გაუფასურებულია. აღიარებული რეზერვი გამოითვლება აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულებას შორის სხვაობიდან, რაც დისკონტირდება პირველადი აღიარების დროს მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ოდენობით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსდ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგებისათვის (12 თვიანი მსდ). ისეთი კრედიტებისათვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსდ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში ჯგუფში 12 თვიანი მსდ იქმნება.

კოლექტიურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი მსდ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღისათვის, მსდ არსებობის პერიოდის საფუძველზე. ჯგუფმა შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი ფორვარდული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც დამახასიათებელი მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოსათვის.

ინდივიდუალურად გამოყოფილი აქტივების შემთხვევაში ჯგუფი ნაგულისხმევი პარამეტრებით აფასებს ზღვრული ალბათობის რისკს, ნაგულისხმევი პარამეტრის დადგომის საშიშროებას და ნაგულისხმევი პარამეტრის ზარალს. როდესაც საორიენტაციო მიდგომის გამოყენება შეუძლებელია, ჯგუფი იყენებს კოლექტიური შეფასების რისკის პარამეტრებს მოსალოდნელი ზარალის გამოსათვლელად. საორიენტაციო მიდგომის გამოყენების მთავარი ფაქტორია საგარეო შეფასების მოპოვება ან გარე შეფასების საორიენტაციო მაჩვენებელია კონტრაგენტის ფინანსური თანაფარდობის ანალიზის ჩვენებისას. ჯგუფი იკვლევს გარე შეფასების ხელმისაწვდომობას ღია წყაროების საშუალებით, მათ შორის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების ვებსაიტებზე: Moody's, Fitch და S& Ps. როდესაც გარე შეფასება არ არის ხელმისაწვდომი,

ჯგუფი იღებს კონტრაქტის ფინანსურ ანგარიშგებას და განსაზღვრავს საორიენტაციო შეფასებას ფინანსური კოეფიციენტების საფუძველზე, Moody's– ის ფინანსური კოეფიციენტების მისადაგებით.

საექსპერტო შეფასების გამოყენება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ისეთ შემთხვევაში, როცა არ მოიპოვებოდა სარეზერვო მატრიცის ჩამოსაყალიბებლად საჭირო ისტორიული ინფორმაცია. არა-ანაზღაურებადი ოდენობის გამოსათვლელად გაუფასურების ხარისხი მრავლდება მოთხოვნის შესაბამის ოდენობაზე იმ პერიოდისთვის, რომელში ხდება გამოთვლა.

ყველა შემთხვევაში ჯგუფი მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება, სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადა გადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

მარაგები – სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგის ღირებულება განისაზღვრება დაანგარიშებული საშუალო ფასით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გაქვითულია დასრულებისა და გაყიდვის საანგარიშო ხარჯები.

რეზერვები – რეზერვები აღიარდება, როდესაც ჯგუფს უჩნდება მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) წარსული მოვლენის გამო, სავარაუდოა, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა.

რეზერვად აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო დღეს მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო კომპენსაციის შეფასებული ოდენობა, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც რეზერვი ფასდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად სავარაუდოდ საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ვალდებულება.

თუ რეზერვის დასაფარად საჭირო ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი მესამე მხარისგან უნდა იქნას მიღებული, მოთხოვნა აქტივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღება თითქმის გარანტირებულია და მოთხოვნის ოდენობა სარწმუნოდ იზომება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები – პირობითი ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება. ისინი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განიმარტება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების პერსპექტივა შორეულია. პირობითი აქტივების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, მაგრამ ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში განიმარტება, თუ სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სააქციო კაპიტალი – სააქციო კაპიტალი აღირიცხება ჯგუფის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები – დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული დივიდენდი შესაბამისად აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები – გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოიქვითება გაუფასურების რეზერვი.

მიღებული ავანსები – მიღებული ავანსები შედგება საწვავისა და სხვა მიზნებისათვის წინასწარ მიღებული ფულისგან. წინასწარ მიღებული ოდენობები არ აღირიცხება შემოსავლად მანამ, სანამ არ მოხდება შესაბამისი პროდუქტია თუ მომსახურების მიწოდება მომხმარებლისათვის.

6. კრიტიკული საღრიცხვო შეფასებები და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

შენიშვნაში 5-ში ჩამოთვლილი საღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. საღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შეფასებათა განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების გაუფასურება - ხელმძღვანელობამ 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩაატარა გაუფასურების ანალიზი, რომლის საფუძველზეც გამოვლინდა მეტროსა და ავტობუსების, როგორც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების, ზარალიანობა, ისინი ვერ უზრუნველყოფდნენ ბიზნესისათვის სტაბილური საოპერაციო საქმიანობების წარმართვისათვის საჭირო შემოსავალს სამთავრობო დახმარების გარეშე, რომელიც კაპიტალში შენატანების სახით ხორციელდება.

2020 და 2019 წლების განმავლობაში მოხდა ახალი ავტობუსების შესყიდვა და ავტოპარკის განახლება. ვინაიდან ეს ავტობუსები ახლადშესყიდული ავტობუსებია, რომელთა ყიდვა-გაყიდვა შესაძლებელია აქტიურ ბაზარზე და არ წარმოადგენს სპეციალიზებულ აქტივებს, აგრეთვე რადგან არ არსებობდა გაუფასურების ნიშნები, რომლებიც ბაზარზე ავტობუსის ფასებთან იქნებოდა დაკავშირებული, მენეჯმენტმა დაასკვნა, რომ შესაძლებელია მათი საბალანსო ღირებულების აღდგენა აქტიურ ბაზარზე გაყიდვის გზით. ამდენად, ახლადშესყიდულ ავტობუსებზე გაუფასურების აღიარება არ მომხდარა. გაუფასურება ერიცხება ძველ ავტობუსებს და ახლა ისინი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯართის ღირებულებითაა აღიარებული.

2020 და 2019 წლების განმავლობაში ჯგუფმა ჩაატარა მეტროს სარეაბილიტაციო სამუშაოები და განახორციელა კაპიტალური დანახარჯები აქტივებზე. კერძოდ, ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რამდენიმე ესკალატორი და ვაგონებში ახლით ჩაანაცვლა მნიშვნელოვანი კომპონენტები, რითაც არსებითად არ გაზრდილა ესკალატორებისა და ვაგონების წონა. ასევე მეტროში განხორციელდა გარკვეული დამატებებიც. ვინაიდან მეტრო ზარალიანი ფულად სახსრების წარმომქმნელი ერთეულია, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სტაბილური ბიზნეს ოპერაციებისათვის საჭირო შემოსავლების მიღებას, ხელმძღვანელობამ შეაფასა ამ აქტივების გაუფასურება და მიიღო გადაწყვეტილება სრულად დაერიცხა მათზე გაუფასურება, რადგან ისინი წარმოადგენენ სპეციალიზებულ აქტივებს, რომელთა მოქმედ ბაზარზე გაყიდვა შეუძლებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა - ძირითადი საშუალებების ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ხდება მსგავს აქტივებთან მუშაობის მათეული გამოცდილების საფუძველზე. სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკური დაძველების მაჩვენებელს, ფიზიკურ ცვეთას და იმ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. რომელიმე ამ გარემოების ან მაჩვენებლის ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს გაუფასურების განაკვეთის სამომავლო კორექტირება.

დაბეგვრა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა იძლევა მრავალგვარი განმარტებებისა და ცვლილებების საფუძველს. ამასთან, ვინაიდან საგადასახადო კანონმდებლობის ჯგუფის მმართველობისეული განმარტება შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო უწყებების განმარტებებისაგან, უწყებებმა შესაძლოა სადაოდ გახადონ ტრანსაქციები, რის შედეგადაც ჯგუფს შესაძლოა დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფი თვლის, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება, ამიტომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ განხორციელებულა რაიმე დარეზერვება. საგადასახადო წელი 3 წლის განმავლობაში ღიაა საგადასახადო უწყებების მხრიდან შემოწმებისათვის.

სამართლებრივი მოთხოვნების საფუძვლები – სამართლებრივი მოთხოვნების ალბათობა ხელმძღვანელობის შეფასების საგანია. შესაძლო დავის შეფასებისას ხელმძღვანელობა განიხილავს სამართლებრივი წარმოების შესაძლო შედეგებს, საფრთხეებისა და დავასთან დაკავშირებული უზუსტობების გათვალისწინებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის შესაძლო საკრედიტო დანაკარგის რეზერვები - ჯგუფი ქმნის რეზერვებს სავაჭრო და სხვა სახის მოთხოვნების შესაძლო საკრედიტო დანაკარგებზე. მნიშვნელოვანი დაშვებებია საჭირო ამ რეზერვების ოდენობის განსაზღვრისათვის. საკრედიტო დანაკარგებზე რეზერვების შექმნისას მხედველობაში მიიღება მომხმარებლის ქცევის ისტორიული და მოსალოდნელი ქცევა. მყიდველის ეკონომიკური თუ ინდივიდუალური გარემოებების ცვლილებების გამო საჭირო ხდება სარეზერვო ოდენობების კორექტირება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო დანაკარგებისათვის შექმნილი რეზერვი შეადგენდა 2,700 ათას ლარს და 2,642 ათასი ლარს, შესაბამისად.

7. შემოსავალი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ჯგუფის შემოსავალი მოიცავს:

	2020	2019
შემოსავალი ავტობუსებიდან	37,449	66,802
შემოსავალი მეტროდან	34,253	67,851
შემოსავალი საბაგიროდან	520	4,788
სულ	**72,222**	**139,441**

მოქალაქეთა გარკვეული კატეგორია თბილისის ადმინისტრაციულ ფარგლებში მეტროსა და ავტობუსების რეგულარული რეისებისათვის გათავისუფლებულია ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან, ან სარგებლობს ფასდაკლებით პლასტიკური საშვით ერთჯერადად გადახდით. ფასდაკლების ოდენობას ჯგუფს უნაზღაურებს თბილისის მერია.

2020 და 2019 წელს ჯგუფმა მთავრობისაგან მიიღო ანაზღაურება ავტობუსის სამგზავრო საშვებისათვის 20,051 ათასი ლარისა და 37,717 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2020 და 2019 წელს ჯგუფმა მთავრობისაგან მიიღო ანაზღაურება მეტროს სამგზავრო საშვებისათვის 15,505 ათასი და 30,764 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

8. სხვა შემოსავალი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ჯგუფის სხვა შემოსავალი მოიცავს:

	2020	2019
საიჯარო შემოსავალი	2,633	3,239
შემოსავალი მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან	1,881	1,881
შემოსავალი გატარების მომსახურებიდან	1,435	1,439
შემოსავალი ჯართის ფორმით არსებული მარაგებიდან	1,031	285
შემოსავალი რეკლამიდან	557	621
სხვა	512	318
სულ	**8,049**	**7,783**

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებულ წლების შემოსავალი მომსახურების ხელშეკრულებიდან და შემოსავალი რეკლამიდან დროის პერიოდის განმავლობაში აღიარებულია წრფივი მეთოდით.

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ჯგუფის სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავდა:

	2020	2019
გადახდილი ავანსების გაუფასურების გაუქმება	(108)	-
ფულისა და ფულის ეკვივალენტების გაუფასურების გაუქმება	-	(91)
შეკეთების ხარჯები	8,766	3,885
მარაგების რეზერვი, წმინდა	1,880	686
წყლის ხარჯები	902	870
პროფესიული ხარჯები	671	878
მიწოდების ხარჯები	203	427
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება, წმინდა	58	8,616
ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ხარჯები	-	2,289
სხვა	1,910	1,627
სულ	**14,282**	**19,187**

10. სხვა არა-საოპერაციო (ხარჯები)შემოსავალი, წმინდა

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ჯგუფის მიერ მიღებული სხვა არა-საოპერაციო შემოსავალი მოიცავდა:

	2020	2019
საგადასახადო ანარიცხის გაუქმება	3,862	-
შემოსავალი პირგასამტეხლოებიდან	626	2,204
შემოსავალი სამთავრობო გრანტიდან	150	150
სხვა შემოსავალი	752	524
მართვის ხელშეკრულების შეწყვეტა	(12,991)	-
სხვა ხარჯები	(153)	(930)
სულ	**(7,754)**	**1,948**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის 12,991 ათასი ლარის ოდენობის მართვის ხელშეკრულების შეწყვეტის ღირებულება წარმოადგენს ხელშეკრულების ნაადრევი შეწყვეტის კომპენსაციას. 2018 წელს თბილისის მერიამ საპარკინგე ადგილების მართვა გადასცა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ და შეწყვიტა ხელშეკრულება არსებულ მმართველ კომპანიასთან, რომელმაც ხელშეკრულების ნაადრევი შეწყვეტისათვის მოითხოვა კომპენსაცია. ვინაიდან საპარკინგე ადგილების მართვა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას გადაეცა“, თბილისის მერიამ გადაწყვეტილება მიიღო, კომპენსაციის თანხის გადახდა ჯგუფისათვის დაეკისრებინა.

სახელმწიფო გრანტიდან მიღებული შემოსავალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის წარმოადგენს 2011 წელს მთავრობის მიერ განუსაზღვრელი ვადით, უსასყიდლოდ, მიღებული შენობა-ნაგებობის ღირებულებასთან დაკავშირებული გადავადებული შემოსავლის ამორტიზაციას. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ამ შენობის გამოყენება მოხდება მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფმა აღიარა ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 11) და გადავადებული შემოსავალი (შენიშვნა 20) და ორივეს ამორტიზაციას ახორციელებს წრფივი მეთოდით, სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისად.

11. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა	სხვა უძრავი აქტივები	მიმდინარე მშენებლობა	სულ
ღირებულება								
2019 წლის 1 იანვარი	**49,147**	**46,672**	**16,096**	**139,119**	**1,280**	**711**	**2,953**	**255,978**
დამატება	2,183	205	2,054	161,032	1,279	152	5,417	172,322
გადატანა	-	781	1,025	1,711	-	-	(3,517)	-
ჩამოწერა	-	-	-	(194)	-	-	-	(194)
2019 წლის 31 დეკემბერი	**51,330**	**47,658**	**19,175**	**301,668**	**2,559**	**863**	**4,853**	**428,106**
დამატება	6,592	444	-	160,322	2,628	1,706	14,206	185,898
გადატანა	-	175	-	1564	-	-	(1,739)	-
ჩამოწერა	-	(142)	(54)	(126)	(2)	(4)	-	(328)
2020 წლის 31 დეკემბერი	**57,922**	**48,135**	**19,121**	**463,428**	**5,185**	**2,565**	**17,320**	**613,676**
დაგროვილი ცვეთა								
2019 წლის 1 იანვარს	**-**	**5,352**	**2,365**	**45,752**	**327**	**470**	**1,498**	**55,764**
ცვეთის დარიცხვა	-	2,592	939	17,128	356	116	-	21,131
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	(50)	-	-	-	(50)
გაუფასურების ზარალი	-	769	1,624	29,600	-	70	1,900	33,963
2019 წლის 31 დეკემბერი	**-**	**8,713**	**4,928**	**92,430**	**683**	**656**	**3,398**	**110,808**
ცვეთის დარიცხვა	-	2,542	812	28,178	995	276	-	32,803
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	(9)	(1)	(23)	(2)	(4)	-	(39)
გაუფასურების ზარალი	-	157	-	22,178	-	-	4,097	26,432
2020 წლის 31 დეკემბერი	**-**	**11,403**	**5,739**	**142,763**	**1,676**	**928**	**7,495**	**170,004**
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2019 წლის 31 დეკემბერს	**51,330**	**38,945**	**14,247**	**209,238**	**1,876**	**207**	**1,455**	**317,298**
2020 წლის 31 დეკემბერს	**57,922**	**36,732**	**13,382**	**320,665**	**3,509**	**1,637**	**9,825**	**443,672**

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გაცვეთილმა და გაუფასურებულმა აქტივებმა შეადგინა 126,426 ათასი და 101,720 ათასი ლარი, შესაბამისად.

2019 წლის განმავლობაში ჯგუფმა შეისყიდა „მანის" სახეობის 90 და „ისუძუ ნოვოსიტი ლაიფის" სახეობის 220 ავტობუსი. შესყიდვის მიზანია იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და ქალაქის მასშტაბით ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის წარმადობის გაზრდა.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს ძირითადი საშუალებები მოიცავდა 2011 წელს მთავრობისაგან უსასყიდლოდ და განუსაზღვრელი ვადით მიღებულ ადმინისტრაციულ შენობას. ხელმძღვანელობა ვარაუდობს შენობის გამოყენებას მისი სასარგებლო მომსახურების სრული ვადით. ჯგუფმა აღიარა ძირითადი საშუალებები და გადავადებული შემოსავალი და ორივე შემთხვევაში არიცხავს ამორტიზაციას წრფივი მეთოდით შენობის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, როგორც ამას ითვალისწინებს სამთავრობო გრანტის აღრიცხვის საბუღალტრო წესები.

12. ინვესტიციები ასოცირებულ საწარმოებში.

ასოცირებული კომპანიები რეგისტრირებულია საქართველოში და 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

		2020 წლის 31 დეკემბერი		2019 წლის 31 დეკემბერი	
დასახელება	საქმიანობის ტიპი	საბალანსო ღირებულება	წილობრივი მონაწილეობა	საბალანსო ღირებულება	წილობრივი მონაწილეობა
სს ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალი	სარემონ. სამუშაოები	2,886	50%	2,886	50%
სს რემონტაჟსერვისი	უმოქმედო	-	50%	-	50%
შპს მთბი	უმოქმედო	-	20%	-	20%
სულ		**2,886**		**2,886**	

13. მარაგები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აღირიცხებოდა შემდეგი მარაგები:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სათადარიგო ნაწილები	20,595	17,756
საწვავი	523	585
	21,118	18,341
რეზერვები	(8,984)	(7,104)
სულ	**12,134**	**11,237**

ცვლილებები სარეზერვო რაოდენობებში:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ბალანსი პერიოდის დასაწყისში	**(7,104)**	**(6,786)**
ნედლეულის დამატებითი რეზერვი	(2,737)	(2,234)
მარაგების ჩამოწერა	-	368
ნედლეულის რეზერვის გაუქმება	857	1,548
ბალანსი პერიოდის დასასრულს	**(8,984)**	**(7,104)**

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავდა შემდეგს:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,924	1,753
მოთხოვნები თანამშრომლებიდან	132	41
სხვა მოთხოვნები	1,149	1,592
	3,205	3,386
საეჭვო ვალების გაუფასურების რეზერვი	(2,700)	(2,642)
სულ	**505**	**744**

მოთხოვნის ანაზღაურებადობის შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სავაჭრო მოთხოვნის ცვალებადობას მისი წარმოშობიდან ანგარიშგების თარიღამდე. მომხმარებელთა ფართო ბაზებისა და განსხვავებულობის გათვალისწინებით საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია.

საეჭვო ვალების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ბალანსი პერიოდის დასაწყისში	(2,642)	**(2,243)**
მოთხოვნებზე აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(289)	(8,638)
წლის განმავლობაში ამოუღებლად ჩამოწერილი თანხები	-	8,217
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღდგენა	231	22
ბალანსი პერიოდის დასასრულს	**(2,700)**	**(2,642)**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლის სავაჭრო და სხვა სახის მოთხოვნების გაუფასურება და ჩამოწერა 8,217 ათასი ლარის ოდენობით, მოიცავდა თბილისის მერიიდან მისაღები მოთხოვნების გაუფასურებას. თბილისის მერიამ არ აანაზღაურა კომპენსაციის ის ოდენობა, რომელიც გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისათვის ფასდაკლებების მიწოდებასთან დაკავშირებით უნდა მიეღო ჯგუფს (შენიშვნა 23).

წარმოდგენილია მოთხოვნების ანალიზი ხანდაზმულობის მიხედვით:

2020 წლის 31 დეკემბერი (ლარი '000)	დროული	- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	- 30-დან 90 დღემდე	- 91 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
ვადაგადაცილებული მოთხოვნის საბალანსო მთლიანი ოდენობა	443	21	80	2,661	**3,205**
მსზ არსებობის მანძილზე	(9)	(2)	(28)	(2,661)	**(2,700)**

2019 წლის 31 დეკემბერი (ლარი '000)	დროული	- 30 დღეზე ნაკლები ვადა გადაცილებით	- 30-დან 90 დღემდე	- 91 დღეზე მეტო ვადა გადაცილება	სულ
ვადაგადაცილებული მოთხოვნის საბალანსო მთლიანი ოდენობა	651	51	101	2,583	**3,386**
მსზ არსებობის მანძილზე	(18)	(5)	(36)	(2,583)	**(2,642)**

საკრედიტო რისკის შეფასებითი შკალა:

	2020 წლის 31 დეკემბერი		
(ლარი'000)	მსდ არსებობის მანძილზე - გაუფასურების გარეშე	მსდ არსებობის მანძილზე – გაუფასურებული	სულ
ვადაგადაუცილებელი	9	-	9
0-30 ვადაგადაცილება	2	-	2
30-90 ვადაგადაცილება	28	-	28
90> ვადაგადაცილება	-	2,661	2,661
სულ	39	2,661	2,700

	2019 წლის 31 დეკემბერი		
(ლარი'000)	მსდ არსებობის მანძილზე - გაუფასურების გარეშე	მსდ არსებობის მანძილზე – გაუფასურებული კრედიტი	სულ
არავადაგადაცილებული	18	-	18
0-30 ვადაგადაცილება	5	-	5
30-90 ვადაგადაცილება	36	-	36
90>ვადაგადაცილება	-	2,583	2,583
სულ	59	2,583	2,642

15. მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან

2020 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში ჯგუფმა გააფორმა ფინანსური იჯარის გარიგებები, რომელშიც იგი გამოვიდა როგორც მეიჯარე. ჯგუფმა ოთხ კონტრაგენტზე იჯარით გასცა 109 ცალი M2 ტიპის ავტობუსი მათი შესყიდვის ოფციით.

ჯგუფს საიჯარო გარიგებებიდან გამომდინარე სავალუტო რისკი არ ეკისრება, რადგან ყველა იჯარა დენომინირებულია ადგილობრივ ვალუტაში. იჯარით გაცემულ საშუალებებზე ნარჩენი ღირებულების რისკი უმნიშვნელოა, რადგან არსებობს აღნიშნული საშუალებების მეორეული ბაზარი.

ჯგუფის მენეჯმენტის შეფასებით, საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური იჯარიდან მისაღებ მოთხოვნებზე ზარალის ანარიცხები ნულის ტოლია. საანგარიშო პერიოდის ბოლოს არც ერთი მოთხოვნა ფინანსური იჯარიდან ვადაგადაცილებული არ არის და იმ დარგების სამომავლო პერსპექტივებიდან გამომდინარე, რომლებშიც მოიჯარეები ოპერირებენ და აღნიშნულ ფინანსური იჯარის მოთხოვნებზე მიღებული უზრუნველყოფის ღირებულების გათვალისწინებით, ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არც ერთი მოთხოვნა ფინანსური იჯარიდან გაუფასურებული არ არის.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ, 2021 წლის 1 ივლისს ყველა კონტრაგენტმა განახორციელა ავტობუსების შესყიდვის უფლება.

16. გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გასაყიდად განკუთვნილ გრძელვადიან აქტივებში შედის M2 ტიპის 191 ავტობუსი. მენეჯმენტი გეგმავს მათ იჯარით გაცემას ან გაყიდვას.

საანგარიშო თარიღის შემდგომ ჯგუფმა გააფორმა ფინანსური იჯარის გარიგებები, რომელშიც იგი გამოვიდა როგორც მეიჯარე. ჯგუფმა ოთხ კონტრაგენტზე იჯარით გასცა 191 ცალი M2 ტიპის ავტობუსი მათი შესყიდვის ოფციით.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ, 2021 წლის 1 ივლისს ყველა კონტრაგენტმა განახორციელა ავტობუსების შესყიდვის უფლება.

17. მომწოდებელთათვის გადახდილი ავანსები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსები იყო შემდეგი:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ქვემოიჯარეებზე გადახდილი ავანსები	-	81
სულ მომწოდებელთათვის გადახდილი მიმდინარე ავანსები	**-**	**81**
ავანსები ძირითადი საშუალებებისათვის	1,062	5,245
სულ მომწოდებელთათვის გადახდილი გრძელვადიანი ავანსები	**1,062**	**5,245**
სულ	**1,062**	**5,326**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უძრავი ქონებისათვის გადახდილი ავანსი შედგებოდა შპს „ტოქსისოფტისათვის“ დისპეტჩერიზაციის ცენტრალიზაციის სისტემის შეძენა-იმპორტში გადახდილი 731 ათასი ლარისგან და ასოცირებული საწარმო სს „ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალი“-სთვის მეტროს სარეაბილიტაციო სამუშაოებსა და მსხვილი ნაწილების ჩანაცვლებაში გადახდილი 3,583 ათასი ლარისაგან.

18. ფული და ფულის ექვივალენტები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულისა და ფულის ექვივალენტები მოიცავდა შემდეგს:

	2020 წლის 31 დეკემბერს	2019 წლის 31 დეკემბერს
ხელზე არსებული ნაღდი ფული	-	3
ბანკებში განთავსებული ნაღდი ფული	33,252	68,417
საბანკო დეპოზიტი	-	-
	33,252	68,420
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	-	(1)
სულ	**33,252**	**68,419**

19. გამოშვებული კაპიტალი

2020 წლის განმავლობაში თბილისის მერიამ შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის კაპიტალში შენატანის სახით განახორციელა ფულადი და არაფულადი შენატანები ძირითადი საშუალებების სახით, ღირებულებით 289,370 ათასი და 7,023 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2019 წლის განმავლობაში თბილისის მერიამ შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის კაპიტალში შენატანის სახით განახორციელა ფულადი და არაფულადი შენატანები ძირითადი საშუალებებისა და მარაგების სახით, ღირებულებით 30,975 ათასი და 2,109 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს ჯგუფის სადამფუძნებლო აქციების 100% მფლობელი იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მერია და საბოლოო მფლობელი საქართველოს მთავრობა.

20. გადავადებული შემოსავალი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული შემოსავალი იყო შემდეგი:

	2020 წლის 31 დეკემბერს	2019 წლის 31 დეკემბერს
გადავადებული შემოსავალი მომსახურების ხელშეკრულებებიდან	14,499	16,381
გადავადებული შემოსავალი სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულებებიდან	10,075	10,633
გადავადებული შემოსავალი სამთავრობო გრანტიდან	6,145	6,294
გადავადებული შემოსავალი პარკირებიდან	1,352	1,862
სულ გადავადებული შემოსავალი	**32,071**	**35,170**
გადავადებული შემოსავლის მოკლევადიანი ნაწილი	3,940	4,450
გადავადებული შემოსავლის გრძელვადიანი ნაწილი	28,131	30,720

გადავადებული შემოსავალი მომსახურების ხელშეკრულებიდან მოიცავს გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში მიღებულ ნაღდ ფულს. 2017 წელს ჯგუფმა გამოაცხადა ტენდერი ბანკებისაგან მეტროს, ავტობუსებისა და საბაგირო ტრანსპორტისათვის კომპიუტერული მოწყობილობების მიწოდებასა და პლასტიკური ბარათით გადახდის მომსახურების შესასყიდად, რომელიც 2019 წლიდან 10 წლის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო. ტენდერი სს „საქართველოს ბანკმა" მოიგო, მან ჯგუფს გადაუხადა 22,200,000 ლარი, დღგ-ს ჩათვლით. 2017 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მომსახურების შესრულების ვადა განისაზღვრა 2018 წლის 15 სექტემბრიდან 2028 წლის 15 სექტემბრამდე. შემოსავალი ჯგუფის მიერ აღიარებულია წრფივი მეთოდით მთელი პერიოდის განმავლობაში.

გადავადებული შემოსავალი სარეკლამო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან წარმოადგენს გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში მიღებულ თანხას. 2019 წელს ჯგუფმა გამოაცხადა ტენდერი სარეკლამო კომპანიებისათვის, რომლის ფარგლებში გამარჯვებულს ეძლეოდა ჯგუფის კუთვნილი სარეკლამო ფართობების გამოყენების უფლება 20 წლით, 2020 წლის თებერვლიდან მოყოლებული. ტენდერში გაიმარჯვა შპს „ალმამ" და ჯგუფს დღგ-ის ჩათვლით გადაუხადა 14,547 ათასი ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა 2019 წლის 6 თებერვალს და მის მიხედვით, მომსახურების გაწევა მოხდება 2019 წლის 6 თებერვლიდან 2039 წლის 6 თებერვლამდე. შემოსავალი პერიოდის განმავლობაში აღირიცხება წრფივად.

გადავადებული შემოსავალი სამთავრობო გრანტიდან წარმოდგენილია 2011 წელს სახელმწიფოსაგან უსასყიდლოდ მიღებული ადმინისტრაციული შენობის სახით. ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული სამთავრობო გრანტი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულია ძირითად საშუალებებში (შენიშვნა 11) და გადავადებულ შემოსავალში (შენიშვნა 20). მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამთავრობო გრანტები აისახება სისტემატიურად იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ჯგფუფი ასახავს გრანტის მიერ დაფინანსებული საქმიანობისათვის გაწეულ ხარჯებს. ხელმძღვანელობა გეგმავს მის გამოყენებას მთლიანი სასარგებლო პერიოდის განმავლობაში. ძირითადი საშუალება და გადავადებული შემოსავალი ჯგუფის მიერ აღიარებულია ორივე შემთხვევაში და ამორტიზაცია აღირიცხება წრფივი მეთოდით შენობის სასარგებლო მომსახურების მთლიანი ვადის განმავლობაში სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისად.

გადავადებული შემოსავალი პარკინგიდან მიემართება პარკინგის მომსახურებისათვის მოქალაქეთა მიერ გადახდილ თანხას, რომელიც ანგარიშგების თარიღში ჯერ კიდევ არ იყო ჯგუფის მიერ გამომუშავებული. ვინაიდან მომხმარებლები პარკინგის მომსახურების ღირებულებას კონკრეტული პერიოდისათვის იხდიან შესაბამის პერიოდზე აღირიცხება შემოსავალიც.

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	2020 წლის 31 დეკემბერს	2019 წლის 31 დეკემბერს
სავაჭრო გადასახდელები	5,617	8,482
სახელფასო გადასახდელები	1,584	3,657
სხვა გადასახდელები	465	7,387
სულ	**7,666**	**19,526**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა გადასახადელები მოიცავს შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასის" მიმართ გადასახდელს 6,924 ათასი ლარის ოდენობით. 2019 წლის 17 სექტემბერს ჯგუფმა სამართლებრივი დავა წამოიწყო შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასის" წინააღმდეგ. ჯგუფმა ამ კომპანიას შეუკვეთა გარკვეული რაოდენობის ავტობუსები, რისი მიწოდებაც შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა" საგრძნობლად დააგვიანა და ჯგუფმა ის დააჯარიმა იმით, რომ სრულად არ გადაიხადა ავტობუსების შესყიდვასთან დაკავშირებული სავაჭრო გადასახდელი. შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა" სასამართლოში გაასაჩივრა დარჩენილი თანხა 6,924 ათასი ლარის ოდენობით. მენეჯმენტის აზრით, ჯგუფს ვალდებულების სახით არსებითი ზარალი არ ემუქრება, რადგან ვალდებულება უკვე ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გადასახდელების ჯგუფში.

22. ფინანსური ინსტრუმენტები

ნამდვილი ღირებულება არის ის ღირებულება, რასაც შეფასების მომენტში ბაზრის მონაწილეები მიიღებდნენ აქტივის გაყიდვისგან ან ვალდებულების გადაცემის სანაცვლოდ კანონიერი გარიგების ფარგლებში. ჯგუფის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ნამდვილი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ იქნა ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და შესაბამისი შეფასებითი მეთოდოლოგია. თუმცა, საბაზრო ფასის დადგენისას შეფასებით გადაწყვეტილება საჭიროა საბაზრო მონაცემის განმარტებისთვის. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებს და ეკონომიკური გარემოება ზღუდავს აქტივობებს ფინანსურ ბაზრებზე. ბაზრის მონაცემები შესაძლოა იყოს მოძველებული, იმეორებდეს საგანგებო მდგომარეობის დროს განხორციელებულ ნასყიდობებს და ამიტომ სწორად არ ასახავდეს ფინანსური ინსტრუმენტების ნამდვილ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების ნამდვილი ღირებულების დადგენისას გამოიყენა ბაზარზე ხელმისაწვდომი ყველა ინფორმაცია.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება ხორციელდება მომავალში სავარაუდოდ მისაღები ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. სავაჭრო მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები თითქმის მათი სამართლიანი ღირებულებების ტოლია მოკლე დაფარვის ვადის გამო.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე გაცხადებული ვადის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება ხორციელდება მომავალში სავარაუდო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი ნამდვილი ღირებულებები მიახლოებითია.

ფულისა და მისი ექვივალენტების ნამდვილი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ იქნება 1-ლი დონის საზომი მეთოდი და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება დადგინდა მე-3 დონის მეთოდით.

კაპიტალის რისკის მართვა – ჯგუფის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მიმართულია შეინარჩუნოს იმდენი კაპიტალი, რაც საკმარისი იქნება ჯგუფის სტრატეგიული და საოპერაციო საქმიანობის შესასრულებლად.. ჯგუფის კაპიტალი ძირითადად შედგება თბილისის მერიის შენატანებისაგან. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნდა სესხები და მთლიანად კაპიტალით ფინანსდებოდა.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები – ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება. ჯგუფს სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა ფული და ფულის ექვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	505	744
ფული და ფულის ექვივალენტები	33,252	68,419
სულ ფინანსური აქტივები	**33,757**	**69,163**

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,666	19,526
საგადასახადო ვალდებულებები	497	6,801
სულ ფინანსური ვალდებულებები	**8,163**	**26,327**

ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტებიდან ძირითადი რისკები უკავშირდება უცხოურ ვალუტას, საპროცენტო განაკვეთს, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკს.

სავალუტო რისკი – სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც ჯგუფი სარგებლობს. ჯგუფის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკ დამოკიდებულების სამართავად წარმოებული ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აღენიშნებოდა უცხოურ ვალუტაში აღრიცხული არსებითი სიდიდის ფინანსური აქტივი ან ვალდებულება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო რისკი, არის საპროცენტო განაკვეთების მერყეობა, რაც უარყოფითად აისახება ჯგუფის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ჯგუფზე საპროცენტო განაკვეთის რისკი არ მოქმედებს, რადგან 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მას აღებული სესხები არ ჰქონია.

<u>მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები</u>
ზემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ერთი ძირითადი დაშვების ცვლილების ეფექტს, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. სინამდვილეში, აღნიშნულ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის რეალური კორელაცია არსებობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მგრძნობელობა არა-წრფივია და შედეგებიდან უფრო დიდი ან მცირე ზეგავლენის ინტერპოლირება ან ექსტრაპოლირება არ შეიძლება.

მგრძნობელობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. გარდა ამისა, ბაზრის რეალური მოძრაობის სხვადასხვა მომენტში ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევის ზემოქმედების მართვას. როდესაც საინვესტიციო ბაზარი სხვადასხვა მანიშნებელ დონეს ცილდება, ხელმძღვანელობას შეუძლია გაყიდოს ინვესტიციები, შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება და სხვა დამცავი ზომები მიიღოს. შედეგად, დაშვების ცვლილებას რეალურად შეიძლება ეფექტი არც ჰქონდეს ვალდებულებებზე, მაშინ,

როდესაც აქტივები ბალანსზე საბაზრო ღირებულებითაა ასახული. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების შეფასების სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება აქციონერთა კაპიტალის რყევა გამოიწვიოს.

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვებს შორისაა ბაზრის ჰიპოთეტური მოძრაობის გამოყენება იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც რეალურად მხოლოდ ჯგუფის თვალსაზრისს ასახავს უახლოეს მომავალში ბაზრის ცვლილების შესახებ. ამ უკანასკნელის პროგნოზირება კი საკმარისი სანდოობით შეუძლებელია. ერთ-ერთი შეზღუდვა იმის დაშვებაცაა, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი იდენტური სახით იცვლება.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი მთელი ჯგუფის მასშტაბით იმართება. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომხმარებელი ან კონტრაქტორი აღმოჩნდება გადახდისუუნარო მდგომარეობაში ან დროულად ვერ დაფარავს ჯგუფის მიმართ არსებულ დავალიანებას, რაც ჯგუფისათვის ფინანსურ დანაკარგს გამოიწვევს. ქვემოთ მოყვანილია ჯგუფის ძირითადი საკრედიტო დანახარჯების კრიტერიუმები:

ჯგუფის შემოსავლების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს წინასწარ გადახდილი მომსახურების ღირებულება და მოსალოდნელი ანაზღაურება ქალაქ თბილისის მერიისგან. სხვა სავაჭრო მოთხოვნებს შორისაა მომწოდებლებისაგან მისაღები სახელშეკრულებო თანხები და მოიცავს შესასრულებელი სამუშაოების საავანსო გადახდებს. ხელშეკრულების დადებისას ჩამოთვლილთაგან ყველა კონტრაქტორი ინდივიდუალურად ფასდება მისი გადახდისუნარიანობის მიხედვით და ჯგუფისათვის რისკის შესამცირებლად ხელშეკრულება ითვალისწინებს ვადამდე შეწყვეტის პუნქტებს. ჯგუფი მიმართავს ყველა არსებულ საშუალებას მისაღები რაოდენობების ამოსაღებად.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საბალანსო ღირებულებები, გაუფასურების გათვალისწინებით, წარმოადგენს ჯგუფის მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდობის რისკი – ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დადგენილ ვადებში ყველა ვალდებულების შესრულებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ჯგუფის არაწარმოებული საკონტრაქტო ვალდებულებების დაფარვის ნარჩენი ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის საფუძველზე, როდესაც ჯგუფს შეიძლება გადახდა მოეთხოვოს. ცხრილში ნაჩვენებია როგორც ძირითადი თანხის, აგრეთვე პროცენტის ფულადი ნაკადები.

	ერთ თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წელი	5+ წელი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი						
უპროცენტო	8,163	-	-	-	-	8,163
პროცენტიანი	-	-	-	-	-	-
	8,163	-	-	-	-	**8,163**
2019 წლის 31 დეკემბერი						
უპროცენტო	19,403	-	6,924	-	-	26,327
პროცენტიანი	-	-	-	-	-	-
	19,403	-	**6,924**	-	-	**26,327**

23. გარიგებები დაკავშირებულ პირებთან

მეკავშირე მხარეები მოიცავს ჯგუფის მფლობელებს, პარტნიორებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

მეკავშირე მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არამეკავშირეპირები ვერ განახორციელებენ. მეკავშირე მხარეებს შორის ტრანზაქციები შეიძლება ხორციელდებოდეს სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

მეკავშირე მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. მეკავშირე მხარეებთან გარიგებებისგან ჯგუფს გააჩნია შემდეგი ნაშთები:

	2020 წლის 31 დეკემბერი				
	დამფუძნებელი	ასოცირებული კომპანიები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-	-	-
შემოსავალი	35,556	-	-	-	35,556
თანამშრომელთა ანაზღაურება	-	-	519	-	519
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი (შენიშვნა 14)	-	-	-	-	-

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა სს ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალისაგან შეიძინა 22,564 ათასი ლარის სარემონტო სამუშაოები მეტროს რეაბილიტაციისათვის და განახორციელა აქტივებზე კაპიტალიზებული დანახარჯები (შენიშვნა 11).

	2019 წლის 31 დეკემბერი				
	დამფუძნებელი	ასოცირებული კომპანიები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	186	-	-	-	186
შემოსავალი	68,481	-	-	-	68,481
თანამშრომელთა ანაზღაურება	-	-	434	-	434
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი (შენიშვნა 14)	8,217	-	-	-	8,217

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა სს ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალისაგან შეიძინა 29,918 ათასი ლარის სარემონტო სამუშაოები მეტროს რეაბილიტაციისათვის და განახორციელა აქტივებზე კაპიტალიზებული დანახარჯები (შენიშვნა 11).

უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის გადახდილი კომპენსაცია გამოიხატებოდა მოკლევადიან ბენეფიტებში.

24. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები – 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ გააჩნდა დასაფარი მატერიალური სიდიდის პირობითი ვალდებულებები.

სამართლებრივი დავები – ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის პროცესში ჯგუფის მიმართ წარმოიშვება სადაო საკითხები მოქალაქეებისა და კონტრაქტორების მხრიდან. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ შედეგად არაა მოსალოდნელი მატერიალური მნიშვნელობის მქონე ზარალი, ამიტომ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გათვალისწინებული შესაბამისი სარეზერვო ოდენობები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარეობდა ჯგუფის დავა სს „სადაზღვევო კომპანია უნისონთან". 144 ავტობუსის დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება ჯგუფსა და სადაზღვევო კომპანიას შორის გაფორმდა 2017 წლის 22 დეკემბერს. 2018 წლის 24 მაისს ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა ჯგუფის მიერ. სს სადაზღვევო კომპანია უნისონმა გაასაჩივრა ხელშეკრულების შეწყვეტა და ჯგუფისაგან მოითხოვს მიუღებელი მოგების, მიყენებული ზიანისა და ჯარიმების ანაზღაურებას. მოთხოვნილი თანხა შეადგენს 1,884 ათას ლარს. ხელმძღვანელობა თვლის, რომ დავის შედეგად არაა მოსალოდნელი არსებითი ზარალი ჯგუფისათვის, ამიტომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არაა გათვალისწინებული სარეზერვო თანხები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარეობდა დავა შპს „დაგისთან". 2016 წლის 30 ივნისს ჯგუფსა და შპს „დაგის" შორის გაფორმდა მშენებლობის ხელშეკრულება ავტობაზის მშენებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულებით, საგარანტიო პერიოდი მოიცავდა 36 თვეს. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში მშენებლობაში გამოვლინდა რამდენიმე ხარვეზი და ჯგუფის ხელმძღვანელობამ შპს „დაგის" აღნიშნულის შესახებ შეატყობინა, ამ უკანასკნელმა კი აღმოფხვრა. 2019 წლის 4 ივნისს შპს „დაგიმ" სასამართლოს მიმართა იმის დასამტკიცებლად, რომ გამოვლენილი ხარვეზები კომპანიის ბრალეულობას არ წარმოადგენდა და მოითხოვა გაწეული ხარჯების ანაზღაურება 716 ათასი ლარის ოდენობით. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ დავის შედეგად არაა მოსალოდნელი არსებითი ზარალი ჯგუფისათვის, ამიტომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არაა გათვალისწინებული სარეზერვო თანხები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარეობდა დავა სს „კიევმეტრომშენთან". ჯგუფმა კომპანიასთან გააფორმა ხელშკრულება მეტრო-სადგურების შეკეთება-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი არ დარჩა კმაყოფილი ჩატარებული სამუშაოებით, კომპანიას დაარიცხა ჯარიმა და სამუშაოს ანაზღაურება გადაუხადა ჯარიმის გამოკლებით. კომპანიამ აღნიშნული გაასაჩივრა სასამართლოში და მოითხოვს დამატებით 476 ათასი ლარის გადახდას. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ დავის შედეგად არაა მოსალოდნელი არსებითი ზარალი ჯგუფისათვის, ამიტომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არაა გათვალისწინებული სარეზერვო თანხები.

საგადასახადო ვალდებულებები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა იძლევა მრავალგვარი განმარტებებისა და ცვლილებების საფუძველს. ამასთან, ვინაიდან საგადასახადო კანონმდებლობის ჯგუფის მმართველობისეული განმარტება შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო უწყებების განმარტებებისაგან, უწყებებმა შესაძლოა სადაოდ გახადონ ტრანსაქციები, რის შედეგადაც ჯგუფს შესაძლოა დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფი თვლის, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება, ამიტომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ განხორციელებულა რაიმე დარეზერვება. 2020 და 2019 წლები ღია რჩება საგადასახადო უწყებების მხრიდან შემოწმებისათვის.

საოპერაციო გარემო – ისეთი განვითარებადი ბაზრები, როგორიც საქართველოშია, განვითარებულ ბაზრებთან შედარებით უფრო მეტ რისკ ფაქტორებს შეიცავს; აქ იგულისხმება ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, სამართლებრივი და საკანონმდებლო საფრთხეები. სწრაფი ტემპებით ხდება საწარმო საქმიანობასთან დაკავშირებული რეგულაციების ჩამოყალიბება, რომლებიც ხშირად სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საგანი ხდება. სამართლებრივ, სარეგულაციო და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ქვეყანაში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რაც დიდწილად დაკავშირებულია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასთან. 2019-2020 წლების განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები საწყისი ეტაპია და ევროკავშირთან დაახლოების მიზნით კიდევ უფრო მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი.

ამას გარდა, 2020 წლის დასაწყისიდან გავრცელდა ახალი კორონავირუსული დაავადება (COVID-19), რომელიც სწრაფად მოედო მთელს მსოფლიოს და შედეგად, 2020 წლის მარტში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოცხადდა ეპიდემიური მდგომარეობა. COVID-19 ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად მსოფლიოს ქვეყნებმა მიიღეს შემაკავებელი ზომები, რამაც ბევრი კომპანიის საქმიანობის შეწყვეტა გამოიწვია და მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. მდგომარეობა სწრაფად მძიმდება და მოსალოდნელია მნიშვნელოვანი გავლენა არაერთი დარგის კომპანიებზე, მათ შორის და არა მხოლოდ, საქმიანობისა შეწყვეტა, რაც გამოწვეული იქნება წარმოების

შეწყვეტით ან საწარმოო ქარხნების დაკეტვით, მიწოდების შეწყვეტით, თანამშრომლების კარანტინით, შემცირებული მოთხოვნითა და ფინანსების მოზიდვის გართულებით. ამასთან ერთად, ჯგუფზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მსოფლიო ეკონომიკასა და დიდ ფინანსურ ბაზრებზე COVID-19-ის უარყოფითი ზეგავლენის შედეგებიც. ჯგუფის საქმიანობაზე COVID-19-ს შედეგების მნიშვნელოვნება დამოკიდებულია ეპიდემიის ხანგრძლივობაზე, მსოფლიოს და საქართველოს ეკონომიკაზე მისი ზემოქმედების სიმძიმეზე.

COVID-19 -ის ფართოდ გავრცელების თავიდან ასაცილებლად საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა 2020 წლის 21 მარტს. თავდაპირველად საგანგებო მდგომარეობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 21 აპრილამდე, თუმცა, შემდეგ ვადა 2020 წლის 21 მაისამდე გაგრძელდა. შეჩერდა ყველა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა (როგორც საქალაქო, ისე საქალაქთაშორისო). მთავრობის გადაწყვეტილებით, 2020 წლის 17 აპრილიდან 2020 წლის 26 აპრილამდე აგრეთვე აიკრძალა კერძო ავტომობილების გამოყენება. საქართველოში კოვიდ-19-ის მეორე ტალღა დაიწყო 2020 წლის სექტემბერში. საქართველოს მთავრობამ კიდევ ერთხელ შემოიღო მრავალრიცხოვანი შეზღუდვები ბიზნესსა და, ზოგადად, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. 2020 წლის 26 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განცხადება გააკეთა მეორე ლოკდაუნისა და 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 31 იანვრამდე ასამოქმედებელ შეზღუდვებთან დაკავშირებით. აღნიშნული შეზღუდვები ბევრად უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე გაზაფხულში. კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეულმა ლოკდაუნმა მნიშვნელოვნად შეამცირა ჯგუფის შემოსავლები. თუმცა, მას საკმარისი მხარდაჭერა და რესურსები ჰქონდა ოპერაციების გასაგრძელებლად.

ამჟამად პანდემია მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, ვაქცინაციის ფაზაშია, რასაც ეკონომიკაზე პოზიტიური ეფექტი ექნება.

კორონავირუსის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური ეფექტი, პანდემიის განვითარების სამომავლო პროგნოზები და მათი შედეგები საქართველოს ეკონომიკაზე შესაბამისად აისახა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობასა და სხვა ვალუტების მიმართ ქართული ლარის გაუფასურებაზე.

მენეჯმენტი უძლურია, განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რამაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და ის, იქონიებს თუ არა ის ეფექტს ან როგორს ჯგუფის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ის ყველა აუცილებელ ზომას ღებულობს ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო თარიღის შემდგომ ჯგუფმა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისგან“ კაპიტალში შენატანის სახით მიიღო 117.8 მილიონი ლარის ღირებულების BMC ტიპის 100 ავტობუსი.

2021 წლის 21 მაისს ჯგუფმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ჯი-თი მოტორს“- M2 ტიპის 300 ავტობუსის შესყიდვაზე. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებაა 10 მილიონი ევრო.

2020 წლის განმავლობაში ჯგუფმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ჯითი ჯგუფთან“ „ნოვოსიტი ლაიფის“ ტიპის 180 ავტობუსის შესყიდვაზე.

საანგარიშო თარიღის შემდგომ ქალაქ თბილისის მერიამ ფულადი და არაფულადი შენატანის სახით შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეიტანა 93.6 მილიონი ლარი და ძირითადი საშუალებები ჯამური ღირებულებით 3.3 მილიონი ლარი, შესაბამისად.

საანგარიშო თარიღის შემდგომ 2021 წლის 1 ივლისს, ყველა კონტრაგენტმა განახორციელა ავტობუსების შესყიდვის უფლება (შენიშვნები 15 და 16).

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 2021 წლის 14 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში ჯგუფის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს რუსუდან ფირცხალავამ და ირინა ფირცხალავამ და მოითხოვეს ზიანის კომპენსაცია 750 ათასი დოლარის ოდენობით. ჯგუფი გამოცხადდა თბილისის საქალაქო სასამართლოში რათა მიწის ნაწილი, რომელიც რუსუდან ფირცხალავასა და ირინა ფირცხალავას საკუთრებაშია, გადმოეცათ ჯგუფისთვის სატრანსპორტო გზის საჭიროების აუცილებლობიდან გამომდინარე. თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ჯგუფი და მიწის ნაკვეთის ნაწილი ჯგუფს საკუთრებაში გადაეცა. გადაცემული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს საბაზრო ფასის ანაზღაურება შესთავაზეს, რომელიც ეყრდნობოდა დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნას. მესაკუთრეები არ დათანხმდნენ შეთავაზებას, რადგან მათი მდგომარეობიდან გამომდინარე ჯგუფისთვის მიწის ნაწილის გადაცემით მათ დაკარგეს ხელსაყრელი შესაძლებლობა ამავე მიწაზე განეხორციელებინათ დაგეგმილი პროექტი და დანაკარგისთვის მოითხოვეს კომპენსაცია. ამ საქმის პირველი მოსმენა ჩანიშნულია 2021 წლის 19 ოქტომბერს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, რაიმე სხვა გარემოებას, რაც საჭიროებს აღნიშვნას წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

26. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა მმართველობის მიერ და დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 1 ნოემბერს.

მართველობის ანგარიში

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს ქ.თბილისში მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), M3 კატეგორიის ავტობუსებით და საბაგირო გზით "რიყე-ნარიყალა"და "ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა" მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურება.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა განსაზღვრულია საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულირებად ეკონომიკურ სფეროდ.

მომსახურების ტარიფი რეგულირდება - რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ტარიფების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (30.12.2014წ #20-81) დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული კატეგორიის მოქალაქეები, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, უფლებამოსილნი არიან იმგზავრონ უფასოდ, ან შეღავათით მათ მიერ კუთვნილი სამგზავრო პლასტიკური ბარათით ერთჯერადად მგზავრობის საფასურის გადახდის შემდეგ.

2018 წლის 10 აპრილიდან საზოგადოებრივი საჭიროების გათვალისწინებით, დედაქალაქის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურების პარკირების სისტემის გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" გადმოეცა პარკირების სფეროს მართვის უფლება, რომლის საფუძველზეც კომპანია ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირების სისტემის მართვას, ორგანიზებას და კონტროლს: უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ქალაქ თბილისის მუნიციპელიტეტის მიერ გამოყოფილ სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებზე შესაბამისი საგზაო ნიშნების და დამატებითი მონიშვნების განთავსება/დახაზვას და მონიტორინგს, სატრანსპორტო საშუალების პარკირებისა და დადგომა-გაჩერების წესების დარღვევის გამოვლენას, გამოვლენილ სამართალდარღვევის აქტზე საჯარიმო ქვითრის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენას და ჩაბარებას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას და სხვა.

საწარმოს შემოსავლების ძირითადი წყაროს წარმოადგენს მგზავრთა გადაყვანიდან მიღებული შემოსავლები, ხოლო სხვა შემოსავლებს მიეკუთვნება: ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავლები, საწარმოს ნაგებობებსა და გვირაბებში სხვა იურიდიული პირების კუთვნილი ოპტიკური და სპილენძის კაბელების გატარებიდან მიღებული შემოსავლები და ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებიდან მიღებული შემოსავლები.

შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" სამატარებლო მეურნეობა წარმოდგენლია ორი სავაგონო დეპოთი: "დეპო გლდანი" და "დეპო ნაძალადევი".

ელექტროდეპოების საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს თბილისის მეტროს უზრუნველყოფა გამართული მოძრავი შემადგენლობით - გრაფიკის შესაბამისად. მეტროს გვირაბების სიგრძე შეადგენს 57.18 კმ-ს, მათ შორის: "ახმეტელი-ვარკეთილის" ხაზი - 40.56 კმ, "საბურთალოს ხაზი" – 16.62 კმ-ს.
ვაგონების ტექნიკურად საიმედო და შეუფერხებელ ექსპლუატაციას უზრუნველყოფდა გეგმიური ტექნიკური მომსახურებისა და მიმდინარე შეკეთებების ციკლურად განმეორებადი სამუშაოების სისტემა, რომელიც დამყარებულია ვაგონების ჯამურ გარბენებზე და ხაზზე მატარებლების მოძრაობის დროის ხანგრძლივობაზე. ამ მიზნით შესრულებულ იქნა სამი სხვასახვა მოცულობის ტექნიკური მომსახურება (ტმ-1, ტმ-2, ტმ-3) და ასევე ორი სხვადასხვა მოცულობის მიმდინარე შეკეთება (მშ-1, მშ-2).

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გასაახლებლად და მიწისქვეშა სისტემის საჭირო ინფრასტრუქტურის აღჭურვისათვის თბილისის მერიის დაფინანსებით კომპანიამ 2020 წელს განახორციელა ბალასზე რიცხული მეტროს ვაგონების კაპიტალურ შეკეთება მოდერნიზაცის ელემენტებით, დასრულდა ვაგზლის მოედანი N3 ვესტიბიულის აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები და ვაგზალი 3-ის გვირაბების დაგრძელების საპროექტო სამუშაოები, შესყიდულ იქნა სადგურების „ვარკეთილი“ და “ავლაბარი” არქიტექტურული და ინტერიერ-ექსტერიერის დიზაინპროექტის მომსახურება და დაიწყო მეტროსადგურ "გოცირიძის" რეკონსტრუქცია და კაპიტალური რემონტი.

საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2020 წლის 29 აპრილს „თბილისის მეტროს პროექტის“ განხორციელებასთან დაკავშირებით გაფორმებულ იქნა სასესხო შეთანხმება რომლის მიზანს წარმოადგენს თბილისის მეტროსთვის მატარებლის მოძრავი შემადგენლობის (40 ერთეული ახალი ვაგონი) შესყიდვა და მეტროს დეპოს და გვირაბების რეაბილიტაცია.

2020 წელს დასრულდა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით 2017 წელს დაწყებული საინვესტიციო პროექტი, რომელის მიზანს წარმოადგენდა დედაქალაქში ეფექტური, სანდო, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საქალაქო ტრანსპორტის უზრუნველყოფა და თბილისის მიწისქვეშა ტრანსპორტის რეაბილიტაციას და გაუმჯობესება. პროექტი თანახმად განხორციელდა, დაბალი და საშუალო სიმძლავრის კაბელების ჩანაცვლება, სავენტილაციო სისტემის რეაბილიტაცია, ინსტიტუციური სისტემის გაძლიერება მიწისქვეშა ტრანსპორტის საოპერაციო და ტექნიკური სამუშაოების წარმოების თვალსაზრისით, მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება, პროექტის მართვის მონიტორინგი და საიმპლემენტაციო მხარდაჭერა.

საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2019 წლის 29 ნოემბერს „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელებასთან“ დაკავშირებით გაფორმებულ იქნა სასესხო შეთანხმება ახალი, ეკოლოგიურად სუფთა, დაბალძირიანი, კომპრესირებულ ბუნებრივ გაზზე მომუშავე (CNG) ავტობუსების (226 ერთეული) შესყიდვაზე და ავტობაზების რეაბილიტაცია/მშენებლობაზე. 2020 წელს აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა 126 ერთული M^3 კატეგორიის ახალი ავტობუსების შესყიდვა და სამარშრუტო ხაზზე გაშვება.

ქალაქ თბილისის ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებულ სატრანსპორტო პოლიტიკაზე დაყრდნობითა და დაფინანსებით, შესყიდულ იქნა 300 ერთული M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება.

თბილისის ავტობუსების პროექტის ფარგლებში, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამების - „კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებლ მხარეთა მონაწილეობის პროგრამა“ და „პროფესიული ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების პროგრამა“ - საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში 2018 წლის სექტემბერში შეიქმნა გარემოსდაცვითი მართვის სამსახური, ხოლო 12/09/2019 წელს ამავე სამსახურის მიერ შემუშავებული და კომპანიის მიერ დამტკიცებული იქნა გარემოს დაცვის და უსაფრთხოების მართვის სისტემის (ESMS) ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მთელი რიგი პროცესების განმსაზღვრელ დოკუმენტაციას, კერძოდ: თბილისის სატრანსპორტო კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი - „ES პოლიტიკის დეკლარაციას“ (TTC Environmental and Social Policy Statement); გარემოს დაცვის და უსაფრთხოების მართვის სისტემას (TTC Environmental and Safety Management System (ESMS); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის გარემოს დაცვის და უსაფრთხოების მართვის სისტემის (ESMS) სამართლებრივ საფუძვლებს (TTC ESMS Legal and Regulatory Basis); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის „გარემოს დაცვის და უსაფრთხოების მართვის სისტემის“ (ESMS) დაგეგმვის პროცედურას (TTC ESMS Planning Procedure); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის „გარემოს დაცვის და უსაფრთხოების მართვის სისტემის“ (ESMS) მონიტორინგის და ანგარიშგების პროცედურას (TTC ESMS Monitoring and Reporting Procedure); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის პროცედურებს და გეგმებს (TTC Occupational Health & Safety Procedures and Plans); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმას (TTC Waste Management Plan) რომელიც შეთანხმებულია და დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ; თბილისის სატრანსპორტო კომპანიის დაბინძურების პრევენციის და კონტროლის გეგმას (TTC Pollution Prevention and Control Plan); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის კონტრაქტორების

EHS მართვის გეგმას (TTC Contractors EHS Management Plan); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საწარმოო ქვედანაყოფების გარემოსდაცვითი მართვის პროგრამებს (TTC Facility/site-Specific Environmental Management Programs); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საწარმოო ქვედანაყოფების გარემოსდაცვითი მართვის პროგრამებს (TTC Facility/site-Specific Environmental Management Programs); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საწარმოო ქვედანაყოფების პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის პროგრამებს (TTC Facility/site- Specific Occupational Health & Safety Management Programs). აღნიშნული წესის შესაბამისად კომპანიამ 2020 წლის მდგომარეობით განახორციელა: ყოველკვარტლური გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების აუდიტი; გემიური ყოველთვიური შემოწმება, რაც ითვალისწინებს კომპანიის საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის კონტროლს; განხორციელა 22 500 ერთეული მეორადი საბურავის უტილიზაცია და კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის თანახმად, ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულში, დეპო ნაძალადევში მოეწყო ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილი.

კომპანიამ რიყე-ნარიყალასა და ჭავჭავაძის გამზ.-კუს ტბა საბაგირო გზის მმართველობა 2012 და 2016 წლებში მიიღო, შესაბამისი რიგითობით. საბაგირო გზის განვითარება თანაბრად მიიზიდავს როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ისე ტურისტებს. ასევე, მგზავრთნაკადის განტვირთვისა და დედაქალაქის საბაგირო ტრანსპორტის განვითარების მიზნით მიმდინარეობდა სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბაგირო გზის ძველი სადგურიდან მთაწმინდის პარკის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობისთვის საჭირო საქონლის და მომსახურების შესყიდვა.

ახალი „COVID–19“ კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებული საყოველთაო კარანტინის შედეგად, საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით 2020 წლის საანგარიშო პერიოდში მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით გადაყვანილ იქნა (მეტრო) – 69 781 025 მგზავრი, M³ კატეგორიის ავტობუსებით - 73 716 816, მგზავრი და საბაგირო გზით - 225 708 მგზავრის ("რიყე-ნარიყალა" – 192 547 და "ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა"- 33 161).

მათ შორის, ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების თანახმად: უფასო ან შეღავათით მოსარგებლე კატეგორიების მიხედით განხორციელდა - 82 160 207 მგზავრის (მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი - 35 915 615 და M³ კატეგორიის ავტობუსები - 46 244 592) გადაყვანა.

მფლობელობა სხვა ერთეულებში

შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია ფლობს 100% წილს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საფეხბურთო კლუბში, რომელიც ჩამოყალიბდა თბილისის სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომელთა საფეხბურთო გუნდის სახით საქართველოში გამართულ შეჯიბრებში მონაწილეობისათვის. ეს კომპანია უმოქმედოა.

კომპანიას გააჩნია საინვესტიციო მფლობელობა შემდეგ დაკავშირებულ კომპანიებში:

დასახელება	ოპერირების ქვეყანა	მფლობელობა 2020 წლის 31 დეკემბერი	მფლობელობა 2019 წლის 31 დეკემბერი	საქმიანობის ტიპი
შპს მთბი სს ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალი	საქართველო	20.0%	20.0%	უმოქმედო
სს რემონტაჟსერვისი	საქართველო	50.0%	50.0%	სარემონტო სამუშაოები
		50.0%	50.0%	უმოქმედო

შპს მთბი და სს რემონტაჟსერვისი უმოქმედო ერთეულებია, ხოლო სს ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალი ახორციელებს მიწისქვეშა ტრანსპორტისათვის მატარებლების შეკეთებასა და მოდერნიზაციას.

ფინანსური მიმოხილვა

ჯგუფის შემოსავალი ავტობუსების, მეტროსა და საბაგირო ტრანსპორტის სეგმენტებიდან 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შეადგენდა 72,222 ათას ლარს, მაშინ როცა, 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ეს მაჩვენებელი იყო 139,441 ათასი ლარი.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის სხვა შემოსავალი გაქირავების, სარეკლამო მომსახურებებიდან, ოპტიკური და მილების განთავსებისა და პარკინგის ორგანიზების საქმიანობიდან შეადგენდა 8,049 ათას ლარს და 7,783 ათას ლარს, შესაბამისი რიგითობით.

ჯგუფის წმინდა ზარალი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შეადგენდა 153,663 ათას ლარს, მაშინ როცა 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ეს მაჩვენებელი 71,293 ათას ლარს შეადგენდა.

კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობა

მგზავრთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის ფარგლებში დედაქალაქში მცხოვრებ მოქალაქეთა შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე ცალკეული კატეგორიების მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

1. <u>უფასო მგზავრობის უფლება მიენიჭათ:</u>

ა) თბილისში რეგსტრირებულ ქმედუნარიანობის შეზღუდვის მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე უსინათლო პირებს და გადაადგილებისას მათთან ერთად მყოფ დამხმარე ნებისმიერ პირს;
ბ) თბილისში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს;
გ) თბილისში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებსა და მასთან გათანაბრებულ პირებს, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის მფრინავებს, რომლებიც ასრულებდნენ სპეციალურ რეისებს საომარი მოქმედებების ზონაში;
დ) თბილისში რეგისტრირებულ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს;
ე) თბილისში რეგისტრირებულ სამხედრო ძალების ვეტერანებს;
ვ) თბილისში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის, ომის შემდგომ გარდაცვლილთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახების წევრებს;
ზ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებს;
თ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორებს;
ი) თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლებს, რომლებსაც ზედამხედველობას უწევს ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო;
კ) ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართულ თბილისში მცხოვრებ ყოფილი პატიმრების სტატუსის მქონე პირებს;
ლ) შპს „თბილსერვის ჯგუფში“ მომუშავე დამგველებს, მეეზოვეებს, სპეც. მორიგე ბრიგადების დამგველებს, მუშებს, დამხმარე მუშებს და მძღოლებს;
ლ[1]) შპს „ჰერმესში“ მომუშავე ტექნიკურ მუშაკებს(მესაფლავე);
მ) ქალაქ თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებს, რომლებიც თბილისში არიან რეგისტრირებულნი;

ნ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომლებს;
ო) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს“ თანამშრომლებს.

2. შეღავათიანი ტარიფით (0,2 ლარი) მგზავრობის უფლება მიენიჭათ:

ა) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს და ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ სტუდენტებს;
ბ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული შემდგომი დაწესებულებების ყველა თანამშრომელს:
ბ.ა) საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
ბ.ბ) პროფესიული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
ბ.გ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფილიალები (ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატები, ბავშვთა სახლები) და სტრუქტურული ერთეულები (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები, კრიზისული ცენტრები);
ბ.დ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვნების სკოლები, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქ.თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი;
ბ.ე) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები – სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ შორის ქ. სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი და ქ. სოხუმის ალექსანდრე შერვაშიძე–ჩაჩბას სახელობის სამხატვრო სასწავლებელი;
გ) თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის, მცხეთის, გარდაბნის, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში არსებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სკოლების მასწავლებლებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან თბილისში;
ე) თბილისში რეგისტრირებულ „სახელმწიფო პენსიის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულ პენსიონერებს;
ზ) თბილისის საკუთრებაში არსებულ პოლიკლინიკებში დასაქმებულ უბნის ექიმებს, უბნის პედიატრებს და ოჯახის ექიმებს;
თ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე მანდატურებს;
ი) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრში დასაქმებულ სოციალურ აგენტებს;
ი) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიულ - თბილისის რაიონულ ცენტრებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს;

3. შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით (0,1 ლარი) მგზავრობის უფლება მიენიჭათ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს.

ასევე, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქმედებს ფასდაკლების შემდეგი სისტემა: M3 კატეგორიის ავტობუსებსა და მიწისქვეშა

ელექტროტრანსპორტში (მეტრო) მგზავრობის საფასურის გადახდის ფუნქციის მქონე ბარათის ან გადახდის სხვა საშუალების მფლობელი, მგზავრობის საფასურის ამ ბარათით ან გადახდის საშუალებით 0,5 ლარის გადახდის შემდეგ, აგრეთვე შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე პირი, მისი სამგზავრო პლასტიკური ბარათით ან გადახდის სხვა საშუალებით მგზავრობის საფასურის გადახდის შემდეგ, უფლებამოსილია ავტობუსებით (M3 კატეგორია) ან/და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) უფასოდ იმგზავროს 90 წუთის განმავლობაში იმ პირობით, რომ აღნიშნულ დროში ყოველი მგზავრობისას აიღებს სამგზავრო ბილეთს (რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში უფასოა) მისი ბარათით ან გადახდის სხვა საშუალებით.

განვითარების გეგმები

თბილისის ავტობუსების პროექტის ფარგლებში, მოძველებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადატვირთული ქალაქის ეკოლოგიური მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, გაგრძლდება თანამედროვე ევროპული სტანდარტების დიზელზე და ბუნებრივ აირზე მომუშავე, ეკოლოგიურად სუფთა მუნიციპალური ავტობუსების შესყიდვა. რომლის მიზანია საქალაქო სატრანსპორტო პარკის განახლება/შევსება ახალი ავტობუსებით. პროექტის ფარგლებში განხორციელებული ავტობუსების შესყიდვის შედეგად: განვითარდება ტრანსპორტის სისტემა, მიღწეულ იქნება მოქალაქეებისა და ტურისტული ნაკადის უსაფრთხო, კომფორტული და შეუფერხებელი გადაადგილება, ახალი ევროპული სტანდარტების ავტობუსებით უზრუნველყოფილი იქნება გარემოს ნაკლები დაბინძურება, გალამაზდება ქალაქის იერსახე. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) „თბილისის ავტობუსები - ფაზა III“ პროექტის თანახმად დაგეგმილია 18-მეტრიანი ახალი ავტობუსების შესყიდვა და ახალი ავტობაზის მშენებლობა. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებულ სატრანსპორტო პოლიტიკაზე დაყრდნობითა და დაფინანსებით, დაგეგმილია 180 ერთეული ,,8 მეტრიანი ავტობუსების'' შესყიდვა (ავტობუსები ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის).
ასევე EBRD-ის მხარდაჭერით „თბილისის მეტროს პროექტის ფარგლებში“ განხორციელდება 40 ერთეული ახალი თანამედროვე ევროპული სტანდარტების მეტროს ვაგონების შესყიდვა, ახალი დეპოს მშენებლობა და ძველი შემაერთებელი გვირაბის რეაბილიტაცია.

შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია გეგმავს ჩამოაყალიბოს ერთიანი მართვის საინფორმაციო სისტემა, რითაც გაკონტროლდება სოციალური საკითხები, ადამიანური რესურსები და უსაფრთხო ჯანდაცვა. ასევე დაგეგმილია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სარეაბილიტაციო პროექტების იმპლემენტაცია.

თბილისის სატრანსპორტო კომპანია უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებს ყველასათვის ასაკის, სქესის, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად და ცდილობს მოაწყოს სამართლიანი სამუშაო გარემო ყველა მისი თანამშრომლისათვის, რათა მათ შეძლონ თავიანთი პოტენციალის განვითარება და წარმოჩენა.

ჯგუფის სამომავლო გეგმები ითვალისწინებს ახალი საბაგირო გზის განვითარებას - რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ძველ საბაგიროს სადგურს დაუკავშირებს მთაწმინდის პარკთან. საბაგირო გზისათვის მოეწყობა ორი სადგური, ხუთი საყრდენით, საბაგიროს საერთო სიგრძე 980 მეტრი იქნება. საბაგირო აღიჭურვება 20 ექვსკაციანი გონდოლა მანქანით.

დაგეგმილი სრული დატვირთვის მოცულობაა 1,100 ადამიანი/საათში. მთაწმინდის პარკში ზედა სადგური მოეწყობა თანამედროვე დიზაინით, დაიფარება ხის ზედაპირით. იგეგმება მეცნიერებათა აკადემიაში მოწყობილი ქვედა სადგურის რეკონსტრუქცია და მოდერნიზება.

რისკების შეფასება

კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები, ლიკვიდობის რისკი და საოპერაციო რისკი, აღწერილია ქვემოთ.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დადგენილ ვადებში ყველა ვალდებულების შესრულებას, როგორებიცაა საოპერაციო ვალდებულებების დაფინანსება, ხელფასები და ანაზღაურებები, საიჯარო და სასესხო ვალდებულებები.
ლიკვიდობის რისკს შეუძლია მწვავედ შეაფერხოს ჯგუფის საქმიანობა და გამოიწვიოს კრიზი.

რისკის შესამცირებლად, კომპანია იცავს ფულადი ნაკადების მართვის დეტალურ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს საკმარისი ფულადი რესურსების მოძიებას და შენარჩუნებას არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვისათვის. ხარჯების დაფარვა ხდება მათი პრიორიტეტულობის მიხედვით შემდეგი წესით (კლებადი პრიორიტეტულობით):

- სახელმწიფოს მიმართ არსებული ვალდებულებები, როგორც ამას ითვალისწინებს ჯგუფის პოლიტიკა;
- თანამშრომელთა ხელფასები და ანაზღაურებები;
- საჭირო საოპერაციო ხარჯები (კომუნალური ხარჯები, კრედიტორები, სხვ.);
- სხვა.

ამგვარად, ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს დროულად გამოავლინოს რისკი და მოახდინოს მასზე რეაგირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მინიმალური ზიანი და ჯგუფის ეფექტური ფუნქციონირება.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების შესამცირებლად ჯგუფს ჩამოყალიბებული აქვს მონიტორინგის განყოფილება, რომელიც მუდმივად ამოწმებს სატრანსპორტო საშუალებების მდგომარეობას და ატარებს ჯანმრთელობის მდგომარეობისა და უსაფრთხოების კონტროლს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკის მართვა ჯგუფის მასშტაბით ხდება. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომხმარებელი ან კონტრაქტორი აღმოჩნდება გადახდისუუნარო მდგომარეობაში ან დროულად ვერ დაფარავს ჯგუფის მიმართ არსებულ დავალიანებას, რაც ჯგუფისათვის ფინანსურ დანაკარგს გამოიწვევს. ქვემოთ აღწერილია ის ძირითადი კატეგორიები, რომლებიც ჯგუფისთვის ძირითადი რისკის მატარებელია.

ჯგუფის შემოსავლების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს წინასწარ გადახდილი მომსახურების ღირებულება და მოსალოდნელი ანაზღაურება ქალაქ თბილისის მერიისგან. ჯგუფი მიმართავს ყველა საჭირო ზომას მისაღები ბალანსების ამოსაღებად. სხვა სავაჭრო მოთხოვნებს შორისაა მომწოდებლებისგან მისაღები სახელშეკრულებო თანხები და მოიცავს შესასრულებელი სამუშაოების საავანსო გადახდებს. ხელშეკრულების დადებისას ჩამოთვლილთაგან ყველა კონტრაქტორი ინდივიდუალურად ფასდება მისი გადახდისუნარიანობის მიხედვით და ჯგუფისათვის რისკის შესამცირებლად ხელშეკრულება ითვალისწინებს ვადამდე შეწყვეტის პუნქტებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის საბაზრო ფასებთან დაკავშირებული რისკი, როგორიცაა უცხოური ვალუტის რიკი, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, ინფლაცია რომლებიც გავლენას მოახდენს ჯგუფის შემოსავლებსა და ხარჯებზე. მგზავრობის ფასი დადგენილია თბილისის საკრებულოს დადგენილებით, როგორც რეგულირებული ეკონომიკური ინდუსტრიის ფარგლებში დადგენილი განაკვეთი.

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰქონდა უცხოურ ვალუტაში გამოსახული აქტივი ან ვალდებულება, კონტრაგენტების მიმართ არსებული 28 ათასი ევროს ოდენობით კრედიტული დავალიანების გარდა.

საპროცენტო რისკი, არის საპროცენტო განაკვეთების მერყეობა, რაც უარყოფითად აისახება ჯგუფის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ჯგუფზე საპროცენტო განაკვეთის რისკი ნაკლებად მოქმედებს, რადგან ის სახსრებს მხოლოდ ფიქსირებული განაკვეთით სესხულობს.

კვლევა

კომპანიას 2020 წელს რაიმე სახის კვლევა არ ჩაუტარებია.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N211228030
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	03.11.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**სალომე სალუქვაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	577921111
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	05922959164921

ორიათას ოცდაერთი წლის სამ ნოემბერს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარჯიმნის მანანა დავითაშვილის, დაბ. 17.09.1983წ. პირადი #01013015188, პირადობის მოწმობა #13IB96864/დიპლომი #სტუ #018848, გაცემული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ 21.03.2005წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - თბილისის სატრანსპორტო კომპანია ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, თარგმნაზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. მე, ნოტარიუსი ვამოწმებ თარჯიმნის ხელისმოწერის სინამდვილეს და არა დოკუმენტში წარმოდგენილი სამართლებრივი ფაქტების სიზუსტეს ან დოკუმენტის ნამდვილობას.
გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 96.00 ლარი და 39.1 მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 98 (ოთხმოცდათვრამეტი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



თბილისის სატრანსპორტო კომპანია ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

თბილისის სატრანსპორტო კომპანია ჯგუფი

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-5

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში 6

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში 7

კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიში 8

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში 9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 10-39

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. უწყვეტი საწარმოს პრინციპი 11
3. შესაბამისობის ანგარიში 12
4. ახალი და რედაქტირებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება 12
5. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა 13
6. კრიტიკული საღრიცხვო შეფასებები და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები 23
7. შემოსავალი 24
8. სხვა შემოსავალი 25
9. სხვა საოპერაციო ხარჯები 25
10. სხვა არა-საოპერაციო (ხარჯები)შემოსავალი, წმინდა 25
11. ძირითადი საშუალებები 27
12. ინვესტიციები ასოცირებულ საწარმოებში. 28
13. მარაგები 28
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 29
15. მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან 30
16. გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები 30
17. მომწოდებელთათვის გადახდილი ავანსები 31
18. ფული და ფულის ექვივალენტები 31
19. გამოშვებული კაპიტალი 31
20. გადავადებული შემოსავალი 32
21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 33
22. ფინანსური ინსტრუმენტები 33
23. გარიგებები დაკავშირებულ პირებთან 36
24. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები 36
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 38
26. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 39

მმართველობის ანგარიში 40

თბილისის სატრანსპორტო კომპანია ჯგუფი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის („ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ოპერაციების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და საწესდებო კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ შედეგებს ამ დროს დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (“ფასს”).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად არჩევასა და მის შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც სრულყოფილად წარმოადგენს და განმარტავს ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას და შესაბამისობას ფასს-თან;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი კონტროლის სისტემის დანერგვაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მოსაზრებით უზრუნველყოფს კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშის მომზადებას თაღლითობისა თუ შეცდომით გამოწვეული მატერიალური უზუსტობების გამორიცხვით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას; და
- მართველობის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია ყველა მატერიალურ ასპექტში შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 1 ნოემბერს:

ხელმძღვანელობის სახელით

_____	_____
გიორგი შარკოვი	**მაია ხაჩირაშვილი**
გენერალური დირექტორი	**ფინანსური დირექტორი**
2021 წლის 1 ნოემბერი	2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

თბილისის სატრანსპორტო კომპანია ჯგუფის („ჯგუფი“) მფლობელებსა და დირექტორებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ შევამოწმეთ შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის („კომპანია“) და მისი შვილობილის („ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, გარდა ქვემოაღნიშნულ „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების შესაძლო შედეგებისა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული ფინანსური საქმიანობისა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული მარეგულირებელი შეზღუდვების გამო, ჩვენ ვერ შევძელით, დავკვირვებოდით ფიზიკური მარაგების გადათვლას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ აგრეთვე ვერ შევძელით,ალტერნატიული საშუალებებით მიგვეღო დამაკმაყოფილებელი ინფორმაცია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობის შესახებ. ვინაიდან მარაგების საბოლოო ნაშთი კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების დადგენისას მხედველობაში მიიღება, ჩვენ ვერ შევძელით იმის განსაზღვრა, იყო თუ არა აუცილებელი მოგება-ზარალისა და სხვა სრული ზარალის, გაუნაწილებელი მოგებისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებში საანგარიშო წლის ზარალის კორექტირება.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიებში კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეადგენდა შეადგენდა 2,886 ათას ლარს. ჩვენ არ მოგვეწოდა ასოცირებულ კომპანიებთან დაკავშირებით შესაბამისი ფინანსური ინფორმაცია, რათა მათზე ჩაგვეტარებინა საჭირო პროცედურები შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების საბალანსო ღირებულების დასადგენად 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2020 და 2019 წლების ზარალის ასახული წლის ზარალისა და სხვა სრული ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების და გაუნაწილებელი მოგების კორექტირება, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებში.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მმართველობის ანგარიშს.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით მოიცავს აღნიშნული „სხვა ინფორმაციის“ გაცნობას და იმავდროულად იმის დადგენას, არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა „სხვა ინფორმაციასა“ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის იგი სხვა არსებითი შეცდომების შემცველი. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე აღმოჩნდა, რომ არსებობს ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა, ჩვენ ვალდებული ვართ ამ ფაქტის შესახებ მოგახსენოთ.

აღნიშნული პასუხისმგებლობის საფუძველზე, მოსახსენებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და იმ შიდა კონტროლის პროცედურებზე, რომლებიც მენეჯმენტის აზრით დაკავშირებულია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენასთან, რომელიც არ შეიცავს თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან უზედამხედველონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ ჩვენი აზრის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ერთად:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. რისკი იმისა, რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება განხორციელდეს საიდუმლო გარიგების,

გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას ჯგუფში არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის უზუსტობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნარი. თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების, მისი განმარტებების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად ტრანზაქციებსა და მოვლენებს.

ჩვენ, სხვა საკითხებთან ერთად, ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე, მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშში გათვალისწინებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია;

- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

სრბუი ჰაკობიანი
შპს დელოიტი და ტუშის სახელით

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	7, 23	72,222	139,441
შემოსავალი პარკირების მომსახურებიდან		5,621	5,650
სხვა შემოსავალი	8	8,049	7,783
საოპერაციო შემოსავალი		**85,892**	**152,874**
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(117,636)	(118,983)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	11	(26,432)	(33,963)
საწვავის ხარჯები		(18,990)	(24,013)
ცვეთა და ამორტიზაცია		(32,827)	(21,137)
ელექტროენერგიის ხარჯები		(11,010)	(13,462)
ნედლეული და სახარჯი მასალები		(7,474)	(9,933)
საგადასახადო და დაკავშირებული ხარჯები		(1,946)	(3,202)
დაზღვევის ხარჯები		(1,232)	(1,316)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(14,282)	(19,187)
საპროცენტო შემოსავალი		3,897	19,081
სხვა არა-საოპერაციო (ხარჯები)/შემოსავალი, წმინდა	10, 23	(7,754)	1,948
ზარალი მოგების გადასახადამდე		**(149,794)**	**(71,293)**
მოგების გადასახადი		-	-
წლიური ზარალი		**(149,794)**	**(71,293)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული ზარალი		**(149,794)**	**(71,293)**

მმართველი საბჭოს სახელით:

_____	_____
გიორგი შარკოვი	**მაია ხაჩირაშვილი**
გენერალური დირექტორი	**ფინანსური დირექტორი**
2021 წლის 1 ნოემბერი	2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

10-39 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	11	443,672	317,298
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	15	1,062	5,245
არამატერიალური აქტივები		26	78
ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში	12	2,886	2,886
სულ გრძელვადიანი აქტივები		**447,646**	**325,507**
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	13	12,134	11,237
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14, 23	505	744
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	15	13,705	-
გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები	16	24,174	-
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	17	-	81
ფული და ფულის ექვივალენტები	18	33,252	68,419
სულ მიმდინარე აქტივები		**83,770**	**80,481**
სულ აქტივები		**531,416**	**405,988**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
გამოშვებული კაპიტალი	19	850,603	554,210
დაგროვილი ზარალი		(359,587)	(209,793)
სულ კაპიტალი		**491,016**	**344,417**
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გადავადებული შემოსავალი	20	28,131	30,720
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**28,131**	**30,720**
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	7,666	19,526
გადავადებული შემოსავალი	20	3,940	4,450
მიღებული ავანსები		166	74
საგადასახადო ვალდებულებები		497	6,801
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**12,269**	**30,851**
სულ ვალდებულებები		**40,400**	**61,571**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**531,416**	**405,988**

მმართველი საბჭოს სახელით:

გიორგი შარკოვი
გენერალური დირექტორი

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

მაია ხაჩირაშვილი
ფინანსური დირექტორი

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

10-39 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	გამოშვებული კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2019	**521,126**	**(138,500)**	**382,626**
წლის სრული ზარალი	-	(71,293)	**(71,293)**
დამფუძნებლის დამატებითი შენატანი (შენიშვნა 19)	33,084	-	**33,084**
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	**554,210**	**(209,793)**	**344,417**
წლის სრული ზარალი	-	(149,794)	**(149,794)**
დამფუძნებლის დამატებითი შენატანი (შენიშვნა 19)	296,393	-	**296,393**
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	**850,603**	**(359,587)**	**491,016**

მმართველი საბჭოს სახელით:

_____
გიორგი შარკოვი
გენერალური დირექტორი

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

_____
მაია ხაჩირაშვილი
ფინანსური დირექტორი

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

10-39 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიში
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან			
წლის ზარალი		(149,794)	(71,293)
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები	11	32,827	21,137
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	11	26,432	33,963
მარაგების გაუფასურება, წმინდა	13	1,880	686
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		326	144
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალი და გადახდილი ავანსები, წმინდა	14	58	8,665
გადავადებული შემოსავალი სამთავრობო გრანტიდან	10	(150)	(150)
გადავადებული შემოსავალი მომსახურების ხელშეკრულებიდან	10	(1,881)	(1,881)
გადავადებული შემოსავალი პარკინგიდან		(510)	-
გადავადებული შემოსავალი სარეკლამო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან	10	(557)	(511)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღდგენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	18	-	(91)
საგადასახადო ანარიცხის გაუქმება		(3,862)	-
საპროცენტო შემოსავალი		(3,897)	(19,081)
საოპერაციო საქმიანობაში ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		**(99,128)**	**(28,412)**
სავაჭრო და სხვა სახის მოთხოვნების კლება/(ზრდა)		181	(8,558)
მარაგების (ზრდა)/კლება		(2,777)	1,436
სავაჭრო და სხვა სახის ვალდებულებების (კლება)/ზრდა		(11,861)	1,694
საგადასახადო ვალდებულებების კლება		(2,439)	(1,162)
მომწოდებლებთან გადახდილი ავანსების კლება/(ზრდა)		244	(234)
მიღებული ავანსებისა და სხვა ვალდებულებების ზრდა		92	11,245
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		**(115,688)**	**(23,991)**
მიღებული პროცენტები		3,987	19,081
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**(111,701)**	**(4,910)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(212,835)	(135,671)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(73)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(212,835)**	**(135,744)**
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
დამფუძნებლის დამატებითი შენატანი	19	289,370	30,975
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**289,370**	**30,975**
ფულისა და ფულის ექვივალენტების კლება წმინდა		**(35,166)**	**(109,679)**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	18	**68,419**	**178,006**
საკურსო ცვლილებების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულად ნაშთებზე		(1)	92
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	18	**33,252**	**68,419**

გიორგი შარკოვი
გენერალური დირექტორი

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

მაია ხაჩირაშვილი
ფინანსური დირექტორი

2021 წლის 1 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

10-39 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია („კომპანია“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა საქართველოში 1997 წლის 24 ივლისს შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაციის სახით.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ქალაქ თბილისში ავტობუსით, მეტრო და საბაგირო ტრანსპორტით მომსახურება, თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებში პარკირების ადგილების მოწყობა.

2012 წელში ჯგუფმა გააერთიანა თბილისის საბაგირო ინფრასტრუქტურა და ახალაშენებული რიყე-ნარიყალას საბაგირო გზა.

2018 წელს ქ. თბილისის მერიამ შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიას გადასცა პარკინგის მართვა, ორგანიზებულია დაახლოებით 30,000 პარკინგის ადგილი.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის სადამფუძნებლო წილის 100% ეკუთვნოდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და ჯგუფის საბოლოო მფლობელია საქართველოს მთავრობა.

ჯგუფის ძირითადი საოპერაციო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, საქართველო, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ვაგზლის მოედანი #2.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფში დასაქმებულთა რიცხვი იყო 6,412 და 6,284, შესაბამისად.

კომპანიის შვილობილების ჩამონათვალი:

დასახელება	რეგისტრაციის ქვეყანა	მფლობელობა 2020 წლის 31 დეკემბერს	მფლობელობა 2019 წლის 31 დეკემბერს	საქმიანობის ტიპი
თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საფეხბურთო კლუბი	საქართველო	100%	100%	უმოქმედო

კომპანიას გააჩნია ინვესტიციები შემდეგ ასოცირებულ კომპანიებში:

დასახელება	ოპერირების ქვეყანა	მფლობელობა 2020 წლის 31 დეკემბერს	მფლობელობა 2019 წლის 31 დეკემბერს	საქმიანობის ტიპი
შპს „მთბი“	საქართველო	20.0%	20.0%	უმოქმედო
სს „ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალი“	საქართველო	50.0%	50.0%	სარემონტო სამუშაოები
სს „რემონტაჟსერვისი“	საქართველო	50.0%	50.0%	უმოქმედო

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემად მენეჯმენტის მიერ 2021 წლის 1 ნოემბერს.

2. უწყვეტი საწარმოს პრინციპი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას უწყვეტი საწარმოს პრინციპით, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფი ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებათა დაფარვას. წინამდებარე შეფასებისათვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის ზეგავლენა ჯგუფის საქმიანობაზე.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა განიცადა წმინდა ზარალი 149,794 ათასი და 71,293 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილი ზარალის ოდენობა შეადგენდა 359,587 ათას და 209,793 ათას ლარს, შესაბამისად. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს ჯგუფს ჰქონდა წმინდა ფულადი გადინება საოპერაციო საქმიანობიდან 111,701 ათასი და 4,910 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. ჩამოთვლილი გარემოებებისა და მოვლენების საფუძველზე შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საკითხი.

ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება უწყვეტი საწარმოს პრინციპს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიმდინარე აქტივებმა, 83,770 ათასი ლარის ოდენობით, 12,269 ათასი ლარის ოდენობის მიმდინარე ვალდებულებებს გადააჭარბა 71,501 ათასი ლარით. მიმდინარე აქტივებში ფული და ფულის ეკვივალენტები შეადგენს 33,252 ათას ლარს.

- ჯგუფმა მიიღო მხარდაჭერის წერილი მისი უშუალო დამფუძნებლის, თბილისის მერიის (მთავრობის) მხრიდან. წერილში მოცემულია დაპირება შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის სახელშეკრულებო ვალდებულებების დაფარვის შესახებ, თუ ამგვარი საჭიროება დადგება და მესამე პირებისგან მოზიდული სახსრები არ იქნება საკმარისი ჯგუფის საქმიანობებისა და ვალდებულებების დასაფარად. ამით ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ ჯგუფი შეინარჩუნებს უწყვეტი საწარმოს სტატუსს სულ მცირე 12 თვის განმავლობაში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღიდან, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

- ისტორიულად ჯგუფის საოპერაციო ზარალებს ანაზღაურებდა მთავრობა ფულადი და არაფულადი შენატანების სახით საოპერაციო საქმიანობის დაფინანსების მიზნით.

  2020 წლის განმავლობაში თბილისის მერიამ განახორციელა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საწესდებო კაპიტალში ფულადი და არაფულადი შენატანი ძირითადი საშუალებებისა სახით, ჯამური ღირებულებით 289,370 ათასი ლარი და 7,023 ათასი ლარი, შესაბამისად. შედეგად, კაპიტალი გაიზარდა და შეადგინა 491,016 ათასი ლარი.

  2019 წლის განმავლობაში თბილისის მერიამ განახორციელა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საწესდებო კაპიტალში ფულადი და არაფულადი შენატანი ძირითადი საშუალებებისა და მარაგების სახით, ჯამური ღირებულებით 30,975 ათასი ლარი და 2,109 ათასი ლარი, შესაბამისად. შედეგად, კაპიტალი გაიზარდა და შეადგინა 344,417 ათასი ლარი.

  თბილისის მერიის მიერ გამოჩენილი მხარდაჭერის და ქვეყნისათვის ჯგუფის საქმიანობის მნიშვნელობის გათვალისწინებით ხელმძვანელობა თვლის, რომ მთავრობა კვლავ გააგრძელებს ჯგუფის მხარდაჭერას.

- ჯგუფის დამფუძნებელია ქალაქ თბილისის მერია, ხოლო საბოლოო მესაკუთრეს საქართველოს მთავრობა წარმოადგენს. ჯგუფი თბილისისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების ერთადერთი მომწოდებელია. მისი ძირითადი საქმიანობაა ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო ტრანსპორტის ორგანიზება ავტობუსებით, მეტროსა და საბაგირო ტრანსპორტის საშუალებით, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკინგის ადგილების მოწყობა და კონტროლი. ჯგუფის ძირითადი მიზანია ქალაქ თბილისში ხანგრძლივი სატრანსპორტო მომსახურების მიწოდება და საზოგადების სხვადასხვა ფენისათვის ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, და არა მოგების

მაქსიმიზირება. განუსაზღვრელია რამდენად და როდის შეძლებს ჯგუფი მომგებიანობის დონემდე მიღწევასა და პოზიტიური ფულადი სახსრების ნაკადების მიღებას, ვინაიდან ეს დამოკიდებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების ფასების გაზრდის გადაწყვეტილებაზე, რაზედაც მთავრობამ უნდა გასცეს შესაბამისი მითითება. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ მთავრობა გააგრძელებს ჯგუფის მხარდაჭერას, რადგან მისი მომსახურება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქალაქ თბილისის მცხოვრებთათვის.

- საანგარიშო თარიღის შემდგომ ქალაქ თბილისის მერიამ ფულადი და არაფულადი შენატანის სახით შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეიტანა 93.6 მილიონი ლარი და ძირითადი საშუალებები ჯამური ღირებულებით 3.3 მილიონი ლარი, შესაბამისად.

3. შესაბამისობის ანგარიში

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

4. ახალი და რედაქტირებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

მიმდინარე წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- „ამოსავალი საპროცენტო განაკვეთების რეფორმის“ (შესწორებები სტანდარტებში ფასს 9 და ფასს 7) თავდაპირველი გამოყენების ეფექტი;
- „კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობების“ (შესწორებები სტანდარტში ფასს 16) თავდაპირველი გამოყენების ეფექტი;
- ქირის დათმობის გათვალისწინებით განხორციელებული საიჯარო გადახდების ცხვლილების აღრიცხვის ეფექტი;
- მიმდინარე წელს მოქმედი სხვა ახალი და შესწორებული ფასს სტანდარტების თავდაპირველი გამოყენების ეფექტი.

აღნიშნულ შესწორებებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი არ ჰქონია.

მიმდინარე წელს ჯგუფმა გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. მათ გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ თანხებზე.

- ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებათა შესწორებები;
- შესწორება სტანდარტში ფასს 3 - ბიზნესის განსაზღვრება;
- შესწორება სტანდარტებში ბასს 1 და ბასს 8 - არსებითობის განსაზღვრება;

ჯგუფი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები
- ფასს 10 და ბასს 28 (შესწორება) - აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის
- შესწორება სტანდარტში ბასს 1 - ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად
- შესწორება სტანდარტში ფასს 3 - მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე
- შესწორება სტანდარტში ბასს 16 - ძირითადი საშუალებები - დაგეგმილ გამოყენებამდე მიღებული შემოსავალი

- შესწორება სტანდარტში ბასს 37 – დამამძიმებელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯი
- წლიური შესწორებები - ფასს სტანდარტების 2018-2020 წლების ციკლი-შესწორებები სტანდარტში ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, ფასს 16 - იჯარა და ბასს 41 - სოფლის მეურნეობა

ჯგუფის მენეჯმენტი არ მოელის, რომ სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

5. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

მომზადების საფუძველი – წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ("ფასს"), მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, ხოლო განმარტებები შემუშავებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის მიერ ("IFRIC").

ქვემოთ წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი სახეობები. პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ ჯგუფი შეინარჩუნებს უწყვეტი საწარმოს პრინციპს და გააგრძელებს საქმიანობას პროგნოზირებად მომავალში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში მონაცემები წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში ("GEL"), თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აქტივების ისტორიული ღირებულებით. ჩვეულებრივ, ისტორიული ღირებულება ეფუძნება აქტივში გადახდილ სამართლიან ღირებულებას.

ფუნქციონალური ვალუტა. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტები აღრიცხულია ჯგუფის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს ძირითად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა"). ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი"). ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტაა ლარი. ყველა თანხა უახლოეს ათასობით ლარამდეა დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთ ჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები და შემოსავლები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ იქვითება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას არ ითვალისწინებს რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, რაც შესაბამისად უნდა იყოს განმარტებული ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ქვემოთ მოყვანილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები:

შემოსავალი. ჯგუფი ეწევა სატრანსპორტო მომსახურებას ავტობუსებით, მეტრო და საბაგირო ტრანსპორტით და ახორციელებს პარკინგის ადგილების ადმინისტრირებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

ყველა სახის მომსახურების ვალდებულების შესრულების აღიარება ჯგუფის მიერ ხდება დროის კონკრეტულ მონაკვეთში, გარდა პარკირების ადმინისტრირების მომსახურებისა, რომელსაც ჯგუფი აღიარებს მომხმარებლის მიერ წინასწარ გადახდილი პარკირების საფასურის პერიოდის შესაბამისად,

შემოსავალი აღიარებული წმინდა ოდენობით, დღგ-ს გამოკლებით. შემოსავალი აღირიცხება მიღებული/მისაღები ანაზღაურების საბაზრო ღირებულებით.

საიჯარო შემოსავალი
ქვემოთ აღწერილია ჯგუფის პოლიტიკა საოპერაციო იჯარებიდან მიღებული შემოსავლის აღიარების შესახებ.

დივიდენდი და საპროცენტო შემოსავალი
დივიდენდიდან შემოსავალი ინვესტიციებიდან აღიარდება მას შემდეგ, რაც დადგინდება მესაკუთრის მიერ თანხის მიღების უფლება (იმ შემთხვევაში, თუ შედეგად ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება თანხის ოდენობის სარწმუნოდ განსაზღვრა).

საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივიდან აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი და შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. საპროცენტო შემოსავალი ირიცხება დროით საფუძველზე, დარჩენილი ძირითადი თანხისა და გამოყენებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც არის ის განაკვეთი, რომლითაც ზუსტად ხდება საპროგნოზო მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირება ფინანსური აქტივის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში ამ აქტივის თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

იჯარა - იმას, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას, ჯგუფი ადგენს კონტრაქტის მოქმედების დაწყებისას. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება აღიარდება ყველა იმ საიჯარო გარიგებაში, რომელშიც ჯგუფი გამოდის როგორც მოიჯარე. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან იჯარებს (განიმარტება, როგორც 12 თვიანი ან უფრო მოკლე ვადის იჯარა) და დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებს (როგორებიცაა ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, მცირე საოფისე ავეჯი და ტელეფონები). ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საიჯარო გადასახადი აღირიცხება როგორც საოპერაციო ხარჯი წრფივად იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, თუ სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ არ ასახავს იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც იჯარის დაწყების დღეს არ გადაიხდება. მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, ჯგუფი იყენებს სესხის მზარდ განაკვეთს.

იჯარის ვალდებულება წარმოდგენილია, როგორც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების ცალკე მუხლი.

იჯარის ვალდებულება შემდგომ პერიოდებში აისახება საბალანსო ღირებულების გაზრდით, რაც მიზნად ისახავს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვას (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით), და უკვე გადახდილი საიჯარო გადასახადის ასახვის მიზნით საბალანსო ღირებულების შესაბამისი შემცირებით.

ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას ხელახლა აფასებს (და გამოყენების უფლების მატარებელ შესაბამის აქტივს აკორექტირებს), თუ:

- იჯარის ვადა შეიცვალა ან ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ხდომილებას ან გარემოებათა ისეთ ცვლილებას, რამაც გამოიწვია შესყიდვის ოფციონის რეალიზების შეფასების ცვლილება; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების დისკონტირებით (კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით).
- საიჯარო გადახდები შეიცვალა გარანტირებული ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე მოსალოდნელი გადახდის ცვლილების ან ინდექსისა თუ განაკვეთის ცვლილების გამო; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების ძველი განაკვეთით დისკონტირებით (თუ იჯარის გადასახადის ცვლილება გამოწვეული არაა მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით, რა დროსაც გამოიყენება კორექტირებული დისკონტირების განაკვეთი).

- მოხდა საიჯარო კონტრაქტის მოდიფიცირება და იჯარის მოდიფიკაცია არ აღრიცხულა როგორც დამოუკიდებელი იჯარა; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება მოდიფიცირებული იჯარის საიჯარო ვადაზე დაყრდნობით და კორექტირებული გადახდების ასევე კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით დისკონტირების გზით, მოდიფიკაციის ძალაში შესვლის დღეს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები მოიცავს შესაბამისი საიჯარო ვალდებულების საწყის აღიარებას, იჯარის დაწყების დღეს ან მანამდე გადახდილ საიჯარო გადახდებს, და აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები და საწყისი პირდაპირი ხარჯები. შემდგომში ასეთი აქტივები აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

როდესაც ჯგუფს ეკისრება ისეთი ხარჯების ვალდებულება, რაც დაკავშირებულია იჯარით აღებული აქტივის დემონტაჟთან და გატანასთან, მისი მდებარეობის ადგილის აღდგენასთან ან შესაბამისი აქტივის იჯარის პირობებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში მოყვანასთან, აღიარდება რეზერვი, რომელიც ფასდება ბასს 37-ის საფუძველზე. თუ ხარჯები გამოყენების უფლების მატარებელ აქტივთანაა დაკავშირებული, ისინი შედის შესაბამისი აქტივის ღირებულებაში, თუ ამ ხარჯების გაწევა მარაგების შექმნასთან არაა დაკავშირებული.

გამოყენების უფლების მატარებელ აქტივებს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და შესაბამისი აქტივის მოხმარების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში. თუ იჯარით ხდება შესაბამისი აქტივის საკუთრების უფლების გადაცემა ან გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის ღირებულებაში ასახლია, რომ ჯგუფი მოელის შესყიდვის ოფციონის რეალიზებას, შესაბამის გამოყენების უფლების მატარებელ აქტივს ცვეთა ერიცხება აქტივის მოხმარების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება იჯარის დაწყებისას.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია დამოუკიდებელ მუხლში.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის გაუფასურების დასადგენად გამოიყენება ბასს 36. გაუფასურების გამოვლენილი ზარალი აღირიცხება „ძირითადი საშუალებების“ პოლიტიკაში აღწერილი წესით.

პრაქტიკული შეღავათის სახით, ფასს 16 მოიჯარეს უფლებას აძლევს, არ დააცალკევოს არასაიჯარო კომპონენტები და საიჯარო და შესაბამისი არასაიჯარო კომპონენტები ერთი გარიგების ფარგლებში აღრიცხოს. ჯგუფს ეს პრაქტიკული შეღავათი არ გამოუყენებია.

მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან - როდესაც ჯგუფი არის მეიჯარე ისეთ იჯარაში, რომლითაც მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი მოიჯარეს გადაეცემა, იჯარით გაცემული ქონება აისახება როგორც მოთხოვნა ფინანსური იჯარიდან და აღირიცხება მომავალი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან თავდაპირველად აღიარდება იჯარის დაწყებისას (როდესაც იწყება იჯარის ვადა) იჯარის ძალაში შესვლისას (უადრესი საიჯარო ხელშეკრულების თარიღსა და იჯარის საკვანძო პირობებზე მხარეთა მიერ ვალდებულებებზე შეთანხმების თარიღს შორის) დადგენილი დისკონტირების განაკვეთით. აღნიშნული შემოსავლის აღიარება ხდება იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარიდან მიღებული ფინანსური შემოსავალი აღირიცხება წლის მოგება-ზარალში, ფინანსური შემოსავლის მუხლში.

უცხოური ვალუტა – ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. რეალური (სამართლიანი) ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვება.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ჯგუფმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
GEL/USD	3.2766	2.8677
GEL/EUR	4.0233	3.2095

სესხის აღების ხარჯები – იმ აქტივების შეძენასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებული ნასესხები სახსრების ხარჯები, რომელთა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ მომზადებას მნიშვნელოვანი დრო სჭირდება, აღირიცხება ამ აქტივების ხარჯების ნაწილის სახით მანამ, სანამ ეს აქტივები არ იქნება არსებითად მზად გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

ყველა სხვა სასესხო ხარჯი აღიარდება მათი გაწევის შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი – 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით, როდესაც მანამდე მოქმედი მოდელით დაბეგვრამდე მოგებას 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, მოგება კომპანიაში რჩებოდა თუ გაიცემოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ის ჯგუფზეც ვრცელდება. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

გარდა განაწილებული მოგების გადასახადისა, სხვა ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები“.
ახალი რეგულაციის შედეგად ჯგუფი აღარ არიცხავს გადასახადს მიღებულ მოგებას და მოგების გადასახადს მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში იხდის.

სამთავრობო გრანტი და გადავადებული შემოსავალი - აქტივებთან დაკავშირებული სამთავრობო გრანტები, მათ შორის, არაფულადი გრანტები საბაზრო ღირებულებით წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშის „ძირითადი საშუალებები და გადავადებული შემოსავალი“ ნაწილში. სამთავრობო გრანტი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში სისტემატიური სიხშირით იმავე პერიოდებში, რომელშიც აღირიცხება ამ გრანტით ასანაზღაურებელი ხარჯები.

ძირითადი საშუალებები – ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც გამოაკლდება აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ხარჯები, არსებობის შემთხვევაში.

ძირითად საშუალებების აქტივის თვითღირებულება დგინდება (ა) მისი შესასყიდი ღირებულებით, რომლშიც გათვალისწინებულია იმპორტირების ხარჯები და შესყიდვასთან დაკავშირებული არა-დაბრუნებად გადასახადები, გაქვითულია სავაჭრო ფასდაკლებები და შეღავათები; (ბ) ნებისმიერი ხარჯი, რაც გაიწევა აქტივის ისეთი ფუნქციონირებისათვის საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად, რაც ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ არის გამიზნული; (გ)იმ ხარჯების პირველადი შეფასება, რაც საჭირო იქნება საგნის დემონტაჟისა და გამოყოფისათვის და იმ ტერიტორიის აღსადგენად, სადაც ნივთია განთავსებული; (დ) ჯგუფის მიერ აღებული ვალდებულებები ნივთის შეძენასა და ისეთ გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც სრულდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში და არაა დაკავშირებული მარაგების წარმოებასთან; და (ე) განსაკუთრებული აქტივის შემთხვევაში, სასესხო ხარჯები, რომლებიც კაპიტალიზებულია ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკის შესაბამისად.
შედეგად კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაწეულ შეკეთებასა და ჩანაცვლებაზე მნიშვნელოვან დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებენ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას ან ზრდიან მის წარმადობას. ისეთი სარემონტო დანახარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კაპიტალიზაციის აღნიშნულ კრიტერიუმს, აღირიცხება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაწეული ხარჯების სახით.

ძირითადი საშულებების ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე. ძირითადი საშულებების სასარგებლო მომსახურების ვადა შემდეგია:

ძირითადი საშუალებების კატეგორიებია	წლები
შენობები	10-50
მანქანა-დანადგარები	5-30
სატრანსპორტო საშუალებები	5-30
საოფისე აღჭურვილობა	3-15
სხვა უძრავი აქტივები	5-15

მიწის ნაკვეთზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ცვეთადი ღირებულება წარმოადგენს ძირითადი საშუალების ერთეულის ღირებულებას გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება. ნარჩენი ღირებულება არის ის შეფასებული ღირებულება, რასაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალების ამ ერთეულის რეალიზაციით, რეალიზაციის შეფასებული ხარჯების გამოკლებით, ეს აქტივი რომ იყოს იმ ასაკისა და მდგომარეობის, რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მოხმარების ვადის ბოლოს.

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მოხმარების ვადები და ცვეთის დარიცხვის მეთოდი. წინა შეფასებებში განხორციელებული ცვლილებები აისახება შეფასების შესაბამის წესებში სამომავლო გამოყენებისათვის.

მოგება ან ზარალი მიღებული ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მიმდინარე მშენებლობა მოიცავს ძირითადი საშუალების მშენებლობასთან დაკავშირებულ პირდაპირ და ცვლად დანახარჯებს. მიმდინარე მშენებლობას ცვეთის ხარჯო არ ერიცხება. ისევე, როგორც ძირითადი საშუალებების სხვა ნივთების შემთხვევაში, მიმდინარე მშენებლობაზე ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც ნივთი გახდება გამოსაყენებლად ვარგისი, ანუ როდესაც ისინი მიაღწევენ ხელმძღვანელობის მიზნებისათვის ასამუშავებლად საჭირო მდებარეობასა და მდგომარეობას.

გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები - გრძელვადიანი აქტივები გასაყიდად განკუთვნილად კლასიფიცირდება, თუ მათი საბალანსო ღირებულების ამოღება არსებითად უნდა მოხდეს გაყიდვის ტრანზაქციით და არა მისი უწყვეტი გამოყენებით. ეს პირობა დაკმაყოფილებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივის გაყიდვა შესაძლებელია დაუყოვნებლივ, არსებულ მდგომარეობაში და მხოლოდ იმ პირობებით, რომლებიც ჩვეულებრივ ახასიათებს ამგვარი აქტივის გაყიდვას და თუ მისი გაყიდვა მაღალალბათურია. მენეჯმენტს მიზნად უნდა ჰქონდეს დასახული მისი გაყიდვა და მოსალოდნელი იუნდა

იყოს, რომ გაყიდვის გარიგება კლასიფიკაციის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში კვალიფიცირდება როგორც დასრულებული გაყიდვა.

გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები აღირიცხება მათი წინა საბალანსო ღირებულებასა და სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის უმცირესით.

აქტივების გაუფასურება – თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ამოწმებს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას გაუფასურების ნიშნების არსებობაზე. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება გაუფასურების ზარალის მასშტაბები (არსებობის შემთხვევაში). თუ ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების შეფასება შეუძლებელია, ჯგუფი აფასებს იმ შემოსავლის მომტანი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი განეკუთვნება. თუ ღირებულების განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, ჯგუფის აქტივები აგრეთვე ნაწილდება შემოსავლის მომტან ინდივიდუალურ ერთეულებზე. სხვა შემთხვევაში ხდება მათი მიკუთვნება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულის უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვისაც განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება არის სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას საპროგნოზო მომავალი ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირდება გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელშიც ასახულია ფულის დროში ღირებულების ბაზრისეული შეფასება და აქტივისთვის დამახასიათებელი ის რისკები, რომელთა მიხედვით მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზი არ კორექტირებულა.

თუ შეფასებით დადგინდა, რომ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება, მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მის აღდგენით ღირებულებამდე მცირდება. გაუფასურების დანაკარგი დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გაუფასურების დანაკარგის გაუქმების შემთხვევაში, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მის კორექტირებულ საპროგნოზო აღდგენით ღირებულებამდე იზრდება, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს ისეთ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა დადგენილი ამ აქტივისთვის წინა წლებში მასზე (ან შემოსავლის მომტან ერთეულზე) გაუფასურების დანაკარგის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

გაუფასურების დანაკარგის გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი ტერმინები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, ან თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებისას გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში ჯგუფი ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ლი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ სამართლიანი ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად სამართლიანი ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ლი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ლ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირდება, თუ კოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას ხდება მათი შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ჯგუფის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის პირველი გამოყენების დღის, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს სატრანსპორტო და სარეკლამო მომსახურების გაყიდვით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას. ეს ჯგუფის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად ჯგუფს კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდია. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება.

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არა-დაკავშირებულ მეამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებების შეფასების შემდეგი კატეგორიები არსებობს: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური წარმოებულები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ნებისმიერი ყიდვა და გაყიდვა ფინანსური აქტივებისა, რომელთა მოწოდებისთვის დადგენილია სარეგულაციო და საბაზრო ვადები („რეგულარული“ ყიდვა-გაყიდვა), აღირიცხება გარიგების თარიღის მიხედვით, რა დროსაც ჯგუფი იღებს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა სახის ნასყიდობა აღიარდება მას შემდეგ, რაც პირი ხდება მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებისა.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები. ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფული და ფულის ექვივალენტები – ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს წვრილ ფულს, საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულს, ფული გამოყენების შეზღუდვებით, ფული გზაში, დეპოზიტები, რომელთა დაუყოვნებლივი გამოთხოვა შესაძლებელია ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები – სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომლებზედაც არ ვრცელდება საპროცენტო განაკვეთი, აღირიცხება ნომინალური ოდენობით. მომავალში ამოღების გარეშე დარჩენილი თანხების შესაბამისი რეზერვი აისახება მოგება-ზარალში, თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივი გაუფასურებულია. აღიარებული რეზერვი გამოითვლება აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულებას შორის სხვაობიდან, რაც დისკონტირდება პირველადი აღიარების დროს მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ოდენობით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსდ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგებისათვის (12 თვიანი მსდ). ისეთი კრედიტებისათვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსდ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში ჯგუფში 12 თვიანი მსდ იქმნება.

კოლექტიურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი მსდ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღისათვის, მსდ არსებობის პერიოდის საფუძველზე. ჯგუფმა შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი ფორვარდული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც დამახასიათებელი მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოსათვის.

ინდივიდუალურად გამოყოფილი აქტივების შემთხვევაში ჯგუფი ნაგულისხმევი პარამეტრებით აფასებს ზღვრული ალბათობის რისკს, ნაგულისხმევი პარამეტრის დადგომის საშიშროებას და ნაგულისხმევი პარამეტრის ზარალს. როდესაც საორიენტაციო მიდგომის გამოყენება შეუძლებელია, ჯგუფი იყენებს კოლექტიური შეფასების რისკის პარამეტრებს მოსალოდნელი ზარალის გამოსათვლელად. საორიენტაციო მიდგომის გამოყენების მთავარი ფაქტორია საგარეო შეფასების მოპოვება ან გარე შეფასების საორიენტაციო მაჩვენებელია კონტრაგენტის ფინანსური თანაფარდობის ანალიზის ჩვენებისას. ჯგუფი იკვლევს გარე შეფასების ხელმისაწვდომობას ღია წყაროების საშუალებით, მათ შორის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების ვებსაიტებზე: Moody's, Fitch და S& Ps. როდესაც გარე შეფასება არ არის ხელმისაწვდომი,

ჯგუფი იღებს კონტრაქტის ფინანსურ ანგარიშგებას და განსაზღვრავს საორიენტაციო შეფასებას ფინანსური კოეფიციენტების საფუძველზე, Moody's– ის ფინანსური კოეფიციენტების მისადაგებით.

საექსპერტო შეფასების გამოყენება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ისეთ შემთხვევაში, როცა არ მოიპოვებოდა სარეზერვო მატრიცის ჩამოსაყალიბებლად საჭირო ისტორიული ინფორმაცია. არა-ანაზღაურებადი ოდენობის გამოსათვლელად გაუფასურების ხარისხი მრავლდება მოთხოვნის შესაბამის ოდენობაზე იმ პერიოდისთვის, რომელში ხდება გამოთვლა.

ყველა შემთხვევაში ჯგუფი მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება, სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადა გადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

მარაგები – სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგის ღირებულება განისაზღვრება დაანგარიშებული საშუალო ფასით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გაქვითულია დასრულებისა და გაყიდვის საანგარიშო ხარჯები.

რეზერვები – რეზერვები აღიარდება, როდესაც ჯგუფს უჩნდება მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) წარსული მოვლენის გამო, სავარაუდოა, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა.

რეზერვად აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო დღეს მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო კომპენსაციის შეფასებული ოდენობა, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც რეზერვი ფასდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად სავარაუდოდ საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ვალდებულება.

თუ რეზერვის დასაფარად საჭირო ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი მესამე მხარისგან უნდა იქნას მიღებული, მოთხოვნა აქტივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღება თითქმის გარანტირებულია და მოთხოვნის ოდენობა სარწმუნოდ იზომება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები – პირობითი ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება. ისინი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განიმარტება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების პერსპექტივა შორეულია. პირობითი აქტივების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, მაგრამ ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში განიმარტება, თუ სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სააქციო კაპიტალი – სააქციო კაპიტალი აღირიცხება ჯგუფის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები – დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული დივიდენდი შესაბამისად აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები – გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოიქვითება გაუფასურების რეზერვი.

მიღებული ავანსები – მიღებული ავანსები შედგება საწვავისა და სხვა მიზნებისათვის წინასწარ მიღებული ფულისგან. წინასწარ მიღებული ოდენობები არ აღირიცხება შემოსავლად მანამ, სანამ არ მოხდება შესაბამისი პროდუქტია თუ მომსახურების მიწოდება მომხმარებლისათვის.

6. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

შენიშვნაში 5-ში ჩამოთვლილი სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შეფასებათა განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების გაუფასურება - ხელმძღვანელობამ 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩაატარა გაუფასურების ანალიზი, რომლის საფუძველზეც გამოვლინდა მეტროსა და ავტობუსების, როგორც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების, ზარალიანობა, ისინი ვერ უზრუნველყოფდნენ ბიზნესისათვის სტაბილური საოპერაციო საქმიანობების წარმართვისათვის საჭირო შემოსავალს სამთავრობო დახმარების გარეშე, რომელიც კაპიტალში შენატანების სახით ხორციელდება.

2020 და 2019 წლების განმავლობაში მოხდა ახალი ავტობუსების შესყიდვა და ავტოპარკის განახლება. ვინაიდან ეს ავტობუსები ახლადშესყიდული ავტობუსებია, რომელთა ყიდვა-გაყიდვა შესაძლებელია აქტიურ ბაზარზე და არ წარმოადგენს სპეციალიზებულ აქტივებს, აგრეთვე რადგან არ არსებობდა გაუფასურების ნიშნები, რომლებიც ბაზარზე ავტობუსის ფასებთან იქნებოდა დაკავშირებული, მენეჯმენტმა დაასკვნა, რომ შესაძლებელია მათი საბალანსო ღირებულების აღდგენა აქტიურ ბაზარზე გაყიდვის გზით. ამდენად, ახლადშესყიდულ ავტობუსებზე გაუფასურების აღიარება არ მომხდარა. გაუფასურება ერიცხება ძველ ავტობუსებს და ახლა ისინი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯართის ღირებულებითაა აღიარებული.

2020 და 2019 წლების განმავლობაში ჯგუფმა ჩაატარა მეტროს სარეაბილიტაციო სამუშაოები და განახორციელა კაპიტალური დანახარჯები აქტივებზე. კერძოდ, ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რამდენიმე ესკალატორი და ვაგონებში ახლით ჩაანაცვლა მნიშვნელოვანი კომპონენტები, რითაც არსებითად არ გაზრდილა ესკალატორებისა და ვაგონების წონა. ასევე მეტროში განხორციელდა გარკვეული დამატებებიც. ვინაიდან მეტრო ზარალიანი ფულად სახსრების წარმომქმნელი ერთეულია, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სტაბილური ბიზნეს ოპერაციებისათვის საჭირო შემოსავლების მიღებას, ხელმძღვანელობამ შეაფასა ამ აქტივების გაუფასურება და მიიღო გადაწყვეტილება სრულად დაერიცხა მათზე გაუფასურება, რადგან ისინი წარმოადგენენ სპეციალიზებულ აქტივებს, რომელთა მოქმედ ბაზარზე გაყიდვა შეუძლებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა - ძირითადი საშუალებების ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ხდება მსგავს აქტივებთან მუშაობის მათეული გამოცდილების საფუძველზე. სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკური დაძველების მაჩვენებელს, ფიზიკურ ცვეთას და იმ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. რომელიმე ამ გარემოების ან მაჩვენებლის ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს გაუფასურების განაკვეთის სამომავლო კორექტირება.

დაბეგვრა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა იძლევა მრავალგვარი განმარტებებისა და ცვლილებების საფუძველს. ამასთან, ვინაიდან საგადასახადო კანონმდებლობის ჯგუფის მმართველობისეული განმარტება შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო უწყებების განმარტებებისაგან, უწყებებმა შესაძლოა სადაოდ გახადონ ტრანსაქციები, რის შედეგადაც ჯგუფს შესაძლოა დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფი თვლის, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება, ამიტომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ განხორციელებულა რაიმე დარეზერვება. საგადასახადო წელი 3 წლის განმავლობაში ღიაა საგადასახადო უწყებების მხრიდან შემოწმებისათვის.

სამართლებრივი მოთხოვნების საფუძვლები – სამართლებრივი მოთხოვნების ალბათობა ხელმძღვანელობის შეფასების საგანია. შესაძლო დავის შეფასებისას ხელმძღვანელობა განიხილავს სამართლებრივი წარმოების შესაძლო შედეგებს, საფრთხეებისა და დავასთან დაკავშირებული უზუსტობების გათვალისწინებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის შესაძლო საკრედიტო დანაკარგის რეზერვები - ჯგუფი ქმნის რეზერვებს სავაჭრო და სხვა სახის მოთხოვნების შესაძლო საკრედიტო დანაკარგებზე. მნიშვნელოვანი დაშვებებია საჭირო ამ რეზერვების ოდენობის განსაზღვრისათვის. საკრედიტო დანაკარგებზე რეზერვების შექმნისას მხედველობაში მიიღება მომხმარებლის ქცევის ისტორიული და მოსალოდნელი ქცევა. მყიდველის ეკონომიკური თუ ინდივიდუალური გარემოებების ცვლილებების გამო საჭირო ხდება სარეზერვო ოდენობების კორექტირება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო დანაკარგებისათვის შექმნილი რეზერვი შეადგენდა 2,700 ათას ლარს და 2,642 ათასი ლარს, შესაბამისად.

7. შემოსავალი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ჯგუფის შემოსავალი მოიცავს:

	2020	2019
შემოსავალი ავტობუსებიდან	37,449	66,802
შემოსავალი მეტროდან	34,253	67,851
შემოსავალი საბაგიროდან	520	4,788
სულ	**72,222**	**139,441**

მოქალაქეთა გარკვეული კატეგორია თბილისის ადმინისტრაციულ ფარგლებში მეტროსა და ავტობუსების რეგულარული რეისებისათვის გათავისუფლებულია ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან, ან სარგებლობს ფასდაკლებით პლასტიკური საშვით ერთჯერადად გადახდით. ფასდაკლების ოდენობას ჯგუფს უნაზღაურებს თბილისის მერია.

2020 და 2019 წელს ჯგუფმა მთავრობისაგან მიიღო ანაზღაურება ავტობუსის სამგზავრო საშვებისათვის 20,051 ათასი ლარისა და 37,717 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2020 და 2019 წელს ჯგუფმა მთავრობისაგან მიიღო ანაზღაურება მეტროს სამგზავრო საშვებისათვის 15,505 ათასი და 30,764 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

8. სხვა შემოსავალი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ჯგუფის სხვა შემოსავალი მოიცავს:

	2020	2019
საოჯარო შემოსავალი	2,633	3,239
შემოსავალი მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან	1,881	1,881
შემოსავალი გატარების მომსახურებიდან	1,435	1,439
შემოსავალი ჯართის ფორმით არსებული მარაგებიდან	1,031	285
შემოსავალი რეკლამიდან	557	621
სხვა	512	318
სულ	**8,049**	**7,783**

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებულ წლების შემოსავალი მომსახურების ხელშეკრულებიდან და შემოსავალი რეკლამიდან დროის პერიოდის განმავლობაში აღიარებულია წრფივი მეთოდით.

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ჯგუფის სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავდა:

	2020	2019
გადახდილი ავანსების გაუფასურების გაუქმება	(108)	-
ფულისა და ფულის ეკვივალენტების გაუფასურების გაუქმება	-	(91)
შეკეთების ხარჯები	8,766	3,885
მარაგების რეზერვი, წმინდა	1,880	686
წყლის ხარჯები	902	870
პროფესიული ხარჯები	671	878
მიწოდების ხარჯები	203	427
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება, წმინდა	58	8,616
ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ხარჯები	-	2,289
სხვა	1,910	1,627
სულ	**14,282**	**19,187**

10. სხვა არა-საოპერაციო (ხარჯები)შემოსავალი, წმინდა

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ჯგუფის მიერ მიღებული სხვა არა-საოპერაციო შემოსავალი მოიცავდა:

	2020	2019
საგადასახადო ანარიცხის გაუქმება	3,862	-
შემოსავალი პირგასამტეხლოებიდან	626	2,204
შემოსავალი სამთავრობო გრანტიდან	150	150
სხვა შემოსავალი	752	524
მართვის ხელშეკრულების შეწყვეტა	(12,991)	-
სხვა ხარჯები	(153)	(930)
სულ	**(7,754)**	**1,948**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის 12,991 ათასი ლარის ოდენობის მართვის ხელშეკრულების შეწყვეტის ღირებულება წარმოადგენს ხელშეკრულების ნაადრევი შეწყვეტის კომპენსაციას. 2018 წელს თბილისის მერიამ საპარკინგე ადგილების მართვა გადასცა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ და შეწყვიტა ხელშეკრულება არსებულ მმართველ კომპანიასთან, რომელმაც ხელშეკრულების ნაადრევი შეწყვეტისათვის მოითხოვა კომპენსაცია. ვინაიდან საპარკინგე ადგილების მართვა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას გადაეცა“, თბილისის მერიამ გადაწყვეტილება მიიღო, კომპენსაციის თანხის გადახდა ჯგუფისათვის დაეკისრებინა.

სახელმწიფო გრანტიდან მიღებული შემოსავალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის წარმოადგენს 2011 წელს მთავრობის მიერ განუსაზღვრელი ვადით, უსასყიდლოდ, მიღებული შენობა-ნაგებობის ღირებულებასთან დაკავშირებული გადავადებული შემოსავლის ამორტიზაციას. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ამ შენობის გამოყენება მოხდება მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფმა აღიარა ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 11) და გადავადებული შემოსავალი (შენიშვნა 20) და ორივეს ამორტიზაციას ახორციელებს წრფივი მეთოდით, სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისად.

11. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა	სხვა უძრავი აქტივები	მიმდინარე მშენებლობა	სულ
ღირებულება								
2019 წლის 1 იანვარი	**49,147**	**46,672**	**16,096**	**139,119**	**1,280**	**711**	**2,953**	**255,978**
დამატება	2,183	205	2,054	161,032	1,279	152	5,417	172,322
გადატანა	-	781	1,025	1,711	-	-	(3,517)	-
ჩამოწერა	-	-	-	(194)	-	-	-	(194)
2019 წლის 31 დეკემბერი	**51,330**	**47,658**	**19,175**	**301,668**	**2,559**	**863**	**4,853**	**428,106**
დამატება	6,592	444	-	160,322	2,628	1,706	14,206	185,898
გადატანა	-	175	-	1564	-	-	(1,739)	-
ჩამოწერა	-	(142)	(54)	(126)	(2)	(4)	-	(328)
2020 წლის 31 დეკემბერი	**57,922**	**48,135**	**19,121**	**463,428**	**5,185**	**2,565**	**17,320**	**613,676**
დაგროვილი ცვეთა								
2019 წლის 1 იანვარს	**-**	**5,352**	**2,365**	**45,752**	**327**	**470**	**1,498**	**55,764**
ცვეთის დარიცხვა	-	2,592	939	17,128	356	116	-	21,131
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	(50)	-	-	-	(50)
გაუფასურების ზარალი	-	769	1,624	29,600	-	70	1,900	33,963
2019 წლის 31 დეკემბერი	**-**	**8,713**	**4,928**	**92,430**	**683**	**656**	**3,398**	**110,808**
ცვეთის დარიცხვა	-	2,542	812	28,178	995	276	-	32,803
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	(9)	(1)	(23)	(2)	(4)	-	(39)
გაუფასურების ზარალი	-	157	-	22,178	-	-	4,097	26,432
2020 წლის 31 დეკემბერი	**-**	**11,403**	**5,739**	**142,763**	**1,676**	**928**	**7,495**	**170,004**
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2019 წლის 31 დეკემბერს	**51,330**	**38,945**	**14,247**	**209,238**	**1,876**	**207**	**1,455**	**317,298**
2020 წლის 31 დეკემბერს	**57,922**	**36,732**	**13,382**	**320,665**	**3,509**	**1,637**	**9,825**	**443,672**

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გაცვეთილმა და გაუფასურებულმა აქტივებმა შეადგინა 126,426 ათასი და 101,720 ათასი ლარი, შესაბამისად.

2019 წლის განმავლობაში ჯგუფმა შეისყიდა „მანის“ სახეობის 90 და „ისუძუ ნოვოსიტი ლაიფის“ სახეობის 220 ავტობუსი. შესყიდვის მიზანია იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და ქალაქის მასშტაბით ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის წარმადობის გაზრდა.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს ძირითადი საშუალებები მოიცავდა 2011 წელს მთავრობისაგან უსასყიდლოდ და განუსაზღვრელი ვადით მიღებულ ადმინისტრაციულ შენობას. ხელმძღვანელობა ვარაუდობს შენობის გამოყენებას მისი სასარგებლო მომსახურების სრული ვადით. ჯგუფმა აღიარა ძირითადი საშუალებები და გადავადებული შემოსავალი და ორივე შემთხვევაში არიცხავს ამორტიზაციას წრფივი მეთოდით შენობის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, როგორც ამას ითვალისწინებს სამთავრობო გრანტის აღრიცხვის საბუღალტრო წესები.

12. ინვესტიციები ასოცირებულ საწარმოებში.

ასოცირებული კომპანიები რეგისტრირებულია საქართველოში და 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

		2020 წლის 31 დეკემბერი		2019 წლის 31 დეკემბერი	
დასახელება	საქმიანობის ტიპი	საბალანსო ღირებულება	წილობრივი მონაწილეობა	საბალანსო ღირებულება	წილობრივი მონაწილეობა
სს ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალი	სარემონ. სამუშაოები	2,886	50%	2,886	50%
სს რემონტაჟსერვისი	უმოქმედო	-	50%	-	50%
შპს მთბი	უმოქმედო	-	20%	-	20%
სულ		**2,886**		**2,886**	

13. მარაგები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აღირიცხებოდა შემდეგი მარაგები:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სათადარიგო ნაწილები	20,595	17,756
საწვავი	523	585
	21,118	18,341
რეზერვები	(8,984)	(7,104)
სულ	**12,134**	**11,237**

ცვლილებები სარეზერვო რაოდენობებში:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ბალანსი პერიოდის დასაწყისში	**(7,104)**	**(6,786)**
ნედლეულის დამატებითი რეზერვი	(2,737)	(2,234)
მარაგების ჩამოწერა	-	368
ნედლეულის რეზერვის გაუქმება	857	1,548
ბალანსი პერიოდის დასასრულს	**(8,984)**	**(7,104)**

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავდა შემდეგს:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,924	1,753
მოთხოვნები თანამშრომლებიდან	132	41
სხვა მოთხოვნები	1,149	1,592
	3,205	3,386
საეჭვო ვალების გაუფასურების რეზერვი	(2,700)	(2,642)
სულ	**505**	**744**

მოთხოვნის ანაზღაურებადობის შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სავაჭრო მოთხოვნის ცვალებადობას მისი წარმოშობიდან ანგარიშგების თარიღამდე. მომხმარებელთა ფართო ბაზებისა და განსხვავებულობის გათვალისწინებით საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია.

საეჭვო ვალების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ბალანსი პერიოდის დასაწყისში	(2,642)	**(2,243)**
მოთხოვნებზე აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(289)	(8,638)
წლის განმავლობაში ამოუღებლად ჩამოწერილი თანხები	-	8,217
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღდგენა	231	22
ბალანსი პერიოდის დასასრულს	**(2,700)**	**(2,642)**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლის სავაჭრო და სხვა სახის მოთხოვნების გაუფასურება და ჩამოწერა 8,217 ათასი ლარის ოდენობით, მოიცავდა თბილისის მერიიდან მისაღები მოთხოვნების გაუფასურებას. თბილისის მერიამ არ აანაზღაურა კომპენსაციის ის ოდენობა, რომელიც გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისათვის ფასდაკლებების მიწოდებასთან დაკავშირებით უნდა მიეღო ჯგუფს (შენიშვნა 23).

წარმოდგენილია მოთხოვნების ანალიზი ხანდაზმულობის მიხედვით:

2020 წლის 31 დეკემბერი (ლარი '000)	დროული	- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	- 30-დან 90 დღემდე	- 91 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
ვადაგადაცილებული მოთხოვნის საბალანსო მთლიანი ოდენობა	443	21	80	2,661	**3,205**
მსზ არსებობის მანძილზე	(9)	(2)	(28)	(2,661)	**(2,700)**

2019 წლის 31 დეკემბერი (ლარი '000)	დროული	- 30 დღეზე ნაკლები ვადა გადაცილებით	- 30-დან 90 დღემდე	- 91 დღეზე მეტო ვადა გადაცილება	სულ
ვადაგადაცილებული მოთხოვნის საბალანსო მთლიანი ოდენობა	651	51	101	2,583	**3,386**
მსზ არსებობის მანძილზე	(18)	(5)	(36)	(2,583)	**(2,642)**

საკრედიტო რისკის შეფასებითი შკალა:

	2020 წლის 31 დეკემბერი		
(ლარი'000)	მსდ არსებობის მანძილზე - გაუფასურების გარეშე	მსდ არსებობის მანძილზე – გაუფასურებული	სულ
ვადაგადაუცილებელი	9	-	**9**
0-30 ვადაგადაცილება	2	-	**2**
30-90 ვადაგადაცილება	28	-	**28**
90> ვადაგადაცილება	-	2,661	**2,661**
სულ	**39**	**2,661**	**2,700**

	2019 წლის 31 დეკემბერი		
(ლარი'000)	მსდ არსებობის მანძილზე - გაუფასურების გარეშე	მსდ არსებობის მანძილზე – გაუფასურებული კრედიტი	სულ
არავადაგადაცილებული	18	-	**18**
0-30 ვადაგადაცილება	5	-	**5**
30-90 ვადაგადაცილება	36	-	**36**
90>ვადაგადაცილება	-	2,583	**2,583**
სულ	**59**	**2,583**	**2,642**

15. მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან

2020 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში ჯგუფმა გააფორმა ფინანსური იჯარის გარიგებები, რომელშიც იგი გამოვიდა როგორც მეიჯარე. ჯგუფმა ოთხ კონტრაგენტზე იჯარით გასცა 109 ცალი M2 ტიპის ავტობუსი მათი შესყიდვის ოფციით.

ჯგუფს საიჯარო გარიგებებიდან გამომდინარე სავალუტო რისკი არ ეკისრება, რადგან ყველა იჯარა დენომინირებულია ადგილობრივ ვალუტაში. იჯარით გაცემულ საშუალებებზე ნარჩენი ღირებულების რისკი უმნიშვნელოა, რადგან არსებობს აღნიშნული საშუალებების მეორეული ბაზარი.

ჯგუფის მენეჯმენტის შეფასებით, საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური იჯარიდან მისაღებ მოთხოვნებზე ზარალის ანარიცხები ნულის ტოლია. საანგარიშო პერიოდის ბოლოს არც ერთი მოთხოვნა ფინანსური იჯარიდან ვადაგადაცილებული არ არის და იმ დარგების სამომავლო პერსპექტივებიდან გამომდინარე, რომლებშიც მოიჯარეები ოპერირებენ და აღნიშნულ ფინანსური იჯარის მოთხოვნებზე მიღებული უზრუნველყოფის ღირებულების გათვალისწინებით, ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არც ერთი მოთხოვნა ფინანსური იჯარიდან გაუფასურებული არ არის.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ, 2021 წლის 1 ივლისს ყველა კონტრაგენტმა განახორციელა ავტობუსების შესყიდვის უფლება.

16. გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გასაყიდად განკუთვნილ გრძელვადიან აქტივებში შედის M2 ტიპის 191 ავტობუსი. მენეჯმენტი გეგმავს მათ იჯარით გაცემას ან გაყიდვას.

საანგარიშო თარიღის შემდგომ ჯგუფმა გააფორმა ფინანსური იჯარის გარიგებები, რომელშიც იგი გამოვიდა როგორც მეიჯარე. ჯგუფმა ოთხ კონტრაგენტზე იჯარით გასცა 191 ცალი M2 ტიპის ავტობუსი მათი შესყიდვის ოფციით.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ, 2021 წლის 1 ივლისს ყველა კონტრაგენტმა განახორციელა ავტობუსების შესყიდვის უფლება.

17. მომწოდებელთათვის გადახდილი ავანსები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსები იყო შემდეგი:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ქვემოიჯარეებზე გადახდილი ავანსები	-	81
სულ მომწოდებელთათვის გადახდილი მიმდინარე ავანსები	**-**	**81**
ავანსები ძირითადი საშულებებისათვის	1,062	5,245
სულ მომწოდებელთათვის გადახდილი გრძელვადიანი ავანსები	**1,062**	**5,245**
სულ	**1,062**	**5,326**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უძრავი ქონებისათვის გადახდილი ავანსი შედგებოდა შპს „ტოქსისოფტისათვის“ დისპეტჩერიზაციის ცენტრალიზაციის სისტემის შეძენა-იმპორტში გადახდილი 731 ათასი ლარისგან და ასოცირებული საწარმო სს „ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალი“-სთვის მეტროს სარეაბილიტაციო სამუშაოებსა და მსხვილი ნაწილების ჩანაცვლებაში გადახდილი 3,583 ათასი ლარისაგან.

18. ფული და ფულის ექვივალენტები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულისა და ფულის ექვივალენტები მოიცავდა შემდეგს:

	2020 წლის 31 დეკემბერს	2019 წლის 31 დეკემბერს
ხელზე არსებული ნაღდი ფული	-	3
ბანკებში განთავსებული ნაღდი ფული	33,252	68,417
საბანკო დეპოზიტი	-	-
	33,252	68,420
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	-	(1)
სულ	**33,252**	**68,419**

19. გამოშვებული კაპიტალი

2020 წლის განმავლობაში თბილისის მერიამ შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის კაპიტალში შენატანის სახით განახორციელა ფულადი და არაფულადი შენატანები ძირითადი საშუალებების სახით, ღირებულებით 289,370 ათასი და 7,023 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2019 წლის განმავლობაში თბილისის მერიამ შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის კაპიტალში შენატანის სახით განახორციელა ფულადი და არაფულადი შენატანები ძირითადი საშუალებებისა და მარაგების სახით, ღირებულებით 30,975 ათასი და 2,109 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს ჯგუფის სადამფუძნებლო აქციების 100% მფლობელი იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მერია და საბოლოო მფლობელი საქართველოს მთავრობა.

20. გადავადებული შემოსავალი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული შემოსავალი იყო შემდეგი:

	2020 წლის 31 დეკემბერს	2019 წლის 31 დეკემბერს
გადავადებული შემოსავალი მომსახურების ხელშეკრულებებიდან	14,499	16,381
გადავადებული შემოსავალი სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულებებიდან	10,075	10,633
გადავადებული შემოსავალი სამთავრობო გრანტიდან	6,145	6,294
გადავადებული შემოსავალი პარკირებიდან	1,352	1,862
სულ გადავადებული შემოსავალი	**32,071**	**35,170**
გადავადებული შემოსავლის მოკლევადიანი ნაწილი	3,940	4,450
გადავადებული შემოსავლის გრძელვადიანი ნაწილი	28,131	30,720

გადავადებული შემოსავალი მომსახურების ხელშეკრულებიდან მოიცავს გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში მიღებულ ნაღდ ფულს. 2017 წელს ჯგუფმა გამოაცხადა ტენდერი ბანკებისაგან მეტროს, ავტობუსებისა და საბაგირო ტრანსპორტისათვის კომპიუტერული მოწყობილობების მიწოდებასა და პლასტიკური ბარათით გადახდის მომსახურების შესასყიდად, რომელიც 2019 წლიდან 10 წლის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო. ტენდერი სს „საქართველოს ბანკმა“ მოიგო, მან ჯგუფს გადაუხადა 22,200,000 ლარი, დღგ-ს ჩათვლით. 2017 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მომსახურების შესრულების ვადა განისაზღვრა 2018 წლის 15 სექტემბრიდან 2028 წლის 15 სექტემბრამდე. შემოსავალი ჯგუფის მიერ აღიარებულია წრფივი მეთოდით მთელი პერიოდის განმავლობაში.

გადავადებული შემოსავალი სარეკლამო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან წარმოადგენს გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში მიღებულ თანხას. 2019 წელს ჯგუფმა გამოაცხადა ტენდერი სარეკლამო კომპანიებისათვის, რომლის ფარგლებში გამარჯვებულს ეძლეოდა ჯგუფის კუთვნილი სარეკლამო ფართობების გამოყენების უფლება 20 წლით, 2020 წლის თებერვლიდან მოყოლებული. ტენდერში გაიმარჯვა შპს „ალმამ“ და ჯგუფს დღგ-ის ჩათვლით გადაუხადა 14,547 ათასი ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა 2019 წლის 6 თებერვალს და მის მიხედვით, მომსახურების გაწევა მოხდება 2019 წლის 6 თებერვლიდან 2039 წლის 6 თებერვლამდე. შემოსავალი პერიოდის განმავლობაში აღირიცხება წრფივად.

გადავადებული შემოსავალი სამთავრობო გრანტიდან წარმოდგენილია 2011 წელს სახელმწიფოსაგან უსასყიდლოდ მიღებული ადმინისტრაციული შენობის სახით. ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული სამთავრობო გრანტი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულია ძირითად საშუალებებში (შენიშვნა 11) და გადავადებულ შემოსავალში (შენიშვნა 20). მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამთავრობო გრანტები აისახება სისტემატიურად იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ჯგფუფი ასახავს გრანტის მიერ დაფინანსებული საქმიანობისათვის გაწეულ ხარჯებს. ხელმძღვანელობა გეგმავს მის გამოყენებას მთლიანი სასარგებლო პერიოდის განმავლობაში. ძირითადი საშუალება და გადავადებული შემოსავალი ჯგუფის მიერ აღიარებულია ორივე შემთხვევაში და ამორტიზაცია აღირიცხება წრფივი მეთოდით შენობის სასარგებლო მომსახურების მთლიანი ვადის განმავლობაში სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისად.

გადავადებული შემოსავალი პარკინგიდან მიემართება პარკინგის მომსახურებისათვის მოქალაქეთა მიერ გადახდილ თანხას, რომელიც ანგარიშგების თარიღში ჯერ კიდევ არ იყო ჯგუფის მიერ გამომუშავებული. ვინაიდან მომხმარებლები პარკინგის მომსახურების ღირებულებას კონკრეტული პერიოდისათვის იხდიან შესაბამის პერიოდზე აღირიცხება შემოსავალიც.

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	2020 წლის 31 დეკემბერს	2019 წლის 31 დეკემბერს
სავაჭრო გადასახდელები	5,617	8,482
სახელფასო გადასახდელები	1,584	3,657
სხვა გადასახდელები	465	7,387
სულ	**7,666**	**19,526**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა გადასახადელები მოიცავს შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასის“ მიმართ გადასახდელს 6,924 ათასი ლარის ოდენობით. 2019 წლის 17 სექტემბერს ჯგუფმა სამართლებრივი დავა წამოიწყო შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასის“ წინააღმდეგ. ჯგუფმა ამ კომპანიას შეუკვეთა გარკვეული რაოდენობის ავტობუსები, რისი მიწოდებაც შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ საგრძნობლად დააგვიანა და ჯგუფმა ის დააჯარიმა იმით, რომ სრულად არ გადაიხადა ავტობუსების შესყიდვასთან დაკავშირებული სავაჭრო გადასახდელი. შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ სასამართლოში გაასაჩივრა დარჩენილი თანხა 6,924 ათასი ლარის ოდენობით. მენეჯმენტის აზრით, ჯგუფს ვალდებულების სახით არსებითი ზარალი არ ემუქრება, რადგან ვალდებულება უკვე ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გადასახდელების ჯგუფში.

22. ფინანსური ინსტრუმენტები

ნამდვილი ღირებულება არის ის ღირებულება, რასაც შეფასების მომენტში ბაზრის მონაწილეები მიიღებდნენ აქტივის გაყიდვისგან ან ვალდებულების გადაცემის სანაცვლოდ კანონიერი გარიგების ფარგლებში. ჯგუფის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ნამდვილი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ იქნა ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და შესაბამისი შეფასებითი მეთოდოლოგია. თუმცა, საბაზრო ფასის დადგენისას შეფასებით გადაწყვეტილება საჭიროა საბაზრო მონაცემის განმარტებისთვის. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებს და ეკონომიკური გარემოება ზღუდავს აქტივობებს ფინანსურ ბაზრებზე. ბაზრის მონაცემები შესაძლოა იყოს მოძველებული, იმეორებდეს საგანგებო მდგომარეობის დროს განხორციელებულ ნასყიდობებს და ამიტომ სწორად არ ასახავდეს ფინანსური ინსტრუმენტების ნამდვილ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების ნამდვილი ღირებულების დადგენისას გამოიყენა ბაზარზე ხელმისაწვდომი ყველა ინფორმაცია.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება ხორციელდება მომავალში სავარაუდოდ მისაღები ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. სავაჭრო მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები თითქმის მათი სამართლიანი ღირებულებების ტოლია მოკლე დაფარვის ვადის გამო.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე გაცხადებული ვადის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება ხორციელდება მომავალში სავარაუდო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი ნამდვილი ღირებულებები მიახლოებითია.

ფულისა და მისი ექვივალენტების ნამდვილი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ იქნება 1-ლი დონის საზომი მეთოდი და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება დადგინდა მე-3 დონის მეთოდით.

კაპიტალის რისკის მართვა – ჯგუფის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მიმართულია შეინარჩუნოს იმდენი კაპიტალი, რაც საკმარისი იქნება ჯგუფის სტრატეგიული და საოპერაციო საქმიანობის შესასრულებლად.. ჯგუფის კაპიტალი ძირითადად შედგება თბილისის მერიის შენატანებისაგან. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნდა სესხები და მთლიანად კაპიტალით ფინანსდებოდა.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები – ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება. ჯგუფს სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა ფული და ფულის ექვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	505	744
ფული და ფულის ექვივალენტები	33,252	68,419
სულ ფინანსური აქტივები	**33,757**	**69,163**

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,666	19,526
საგადასახადო ვალდებულებები	497	6,801
სულ ფინანსური ვალდებულებები	**8,163**	**26,327**

ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტებიდან ძირითადი რისკები უკავშირდება უცხოურ ვალუტას, საპროცენტო განაკვეთს, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკს.

სავალუტო რისკი – სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც ჯგუფი სარგებლობს. ჯგუფის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკ დამოკიდებულების სამართავად წარმოებული ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აღენიშნებოდა უცხოურ ვალუტაში აღრიცხული არსებითი სიდიდის ფინანსური აქტივი ან ვალდებულება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო რისკი, არის საპროცენტო განაკვეთების მერყეობა, რაც უარყოფითად აისახება ჯგუფის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ჯგუფზე საპროცენტო განაკვეთის რისკი არ მოქმედებს, რადგან 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მას აღებული სესხები არ ჰქონია.

<u>მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები</u>
ზემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ერთი ძირითადი დაშვების ცვლილების ეფექტს, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. სინამდვილეში, აღნიშნულ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის რეალური კორელაცია არსებობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მგრძნობელობა არა-წრფივია და შედეგებიდან უფრო დიდი ან მცირე ზეგავლენის ინტერპოლირება ან ექსტრაპოლირება არ შეიძლება.

მგრძნობელობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. გარდა ამისა, ბაზრის რეალური მოძრაობის სხვადასხვა მომენტში ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევის ზემოქმედების მართვას. როდესაც საინვესტიციო ბაზარი სხვადასხვა მანიშნებელ დონეს ცილდება, ხელმძღვანელობას შეუძლია გაყიდოს ინვესტიციები, შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება და სხვა დამცავი ზომები მიიღოს. შედეგად, დაშვების ცვლილებას რეალურად შეიძლება ეფექტი არც ჰქონდეს ვალდებულებებზე, მაშინ,

როდესაც აქტივები ბალანსზე საბაზრო ღირებულებითაა ასახული. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების შეფასების სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება აქციონერთა კაპიტალის რყევა გამოიწვიოს.

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვებს შორისაა ბაზრის ჰიპოთეტური მოძრაობის გამოყენება იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც რეალურად მხოლოდ ჯგუფის თვალსაზრისს ასახავს უახლოეს მომავალში ბაზრის ცვლილების შესახებ. ამ უკანასკნელის პროგნოზირება კი საკმარისი სანდოობით შეუძლებელია. ერთ-ერთი შეზღუდვა იმის დაშვებაცაა, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი იდენტური სახით იცვლება.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი მთელი ჯგუფის მასშტაბით იმართება. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომხმარებელი ან კონტრაქტორი აღმოჩნდება გადახდისუუნარო მდგომარეობაში ან დროულად ვერ დაფარავს ჯგუფის მიმართ არსებულ დავალიანებას, რაც ჯგუფისათვის ფინანსურ დანაკარგს გამოიწვევს. ქვემოთ მოყვანილია ჯგუფის ძირითადი საკრედიტო დანახარჯების კრიტერიუმები:

ჯგუფის შემოსავლების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს წინასწარ გადახდილი მომსახურების ღირებულება და მოსალოდნელი ანაზღაურება ქალაქ თბილისის მერიისგან. სხვა სავაჭრო მოთხოვნებს შორისაა მომწოდებლებისაგან მისაღები სახელშეკრულებო თანხები და მოიცავს შესასრულებელი სამუშაოების საავანსო გადახდებს. ხელშეკრულების დადებისას ჩამოთვლილთაგან ყველა კონტრაქტორი ინდივიდუალურად ფასდება მისი გადახდისუნარიანობის მიხედვით და ჯგუფისათვის რისკის შესამცირებლად ხელშეკრულება ითვალისწინებს ვადამდე შეწყვეტის პუნქტებს. ჯგუფი მიმართავს ყველა არსებულ საშუალებას მისაღები რაოდენობების ამოსაღებად.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საბალანსო ღირებულებები, გაუფასურების გათვალისწინებით, წარმოადგენს ჯგუფის მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდობის რისკი – ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დადგენილ ვადებში ყველა ვალდებულების შესრულებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ჯგუფის არაწარმოებული საკონტრაქტო ვალდებულებების დაფარვის ნარჩენი ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის საფუძველზე, როდესაც ჯგუფს შეიძლება გადახდა მოეთხოვოს. ცხრილში ნაჩვენებია როგორც ძირითადი თანხის, აგრეთვე პროცენტის ფულადი ნაკადები.

	ერთ თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წელი	5+ წელი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი						
უპროცენტო	8,163	-	-	-	-	8,163
პროცენტიანი	-	-	-	-	-	-
	8,163	**-**	**-**	**-**	**-**	**8,163**
2019 წლის 31 დეკემბერი						
უპროცენტო	19,403	-	6,924	-	-	26,327
პროცენტიანი	-	-	-	-	-	-
	19,403	**-**	**6,924**	**-**	**-**	**26,327**

23. გარიგებები დაკავშირებულ პირებთან

მეკავშირე მხარეები მოიცავს ჯგუფის მფლობელებს, პარტნიორებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

მეკავშირე მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არამეკავშირეპირები ვერ განახორციელებენ. მეკავშირე მხარეებს შორის ტრანზაქციები შეიძლება ხორციელდებოდეს სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

მეკავშირე მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. მეკავშირე მხარეებთან გარიგებებისგან ჯგუფს გააჩნია შემდეგი ნაშთები:

	2020 წლის 31 დეკემბერი				
	დამფუძნებელი	ასოცირებული კომპანიები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-	-	-
შემოსავალი	35,556	-	-	-	*35,*556
თანამშრომელთა ანაზღაურება	-	-	519	-	519
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი (შენიშვნა 14)	-	-	-	-	-

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა სს ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალისაგან შეიძინა 22,564 ათასი ლარის სარემონტო სამუშაოები მეტროს რეაბილიტაციისათვის და განახორციელა აქტივებზე კაპიტალიზებული დანახარჯები (შენიშვნა 11).

	2019 წლის 31 დეკემბერი				
	დამფუძნებელი	ასოცირებული კომპანიები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	186	-	-	-	186
შემოსავალი	68,481	-	-	-	68,481
თანამშრომელთა ანაზღაურება	-	-	434	-	434
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი (შენიშვნა 14)	8,217	-	-	-	8,217

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა სს ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალისაგან შეიძინა 29,918 ათასი ლარის სარემონტო სამუშაოები მეტროს რეაბილიტაციისათვის და განახორციელა აქტივებზე კაპიტალიზებული დანახარჯები (შენიშვნა 11).

უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის გადახდილი კომპენსაცია გამოიხატებოდა მოკლევადიან ბენეფიტებში.

24. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები – 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ გააჩნდა დასაფარი მატერიალური სიდიდის პირობითი ვალდებულებები.

სამართლებრივი დავები – ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის პროცესში ჯგუფის მიმართ წარმოიშვება სადაო საკითხები მოქალაქეებისა და კონტრაქტორების მხრიდან. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ შედეგად არაა მოსალოდნელი მატერიალური მნიშვნელობის მქონე ზარალი, ამიტომ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გათვალისწინებული შესაბამისი სარეზერვო ოდენობები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარეობდა ჯგუფის დავა სს „სადაზღვევო კომპანია უნისონთან“. 144 ავტობუსის დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება ჯგუფსა და სადაზღვევო კომპანიას შორის გაფორმდა 2017 წლის 22 დეკემბერს. 2018 წლის 24 მაისს ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა ჯგუფის მიერ. სს სადაზღვევო კომპანია უნისონმა გაასაჩივრა ხელშეკრულების შეწყვეტა და ჯგუფისაგან მოითხოვს მიუღებელი მოგების, მიყენებული ზიანისა და ჯარიმების ანაზღაურებას. მოთხოვნილი თანხა შეადგენს 1,884 ათას ლარს. ხელმძღვანელობა თვლის, რომ დავის შედეგად არაა მოსალოდნელი არსებითი ზარალი ჯგუფისათვის, ამიტომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არაა გათვალისწინებული სარეზერვო თანხები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარეობდა დავა შპს „დაგისთან“. 2016 წლის 30 ივნისს ჯგუფსა და შპს „დაგის“ შორის გაფორმდა მშენებლობის ხელშეკრულება ავტობაზის მშენებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულებით, საგარანტიო პერიოდი მოიცავდა 36 თვეს. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში მშენებლობაში გამოვლინდა რამდენიმე ხარვეზი და ჯგუფის ხელმძღვანელობამ შპს „დაგის“ აღნიშნულის შესახებ შეატყობინა, ამ უკანასკნელმა კი აღმოფხვრა. 2019 წლის 4 ივნისს შპს „დაგიმ“ სასამართლოს მიმართა იმის დასამტკიცებლად, რომ გამოვლენილი ხარვეზები კომპანიის ბრალეულობას არ წარმოადგენდა და მოითხოვა გაწეული ხარჯების ანაზღაურება 716 ათასი ლარის ოდენობით. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ დავის შედეგად არაა მოსალოდნელი არსებითი ზარალი ჯგუფისათვის, ამიტომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არაა გათვალისწინებული სარეზერვო თანხები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარეობდა დავა სს „კიევმეტრომშენთან“. ჯგუფმა კომპანიასთან გააფორმა ხელშკრულება მეტრო-სადგურების შეკეთება-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი არ დარჩა კმაყოფილი ჩატარებული სამუშაოებით, კომპანიას დაარიცხა ჯარიმა და სამუშაოს ანაზღაურება გადაუხადა ჯარიმის გამოკლებით. კომპანიამ აღნიშნული გაასაჩივრა სასამართლოში და მოითხოვს დამატებით 476 ათასი ლარის გადახდას. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ დავის შედეგად არაა მოსალოდნელი არსებითი ზარალი ჯგუფისათვის, ამიტომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არაა გათვალისწინებული სარეზერვო თანხები.

საგადასახადო ვალდებულებები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა იძლევა მრავალგვარი განმარტებებისა და ცვლილებების საფუძველს. ამასთან, ვინაიდან საგადასახადო კანონმდებლობის ჯგუფის მმართველობისეული განმარტება შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო უწყებების განმარტებებისაგან, უწყებებმა შესაძლოა სადაოდ გახადონ ტრანსაქციები, რის შედეგადაც ჯგუფს შესაძლოა დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფი თვლის, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება, ამიტომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ განხორციელებულა რაიმე დარეზერვება. 2020 და 2019 წლები ღია რჩება საგადასახადო უწყებების მხრიდან შემოწმებისათვის.

საოპერაციო გარემო – ისეთი განვითარებადი ბაზრები, როგორიც საქართველოშია, განვითარებულ ბაზრებთან შედარებით უფრო მეტ რისკ ფაქტორებს შეიცავს; აქ იგულისხმება ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, სამართლებრივი და საკანონმდებლო საფრთხეები. სწრაფი ტემპებით ხდება საწარმო საქმიანობასთან დაკავშირებული რეგულაციების ჩამოყალიბება, რომლებიც ხშირად სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საგანი ხდება. სამართლებრივ, სარეგულაციო და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ქვეყანაში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რაც დიდწილად დაკავშირებულია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასთან. 2019-2020 წლების განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები საწყისი ეტაპია და ევროკავშირთან დაახლოების მიზნით კიდევ უფრო მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი.

ამას გარდა, 2020 წლის დასაწყისიდან გავრცელდა ახალი კორონავირუსული დაავადება (COVID-19), რომელიც სწრაფად მოედო მთელს მსოფლიოს და შედეგად, 2020 წლის მარტში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოცხადდა ეპიდემიური მდგომარეობა. COVID-19 ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად მსოფლიოს ქვეყნებმა მიიღეს შემაკავებელი ზომები, რამაც ბევრი კომპანიის საქმიანობის შეწყვეტა გამოიწვია და მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. მდგომარეობა სწრაფად მძიმდება და მოსალოდნელია მნიშვნელოვანი გავლენა არაერთი დარგის კომპანიებზე, მათ შორის და არა მხოლოდ, საქმიანობისა შეწყვეტა, რაც გამოწვეული იქნება წარმოების

შეწყვეტით ან საწარმოო ქარხნების დაკეტვით, მიწოდების შეწყვეტით, თანამშრომლების კარანტინით, შემცირებული მოთხოვნითა და ფინანსების მოზიდვის გართულებით. ამასთან ერთად, ჯგუფზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მსოფლიო ეკონომიკასა და დიდ ფინანსურ ბაზრებზე COVID-19-ის უარყოფითი ზეგავლენის შედეგებიც. ჯგუფის საქმიანობაზე COVID-19-ს შედეგების მნიშვნელოვნება დამოკიდებულია ეპიდემიის ხანგრძლივობაზე, მსოფლიოს და საქართველოს ეკონომიკაზე მისი ზემოქმედების სიმძიმეზე.

COVID-19 -ის ფართოდ გავრცელების თავიდან ასაცილებლად საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა 2020 წლის 21 მარტს. თავდაპირველად საგანგებო მდგომარეობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 21 აპრილამდე, თუმცა, შემდეგ ვადა 2020 წლის 21 მაისამდე გაგრძელდა. შეჩერდა ყველა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა (როგორც საქალაქო, ისე საქალაქთაშორისო). მთავრობის გადაწყვეტილებით, 2020 წლის 17 აპრილიდან 2020 წლის 26 აპრილამდე აგრეთვე აიკრძალა კერძო ავტომობილების გამოყენება. საქართველოში კოვიდ-19-ის მეორე ტალღა დაიწყო 2020 წლის სექტემბერში. საქართველოს მთავრობამ კიდევ ერთხელ შემოიღო მრავალრიცხოვანი შეზღუდვები ბიზნესსა და, ზოგადად, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. 2020 წლის 26 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განცხადება გააკეთა მეორე ლოკდაუნისა და 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 31 იანვრამდე ასამოქმედებელ შეზღუდვებთან დაკავშირებით. აღნიშნული შეზღუდვები ბევრად უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე გაზაფხულში. კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეულმა ლოკდაუნმა მნიშვნელოვნად შეამცირა ჯგუფის შემოსავლები. თუმცა, მას საკმარისი მხარდაჭერა და რესურსები ჰქონდა ოპერაციების გასაგრძელებლად.

ამჟამად პანდემია მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, ვაქცინაციის ფაზაშია, რასაც ეკონომიკაზე პოზიტიური ეფექტი ექნება.

კორონავირუსის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური ეფექტი, პანდემიის განვითარების სამომავლო პროგნოზები და მათი შედეგები საქართველოს ეკონომიკაზე შესაბამისად აისახა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობასა და სხვა ვალუტების მიმართ ქართული ლარის გაუფასურებაზე.

მენეჯმენტი უძლურია, განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რამაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და ის, იქონიებს თუ არა ის ეფექტს ან როგორს ჯგუფის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ის ყველა აუცილებელ ზომას ღებულობს ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო თარიღის შემდგომ ჯგუფმა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისგან“ კაპიტალში შენატანის სახით მიიღო 117.8 მილიონი ლარის ღირებულების BMC ტიპის 100 ავტობუსი.

2021 წლის 21 მაისს ჯგუფმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ჯი-თი მოტორს“- M2 ტიპის 300 ავტობუსის შესყიდვაზე. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებაა 10 მილიონი ევრო.

2020 წლის განმავლობაში ჯგუფმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ჯითი ჯგუფთან“ „ნოვოსიტი ლაიფის“ ტიპის 180 ავტობუსის შესყიდვაზე.

საანგარიშო თარიღის შემდგომ ქალაქ თბილისის მერიამ ფულადი და არაფულადი შენატანის სახით შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეიტანა 93.6 მილიონი ლარი და ძირითადი საშუალებები ჯამური ღირებულებით 3.3 მილიონი ლარი, შესაბამისად.

საანგარიშო თარიღის შემდგომ 2021 წლის 1 ივლისს, ყველა კონტრაგენტმა განახორციელა ავტობუსების შესყიდვის უფლება (შენიშვნები 15 და 16).

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 2021 წლის 14 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში ჯგუფის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს რუსუდან ფირცხალავამ და ირინა ფირცხალავამ და მოითხოვეს ზიანის კომპენსაცია 750 ათასი დოლარის ოდენობით. ჯგუფი გამოცხადდა თბილისის საქალაქო სასამართლოში რათა მიწის ნაწილი, რომელიც რუსუდან ფირცხალავასა და ირინა ფირცხალავას საკუთრებაშია, გადმოეცათ ჯგუფისთვის სატრანსპორტო გზის საჭიროების აუცილებლობიდან გამომდინარე. თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ჯგუფი და მიწის ნაკვეთის ნაწილი ჯგუფს საკუთრებაში გადაეცა. გადაცემული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს საბაზრო ფასის ანაზღაურება შესთავაზეს, რომელიც ეყრდნობოდა დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნას. მესაკუთრეები არ დათანხმდნენ შეთავაზებას, რადგან მათი მდგომარეობიდან გამომდინარე ჯგუფისთვის მიწის ნაწილის გადაცემით მათ დაკარგეს ხელსაყრელი შესაძლებლობა ამავე მიწაზე განეხორციელებინათ დაგეგმილი პროექტი და დანაკარგისთვის მოითხოვეს კომპენსაცია. ამ საქმის პირველი მოსმენა ჩანიშნულია 2021 წლის 19 ოქტომბერს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, რაიმე სხვა გარემოებას, რაც საჭიროებს აღნიშვნას წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

26. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა მმართველობის მიერ და დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 1 ნოემბერს.

მართველობის ანგარიში

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს ქ.თბილისში მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), M3 კატეგორიის ავტობუსებით და საბაგირო გზით "რიყე-ნარიყალა"და "ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა" მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურება.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა განსაზღვრულია საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრა-ციულ საზღვრებში რეგულირებად ეკონომიკურ სფეროდ.

მომსახურების ტარიფი რეგულირდება - რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ტარიფების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (30.12.2014წ #20-81) დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული კატეგორიის მოქალაქეები, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწისქვეშა ელე-ქტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, უფლებამოსილნი არიან იმგზავრონ უფასოდ, ან შეღავათით მათ მიერ კუთვნილი სამგზავრო პლასტიკური ბარათით ერთჯერადად მგზავრობის საფასურის გადახდის შემდეგ.

2018 წლის 10 აპრილიდან საზოგადოებრივი საჭიროების გათვალისწინებით, დედაქალაქის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურების პარკირების სისტემის გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" გადმოეცა პარკირების სფეროს მართვის უფლება, რომლის საფუძველზეც კომპანია ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირების სისტემის მართვას, ორგანიზებას და კონტროლს: უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ქალაქ თბილისის მუნიციპელიტეტის მიერ გამოყოფილ სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებზე შესაბამისი საგზაო ნიშნების და დამატებითი მონიშვნების განთავსება/დახაზვას და მონიტორინგს, სატრანსპორტო საშუალების პარკირებისა და დადგომა-გაჩერების წესების დარღვევის გამოვლენას, გამოვლენილ სამართალდარღვევის აქტზე საჯარიმო ქვითრის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენას და ჩაბარებას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას და სხვა.

საწარმოს შემოსავლების ძირითადი წყაროს წარმოადგენს მგზავრთა გადაყვანიდან მიღებული შემოსავლები, ხოლო სხვა შემოსავლებს მიეკუთვნება: ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავლები, საწარმოს ნაგებობებსა და გვირაბებში სხვა იურიდიული პირების კუთვნილი ოპტიკური და სპილენძის კაბელების გატარებიდან მიღებული შემოსავლები და ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებიდან მიღებული შემოსავლები.

შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" სამატარებლო მეურნეობა წარმოდგენლია ორი სავაგონო დეპოთი: "დეპო გლდანი" და "დეპო ნაძალადევი".

ელექტროდეპოების საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს თბილისის მეტროს უზრუნველყოფა გამართული მოძრავი შემადგენლობით - გრაფიკის შესაბამისად. მეტროს გვირაბების სიგრძე შეადგენს 57.18 კმ-ს, მათ შორის: "ახმეტელი-ვარკეთილის" ხაზი - 40.56 კმ, "საბურთალოს ხაზი" – 16.62 კმ-ს. ვაგონების ტექნიკურად საიმედო და შეუფერხებელ ექსპლუატაციას უზრუნველყოფდა გეგმიური ტექნიკური მომსახურებისა და მიმდინარე შეკეთებების ციკლურად განმეორებადი სამუშაოების სისტემა, რომელიც დამყარებულია ვაგონების ჯამურ გარბენებზე და ხაზზე მატარებლების მოძრაობის დროის ხანგრძლივობაზე. ამ მიზნით შესრულებულ იქნა სამი სხვასხვა მოცულობის ტექნიკური მომსახურება (ტმ-1, ტმ-2, ტმ-3) და ასევე ორი სხვადასხვა მოცულობის მიმდინარე შეკეთება (მშ-1, მშ-2).

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გასაახლებლად და მიწისქვეშა სისტემის საჭირო ინფრასტრუქტურის აღჭურვისათვის თბილისის მერიის დაფინანსებით კომპანიამ 2020 წელს განახორციელა ბალანსზე რიცხული მეტროს ვაგონების კაპიტალურ შეკეთება მოდერნიზაცის ელემენტებით, დასრულდა ვაგზლის მოედანი N3 ვესტიბიულის აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები და ვაგზალი 3-ის გვირაბების დაგრძელების საპროექტო სამუშაოები, შესყიდულ იქნა სადგურების „ვარკეთილი“ და “ავლაბარი” არქიტექტურული და ინტერიერ-ექსტერიერის დიზაინპროექტის მომსახურება და დაიწყო მეტროსადგურ "გოცირიძის" რეკონსტრუქცია და კაპიტალური რემონტი.

საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2020 წლის 29 აპრილს „თბილისის მეტროს პროექტის“ განხორციელებასთან დაკავშირებით გაფორმებულ იქნა სასესხო შეთანხმება რომლის მიზანს წარმოადგენს თბილისის მეტროსთვის მატარებლის მოძრავი შემადგენლობის (40 ერთეული ახალი ვაგონი) შესყიდვა და მეტროს დეპოს და გვირაბების რეაბილიტაცია.

2020 წელს დასრულდა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით 2017 წელს დაწყებული საინვესტიციო პროექტი, რომელის მიზანს წარმოადგენდა დედაქალაქში ეფექტური, სანდო, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საქალაქო ტრანსპორტის უზრუნველყოფა და თბილისის მიწისქვეშა ტრანსპორტის რეაბილიტაციას და გაუმჯობესება. პროექტი თანახმად განხორციელდა, დაბალი და საშუალო სიმძლავრის კაბელების ჩანაცვლება, სავენტილაციო სისტემის რეაბილიტაცია, ინსტიტუციური სისტემის გაძლიერება მიწისქვეშა ტრანსპორტის საოპერაციო და ტექნიკური სამუშაოების წარმოების თვალსაზრისით, მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება, პროექტის მართვის მონიტორინგი და საიმპლემენტაციო მხარდაჭერა.

საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2019 წლის 29 ნოემბერს „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელებასთან“ დაკავშირებით გაფორმებულ იქნა სასესხო შეთანხმება ახალი, ეკოლოგიურად სუფთა, დაბალძირიანი, კომპრესირებულ ბუნებრივ გაზზე მომუშავე (CNG) ავტობუსების (226 ერთეული) შესყიდვაზე და ავტობაზების რეაბილიტაცია/მშენებლობაზე. 2020 წელს აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა 126 ერთული M³ კატეგორიის ახალი ავტობუსების შესყიდვა და სამარშრუტო ხაზზე გაშვება.

ქალაქ თბილისის ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებულ სატრანსპორტო პოლიტიკაზე დაყრდნობითა და დაფინანსებით, შესყიდულ იქნა 300 ერთული M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება.

თბილისის ავტობუსების პროექტის ფარგლებში, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამების - „კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებლ მხარეთა მონაწილეობის პროგრამა“ და „პროფესიული ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების პროგრამა“ - საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში 2018 წლის სექტემბერში შეიქმნა გარემოსდაცვითი მართვის სამსახური, ხოლო 12/09/2019 წელს ამავე სამსახურის მიერ შემუშავებული და კომპანიის მიერ დამტკიცებული იქნა გარემოს დაცვის და უსაფრთხოების მართვის სისტემის (ESMS) ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მთელი რიგი პროცესების განმსაზღვრელ დოკუმენტაციას, კერძოდ: თბილისის სატრანსპორტო კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი - „ES პოლიტიკის დეკლარაციას“ (TTC Environmental and Social Policy Statement); გარემოს დაცვის და უსაფრთხოების მართვის სისტემას (TTC Environmental and Safety Management System (ESMS); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის გარემოს დაცვის და უსაფრთხოების მართვის სისტემის (ESMS) სამართლებრივ საფუძვლებს (TTC ESMS Legal and Regulatory Basis); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის „გარემოს დაცვის და უსაფრთხოების მართვის სისტემის“ (ESMS) დაგეგმვის პროცედურას (TTC ESMS Planning Procedure); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის „გარემოს დაცვის და უსაფრთხოების მართვის სისტემის“ (ESMS) მონიტორინგის და ანგარიშგების პროცედურას (TTC ESMS Monitoring and Reporting Procedure); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის პროცედურებს და გეგმებს (TTC Occupational Health & Safety Procedures and Plans); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმას (TTC Waste Management Plan) რომელიც შეთანხმებულია და დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ; თბილისის სატრანსპორტო კომპანიის დაბინძურების პრევენციის და კონტროლის გეგმას (TTC Pollution Prevention and Control Plan); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის კონტრაქტორების

EHS მართვის გეგმას (TTC Contractors EHS Management Plan); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საწარმოო ქვედანაყოფების გარემოსდაცვითი მართვის პროგრამებს (TTC Facility/site-Specific Environmental Management Programs); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საწარმოო ქვედანაყოფების გარემოსდაცვითი მართვის პროგრამებს (TTC Facility/site-Specific Environmental Management Programs); თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საწარმოო ქვედანაყოფების პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის პროგრამებს (TTC Facility/site- Specific Occupational Health & Safety Management Programs). აღნიშნული წესის შესაბამისად კომპანიამ 2020 წლის მდგომარეობით განახორციელა: ყოველკვარტლური გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების აუდიტი; გემიური ყოველთვიური შემოწმება, რაც ითვალისწინებს კომპანიის საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის კონტროლს; განხორციელა 22 500 ერთეული მეორადი საბურავის უტილიზაცია და კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის თანახმად, ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულში, დეპო ნაძალადევში მოეწყო ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილი.

კომპანიამ რიყე-ნარიყალასა და ჭავჭავაძის გამზ.-კუს ტბა საბაგირო გზის მმართველობა 2012 და 2016 წლებში მიიღო, შესაბამისი რიგითობით. საბაგირო გზის განვითარება თანაბრად მიიზიდავს როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ისე ტურისტებს. ასევე, მგზავრთნაკადის განტვირთვისა და დედაქალაქის საბაგირო ტრანსპორტის განვითარების მიზნით მიმდინარეობდა სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბაგირო გზის ძველი სადგურიდან მთაწმინდის პარკის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობისთვის საჭირო საქონლის და მომსახურების შესყიდვა.

ახალი „COVID–19“ კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებული საყოველთაო კარანტინის შედეგად, საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით 2020 წლის საანგარიშო პერიოდში მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით გადაყვანილ იქნა (მეტრო) – 69 781 025 მგზავრი, M³ კატეგორიის ავტობუსებით - 73 716 816, მგზავრი და საბაგირო გზით - 225 708 მგზავრის ("რიყე-ნარიყალა" – 192 547 და "ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა"- 33 161).

მათ შორის, ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების თანახმად: უფასო ან შეღავათით მოსარგებლე კატეგორიების მიხედით განხორციელდა - 82 160 207 მგზავრის (მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი - 35 915 615 და M³ კატეგორიის ავტობუსები - 46 244 592) გადაყვანა.

მფლობელობა სხვა ერთეულებში

შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია ფლობს 100% წილს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საფეხბურთო კლუბში, რომელიც ჩამოყალიბდა თბილისის სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომელთა საფეხბურთო გუნდის სახით საქართველოში გამართულ შეჯიბრებში მონაწილეობისათვის. ეს კომპანია უმოქმედოა.

კომპანიას გააჩნია საინვესტიციო მფლობელობა შემდეგ დაკავშირებულ კომპანიებში:

დასახელება	ოპერირების ქვეყანა	მფლობელობა 2020 წლის 31 დეკემბერი	მფლობელობა 2019 წლის 31 დეკემბერი	საქმიანობის ტიპი
შპს მთბი სს ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალი	საქართველო	20.0%	20.0%	უმოქმედო სარემონტო სამუშაოები
სს რემონტაჟსერვისი	საქართველო	50.0%	50.0%	უმოქმედო

შპს მთბი და სს რემონტაჟსერვისი უმოქმედო ერთეულებია, ხოლო სს ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალი ახორციელებს მიწისქვეშა ტრანსპორტისათვის მატარებლების შეკეთებასა და მოდერნიზაციას.

ფინანსური მიმოხილვა

ჯგუფის შემოსავალი ავტობუსების, მეტროსა და საბაგირო ტრანსპორტის სეგმენტებიდან 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შეადგენდა 72,222 ათას ლარს, მაშინ როცა, 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ეს მაჩვენებელი იყო 139,441 ათასი ლარი.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის სხვა შემოსავალი გაქირავების, სარეკლამო მომსახურებებიდან, ოპტიკური და მილების განთავსებისა და პარკინგის ორგანიზების საქმიანობიდან შეადგენდა 8,049 ათას ლარს და 7,783 ათას ლარს, შესაბამისი რიგითობით.

ჯგუფის წმინდა ზარალი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შეადგენდა 153,663 ათას ლარს, მაშინ როცა 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ეს მაჩვენებელი 71,293 ათას ლარს შეადგენდა.

კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობა

მგზავრთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის ფარგლებში დედაქალაქში მცხოვრებ მოქალაქეთა შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე ცალკეული კატეგორიების მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

1. <u>უფასო მგზავრობის უფლება მიენიჭათ:</u>

ა) თბილისში რეგსტრირებულ ქმედუნარიანობის შეზღუდვის მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე უსინათლო პირებს და გადაადგილებისას მათთან ერთად მყოფ დამხმარე ნებისმიერ პირს;
ბ) თბილისში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს;
გ) თბილისში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებსა და მასთან გათანაბრებულ პირებს, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის მფრინავებს, რომლებიც ასრულებდნენ სპეციალურ რეისებს საომარი მოქმედებების ზონაში;
დ) თბილისში რეგისტრირებულ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს;
ე) თბილისში რეგისტრირებულ სამხედრო ძალების ვეტერანებს;
ვ) თბილისში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის, ომის შემდგომ გარდაცვლილთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახების წევრებს;
ზ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებს;
თ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორებს;
ი) თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლებს, რომლებსაც ზედამხედველობას უწევს ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო;
კ) ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართულ თბილისში მცხოვრებ ყოფილი პატიმრების სტატუსის მქონე პირებს;
ლ) შპს „თბილსერვის ჯგუფში“ მომუშავე დამგველებს, მეეზოვეებს, სპეც. მორიგე ბრიგადების დამგველებს, მუშებს, დამხმარე მუშებს და მძღოლებს;
ლ[1]) შპს „ჰერმესში“ მომუშავე ტექნიკურ მუშაკებს(მესაფლავე);
მ) ქალაქ თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებს, რომლებიც თბილისში არიან რეგისტრირებულნი;

ნ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომლებს;
ო) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს“ თანამშრომლებს.

2. <u>შეღავათიანი ტარიფით (0,2 ლარი) მგზავრობის უფლება მიენიჭათ:</u>

ა) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს და ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ სტუდენტებს;
ბ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული შემდგომი დაწესებულებების ყველა თანამშრომელს:
ბ.ა) საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
ბ.ბ) პროფესიული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
ბ.გ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფილიალები (ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატები, ბავშვთა სახლები) და სტრუქტურული ერთეულები (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები, კრიზისული ცენტრები);
ბ.დ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვნების სკოლები, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქ.თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი;
ბ.ე) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები – სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ შორის ქ. სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი და ქ. სოხუმის ალექსანდრე შერვაშიძე–ჩაჩბას სახელობის სამხატვრო სასწავლებელი;
გ) თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის, მცხეთის, გარდაბნის, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში არსებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სკოლების მასწავლებლებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან თბილისში;
ე) თბილისში რეგისტრირებულ „სახელმწიფო პენსიის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულ პენსიონერებს;
ზ) თბილისის საკუთრებაში არსებულ პოლიკლინიკებში დასაქმებულ უბნის ექიმებს, უბნის პედიატრებს და ოჯახის ექიმებს;
თ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე მანდატურებს;
ი) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრში დასაქმებულ სოციალურ აგენტებს;
ი) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიულ - თბილისის რაიონულ ცენტრებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს;

3. <u>შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით</u> (0,1 ლარი) მგზავრობის უფლება მიენიჭათ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს.

ასევე, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქმედებს ფასდაკლების შემდეგი სისტემა: M3 კატეგორიის ავტობუსებსა და მიწისქვეშა

ელექტროტრანსპორტში (მეტრო) მგზავრობის საფასურის გადახდის ფუნქციის მქონე ბარათის ან გადახდის სხვა საშუალების მფლობელი, მგზავრობის საფასურის ამ ბარათით ან გადახდის საშუალებით 0,5 ლარის გადახდის შემდეგ, აგრეთვე შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე პირი, მისი სამგზავრო პლასტიკური ბარათით ან გადახდის სხვა საშუალებით მგზავრობის საფასურის გადახდის შემდეგ, უფლებამოსილია ავტობუსებით (M3 კატეგორია) ან/და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) უფასოდ იმგზავროს 90 წუთის განმავლობაში იმ პირობით, რომ აღნიშნულ დროში ყოველი მგზავრობისას აიღებს სამგზავრო ბილეთს (რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში უფასოა) მისი ბარათით ან გადახდის სხვა საშუალებით.

განვითარების გეგმები

თბილისის ავტობუსების პროექტის ფარგლებში, მოძველებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადატვირთული ქალაქის ეკოლოგიური მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, გაგრძლდება თანამედროვე ევროპული სტანდარტების დიზელზე და ბუნებრივ აირზე მომუშავე, ეკოლოგიურად სუფთა მუნიციპალური ავტობუსების შესყიდვა. რომლის მიზანია საქალაქო სატრანსპორტო პარკის განახლება/შევსება ახალი ავტობუსებით. პროექტის ფარგლებში განხორციელებული ავტობუსების შესყიდვის შედეგად: განვითარდება ტრანსპორტის სისტემა, მიღწეულ იქნება მოქალაქეებისა და ტურისტული ნაკადის უსაფრთხო, კომფორტული და შეუფერხებელი გადაადგილება, ახალი ევროპული სტანდარტების ავტობუსებით უზრუნველყოფილი იქნება გარემოს ნაკლები დაბინძურება, გალამაზდება ქალაქის იერსახე. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) „თბილისის ავტობუსები - ფაზა III“ პროექტის თანახმად დაგეგმილია 18-მეტრიანი ახალი ავტობუსების შესყიდვა და ახალი ავტობაზის მშენებლობა. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებულ სატრანსპორტო პოლიტიკაზე დაყრდნობითა და დაფინანსებით, დაგეგმილია 180 ერთეული ,,8 მეტრიანი ავტობუსების'' შესყიდვა (ავტობუსები ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის).
ასევე EBRD-ის მხარდაჭერით „თბილისის მეტროს პროექტის ფარგლებში“ განხორციელდება 40 ერთული ახალი თანამედროვე ევროპული სტანდარტების მეტროს ვაგონების შესყიდვა, ახალი დეპოს მშენებლობა და ძველი შემაერთებელი გვირაბის რეაბილიტაცია.

შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია გეგმავს ჩამოაყალიბოს ერთიანი მართვის საინფორმაციო სისტემა, რითაც გაკონტროლდება სოციალური საკითხები, ადამიანური რესურსები და უსაფრთხო ჯანდაცვა. ასევე დაგეგმილია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სარეაბილიტაციო პროექტების იმპლემენტაცია.

თბილისის სატრანსპორტო კომპანია უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებს ყველასათვის ასაკის, სქესის, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად და ცდილობს მოაწყოს სამართლიანი სამუშაო გარემო ყველა მისი თანამშრომლისათვის, რათა მათ შეძლონ თავიანთი პოტენციალის განვითარება და წარმოჩენა.

ჯგუფის სამომავლო გეგმები ითვალისწინებს ახალი საბაგირო გზის განვითარებას - რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ძველ საბაგიროს სადგურს დააკავშირებს მთაწმინდის პარკთან. საბაგირო გზისათვის მოეწყობა ორი სადგური, ხუთი საყრდენით, საბაგიროს საერთო სიგრძე 980 მეტრი იქნება. საბაგირო აღიჭურვება 20 ექვსკაციანი გონდოლა მანქანით.

დაგეგმილი სრული დატვირთვის მოცულობაა 1,100 ადამიანი/საათში. მთაწმინდის პარკში ზედა სადგური მოეწყობა თანამედროვე დიზაინით, დაიფარება ხის ზედაპირით. იგეგმება მეცნიერებათა აკადემიაში მოწყობილი ქვედა სადგურის რეკონსტრუქცია და მოდერნიზება.

რისკების შეფასება

კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები, ლიკვიდობის რისკი და საოპერაციო რისკი, აღწერილია ქვემოთ.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დადგენილ ვადებში ყველა ვალდებულების შესრულებას, როგორებიცაა საოპერაციო ვალდებულებების დაფინანსება, ხელფასები და ანაზღაურებები, საიჯარო და სასესხო ვალდებულებები.
ლიკვიდობის რისკს შეუძლია მწვავედ შეაფერხოს ჯგუფის საქმიანობა და გამოიწვიოს კრიზი.

რისკის შესამცირებლად, კომპანია იცავს ფულადი ნაკადების მართვის დეტალურ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს საკმარისი ფულადი რესურსების მოძიებას და შენარჩუნებას არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვისათვის. ხარჯების დაფარვა ხდება მათი პრიორიტეტულობის მიხედვით შემდეგი წესით (კლებადი პრიორიტეტულობით):

- სახელმწიფოს მიმართ არსებული ვალდებულებები, როგორც ამას ითვალისწინებს ჯგუფის პოლიტიკა;
- თანამშრომელთა ხელფასები და ანაზღაურებები;
- საჭირო საოპერაციო ხარჯები (კომუნალური ხარჯები, კრედიტორები, სხვ.);
- სხვა.

ამგვარად, ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს დროულად გამოავლინოს რისკი და მოახდინოს მასზე რეაგირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მინიმალური ზიანი და ჯგუფის ეფექტური ფუნქციონირება.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების შესამცირებლად ჯგუფს ჩამოყალიბებული აქვს მონიტორინგის განყოფილება, რომელიც მუდმივად ამოწმებს სატრანსპორტო საშუალებების მდგომარეობას და ატარებს ჯანმრთელობის მდგომარეობისა და უსაფრთხოების კონტროლს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკის მართვა ჯგუფის მასშტაბით ხდება. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომხმარებელი ან კონტრაქტორი აღმოჩნდება გადახდისუუნარო მდგომარეობაში ან დროულად ვერ დაფარავს ჯგუფის მიმართ არსებულ დავალიანებას, რაც ჯგუფისათვის ფინანსურ დანაკარგს გამოიწვევს. ქვემოთ აღწერილია ის ძირითადი კატეგორიები, რომლებიც ჯგუფისთვის ძირითადი რისკის მატარებელია.

ჯგუფის შემოსავლების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს წინასწარ გადახდილი მომსახურების ღირებულება და მოსალოდნელი ანაზღაურება ქალაქ თბილისის მერიისგან. ჯგუფი მიმართავს ყველა საჭირო ზომას მისაღები ბალანსების ამოსაღებად. სხვა სავაჭრო მოთხოვნებს შორისაა მომწოდებლებისგან მისაღები სახელშეკრულებო თანხები და მოიცავს შესასრულებელი სამუშაოების საავანსო გადახდებს. ხელშეკრულების დადებისას ჩამოთვლილთაგან ყველა კონტრაქტორი ინდივიდუალურად ფასდება მისი გადახდისუნარიანობის მიხედვით და ჯგუფისათვის რისკის შესამცირებლად ხელშეკრულება ითვალისწინებს ვადამდე შეწყვეტის პუნქტებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის საბაზრო ფასებთან დაკავშირებული რისკი, როგორიცაა უცხოური ვალუტის რიკი, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, ინფლაცია რომლებიც გავლენას მოახდენს ჯგუფის შემოსავლებსა და ხარჯებზე. მგზავრობის ფასი დადგენილია თბილისის საკრებულოს დადგენილებით, როგორც რეგულირებული ეკონომიკური ინდუსტრიის ფარგლებში დადგენილი განაკვეთი.

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰქონდა უცხოურ ვალუტაში გამოსახული აქტივი ან ვალდებულება, კონტრაგენტების მიმართ არსებული 28 ათასი ევროს ოდენობით კრედიტული დავალიანების გარდა.

საპროცენტო რისკი, არის საპროცენტო განაკვეთების მერყეობა, რაც უარყოფითად აისახება ჯგუფის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ჯგუფზე საპროცენტო განაკვეთის რისკი ნაკლებად მოქმედებს, რადგან ის სახსრებს მხოლოდ ფიქსირებული განაკვეთით სესხულობს.

კვლევა

კომპანიას 2020 წელს რაიმე სახის კვლევა არ ჩაუტარებია.